

652  
1972/2

+

06105340  
20844101033



1 9 7 2 6

**შინაარსი**

**ქოჩოხი**

ზ. რეჟა — ვადიდებ საბჭოთა  
კავშირს ლექსი . . . . . 4

ე. დავითაძე — ქმოვის სად-  
ღებრძელს ლექსი . . . . . 6

მ. ვარშანიძე — ქმოვა, ერთობა  
და სიუჰარული ლექსი . . . . . 9

ჯ. ხოჭავრიანი — წვიმიანი დღის  
მონიბა მოხბობა . . . . . 11

ვ. გორგანელი — მოტა ლექსი 29

ი. რეჟა — ირანი — გუმბათია-  
ნი და უგუმბათო ნაკვევი.  
გაგრძელება . . . . . 31

**კრიტიკა და  
კუბლიცისტიკა**

ბ. ჩავლიუვილი — მთარგმნელ-  
ბა — ხალხთა მებოგროვის გან-  
მტკიცების საშუალება . . . . . 48

**წერილები**

ა. მუვილოვაძე — ქოხულეთელი  
ვაჟბანი . . . . . 55

ი. მებრელიუვილი — ზღვიდან  
ზღვამდე . . . . . 63

**ხელთვნებკ**

ა. ხინიაძე — მებოგროვის ტა-  
ძარი . . . . . 71

ბ. შარაშიძე — მათი მთავარი  
თემა — საქართველო . . . . . 75

**წიგნების მიმოხილვა**

ა. გორგონიძე — საუბრადღეო  
გამოკვლევა ქართული კედა-  
გოგოური აწროვნების ისტორი-  
იდან . . . . . 85

ლიბრატურულ-მხატვრული და  
საწოგადოებრივ-კოლიტიკური  
ურნალი

საქართველოს საბჭოთა  
მწერლების კავშირისა და  
აჭარის განყოფილების  
ორნალი

ბათუმი — 1972  
ნომებერი-დეკემბერი



რედაქტორი ა. უონია

სარედაქციო კოლეგია:

ბ. ახვლედიანი

მ. ვარზანიძე (პ/მპ მდივანი)

კ. ლორია

ალ. ჩავჭავჭავაძე

ფრ. ხალვაში



ქმობლიურთ ჩემთ მიწავ,  
შენს საუვარულ სახელს ვფიცავ,  
რომ დაფიცავ ერთა ქმობას,  
შეკობრობის ფიცს დაფიცავ!

**გალაკტიონ ტაბიძე**

## ვადიდებ საბჭოთა კავშირს

ამ რუკას დახედეთ, ძმებო,  
ამ მხარეს უსაზღვროდ გაშლილს,  
ქვეყანას, სადაც ჩვენ ვმეფობთ,  
და სადაც ოცნება ფრთას შლის  
მოხუცის,

ჭაბუკის,

ბავშვის, —

ვადიდებ საბჭოთა კავშირს!

რამდენჯერ გაბედეს რკენა,  
ფიქრობდნენ, — დავშლით და

წავშლით,

ცალ-ცალკე მოგვსპობდნენ ყველას,

მაგრამ ვერ სძლია და ვერა

ბოროტმა გულმა და ხელმა

ერთიან საბჭოთა კავშირს!

ამ ძმობას ვზრდიდით და ვჭედდით

ძახილზე მამულის მარშის,

და მერე, ხიშტით და მკერდით,

მოსკოვთან,

ორმოცდაერთში,

ვიცავდით საბჭოთა კავშირს!

ვდარაჯობთ ჩვენს წყალს და ჰაერს,  
ვფუსფუსებთ ბაღში და ზვარში,  
გვახარებს პური და ჩაი,  
ნახირი — ღრუბელი მთაში.  
ხმელეთზე, ზღვაში და ცაში  
ვადიდებ საბჭოთა კავშირს!

მე შენთვის, თბილისის მიწავ,  
გამოვალ თოვლში და ქარში.  
და ვინც შენს სიმღერას იცავს,  
შენს ენას —

ერთგულად,

ფხიზლად! —

ვადიდებ საბჭოთა კავშირს!

ღროშების ამდგარა ქარი,  
და ცისარტყელების ზღვაში,  
სინათლეს დნეპრის და მტკვარის,  
ანგარის,

და ნათელ ხვალის,

რომელსაც არა აქვს ზღვარი, —

ვადიდებ საბჭოთა კავშირს!



## ძმობის საღვებრძელ ო

არ ვაქებ უცხოს,  
ვიცი მისმენთ, გჯერათ და ხარობთ,  
ჩვენ ძმობა ჩვენი  
უკვდავების მოგვიდის წყაროდ,  
ჩემი მამული  
თქვენს შვილობას ნუმც დაიზარებს.

მამული თქვენი  
მეც მიშვილებს და შემიკედლებს,  
ჩვენ ბუდეს მხოლოდ  
ერთმანეთის გულში ვიკეთებთ  
და გვაქვს მარადის  
საზიარო გზა და მიზანი.

არ გვახარებდა თხილის გულიც,  
როგორც იტყვიან,  
და ცხრად კი არა,  
წილად თხუთმეტ, ძმებს გაგვიყვია,  
კალამი ახლა  
მერცხალივით მიტომ ჭიკჭიკებს.

ყანები ჩვენი  
არ გვიღობავს, არც გვიქაცვია,  
რაც გვაქვს საძმოა  
და სუფრაზე უხვად აწყვია,  
შევახოთ ხელი  
სხვას რომ არ აქვს, ძმებო იმ ჭიქებს.

როცა ზაფხული  
დაასრულებს პატარძლად მორთვას,  
ხოდაბუნებში მზეკაბანი  
ლივლივს რომ მორთავს,  
მაშინ ზღვისპირეთს  
სულ სხვა შნო აქვს, სულ სხვა მშვენება.

და შეეჩვია თვალის ისე  
თქვენებურ ქალებს,  
ზღვასთან რომ წვანან  
და ტალღები უძღვნიან ალერსს,  
რომ ზღვა უმათოდ  
აწ უღაბნოდ მომეჩვენება.

და როცა უხვად  
დაარიგებს მზე ავტოგრაფებს,  
ფერს მოგვანიჭებს,  
ღონეს მოგვეგვრის და შუქს მოგვაფენს,  
მაშინ ქალს მოჰგავს,  
გასათხოვარს, ვაზიც ქართული...

ამოდის გლეხი,  
გლეხს ქართული ჩოხა უხდება,  
ქვევრებში ღვინო  
ღევკაცივით აბუხბუხდება,  
რომ დახვდეს მოძმეს  
ეინდამცხრალი და მოწვართული.

ძმობის რთველია,  
სუფრა ჩემი ელის ნადიმებს,  
ჯიხვებს სათქვენოს  
მე ღღეს უხვად მოვინადირებ,  
მთა-ჭიუხებში  
ნავარდობენ აქვე, ჯოგებად.

მრავალქამიერ,  
მხარე ჩემი შოთას მხარეა,  
არცა იხაროს  
მტერმა ჩვენზე, არც უხარია,  
არცა იხილოს  
ძმებო ჩვენი წამოჩოქება.



ზიარი იყოს  
ზაფხულის მზეც, მაღლიც რთველისა,  
ძმობაში განა  
ვინ აჯობებს გულს ქართველისას,  
ღიმილი მისი, თვალნათელი,  
მოჰგავს მალამოს.

ღვინით ქართველის,  
მსურს ამჯერად ღვინით, ქართველის,  
ფიცვერცხლიანის,  
ჭირნახადის და შემმართველის  
შეისვას ძმობის აზარფეშა,  
— შესვი, გაამოს!





## ძმობა, ერთობა და სიყვარული

ჟამთა ბადაგში მე თვალებს ვხუჭავ,  
ვეფოფინები სინათლის კონებს.  
ნადვერდალს ვპარავ მზეს მუჭა-მუჭად,  
რომ მხურვალეა მივცე სტრიქონებს,  
ტკბილო სავანევ თხუთმეტი ძმისა.

შენით ვეძლევი მე ამოდ ძილსაც...  
თითქოს კოსმოსში ვფრინავ და დაბლა  
ვჭვრეტ თხუთმეტ ვარსკვლავს, თბილს და  
კაშკაშას,  
არ მოვევლები ტარიგად აბა,  
არ დავლოცავ და არ ვეტყვი ვაშას?!

თითქოს კოსმოსში ვფრინავ და ვუმზერ  
დაბლა ჩემს აკვანს, ჩემს ლამაზ ბუდეს,  
ვუმზერ ჩემს მინდვრებს, ჩემს იაღბუზებს,  
მიყვარს და როგორ არ დავუბრუნდე,  
გინდ ცაში მედგას მე ოქროს ტახტო

მოველ და... უფრო დიადი დამხვდი...  
ანდა სად წავალ, გული აქ ლაღობს,  
და სული ჩემი ლხინს აქ ეძლევა.  
დემონს არასდროს არ ვუთმობთ მაღლობს,—  
ჩვენ შეგვიძლია ყოველთვის ძლევა.

ჩვენ თხუთმეტი ვართ, ვგუგუნებთ ძმურად,  
და ჩვენ დავითქვამს წმინდა ფიცვერცხლი.

ჩვენ ძლიერი ვართ, და მწე უძლურთა,  
მოყვასნო, ჩვენს მზეს თაყვანი ეცით,  
ჰა, რომ ამოდულს მაღალ მწვერვალზე.

ალისფერ ალამს მზე ნაზად დაჰმზერს,  
ძმობა გვაქვს მტკიცე სულის დულაბად,  
ჩვენ მივდიოდით ბრძოლებში ერთად,  
ამიტომ ვერვინ დაგვცა გულადმა,  
უძლეველია კავშირი ერთა.

ჩვენი ლამაზი რესპუბლიკები —  
შენი მამული, ჩემი მამული,  
ნათობენ ერთად, ვითარც ცისკრები,  
ნახე შენ თვითონ, რაა ფარული,  
რაზომ ამშვენებთ და აღიადებთ  
ძმობა, ერთობა და სიყვარული.

მეც ამ დალოცვილ ძმობას ვუმღერი,  
მის საგალობლებს ვძერწავ და ვნასკვავ,  
დიდება ძმობას, მარად ურღვეველს,  
დიდება თხუთმეტ ქვეყანა-ვარსკვლავს,  
რომელიც მე ამ სიმღერას მწყალობს.

სტრიქონებს ვანთებ მზის ნაპერწკალად,  
მინდა ჩირაღდნად გაჩაღდეს ჩქარა,  
მეც რომ შეგმატო სინათლე ცაო.  
დიდ ძმობას ჩვენსას, სტრიქონი რაა,  
ჩემი სიცოცხლეც მას ენაცვალოს!



## წვიმისანი ღლის ქრთნიკა

დილით, თვალი რომ გავახილე, ყურში ჩამესმა წვიმის მონოტონური ხმა. არსად არ მიმეჩქარებოდა, კვირა იყო — დასვენების დღე. ვიწეკი ჩემთვის არხეინად და ყურს ვუგდებდი წვიმის წკარუნს.

კარგახანს ვიყავი ასე, მერე მაგიდაზე დადებულ სიგარეტს დავწვდი. ვეწეოდი და შევცქეროდი ბოლს, რომელიც იკლაკნებოდა, იხვეოდა, იშლებოდა, მიიწევდა მალა, მალა და ერთხმოდა ჭერს...

არ მიყვარს წვიმა, აღრე მწყინდება. წვიმიან დღეს რატომღაც ზანტად ვმუშაობ, არ გამოდის საქმე; სამაგიეროდ ძალიან მიყვარს მზიანი, თბილი, წყნარი ამინდი, როცა ცა ლურჯია, კრიალაა და საოცრად მაღალი. ასეთ დღეებში ენერჯის დიდ მოზღვავებას განვიცდი, მთელ დღეს რომ მუხლმოუხრელად ვიშრომო; არც დავიღლები და არც არაფერი.

ისევ ჩემი ქარხანა, ჩემი ამხანაგები, ჩემი მანქანა-დანადგარები მახსენდება; ხმაურისაგან ყურთასმენა არაა, დგანდგარებს ათობით პნევმატური წნეხი, ჩარხი და დაზგა, ზრიალებს ფანჯრის მინები, გუგუნებს მთელი საამქრო. ასეთ ხმაურში ვინმეს რომ გააგებინო რამე, უნდა იყვირო, სხვანაირად არ გამოდის. ხშირად დილიდან საღამომდე თავის მოსაფხანადაც ვერ მოიცილი. აბა ამდენ დაზგა-დანადგარში როგორ შეიძლება ერთი და ორი არ გაფუჭდეს, დიდი რამე კი არაა, გაუტყდება რაღაც, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალი, გაცვდება რომელიღაც ბოლტი, კბილანა, მრუდხარა თუ ბარბაცა და გათავდა, საქმე ფერხდება. არის მერე ერთი გაწამაწია, საამქროს უფროსების, ცვლის ოსტატების ფაცა-ფუცი, მექანიკოსების ძებნა. ყოველ საამქროს თავისი მექანიკოსი ჰყავს, მე კი, როგორც მთავარი მექანიკოსი, ვალდებული ვარ შევამოწმო

თითოეული მათგანის ნამუშევარი, დავებმარო, ავუსხსნა და სხვა მისთანა. ხშირად რომელიმე მექანიკოსი ადგილზე არ აღმოჩნდება, მაშინ მე უნდა მოვიქაჩლო თავი და დავიკაპიწო ხელი. ხშირად ერთ საქმეს რომ მოათავებ და მშვიდად ამოისუნთქავ, გახედავ და მეორე წამოგეწევა უკან. და მიდის და მიდის ეს დღეები, ზრუნვით, ფიქრით, შრომით, ჭაპანწყვეტით სავსე დღეები...

ასე იყო გუშინაც, მივედი თუ არა დილით ქარხანაში, მაშინვე საამწყობო საამქროში გამაქციეს — მავთულსახვევი გორგოლაჭებიანი დაზგა გამოვიდა მწყობრიდან და რაიმე უნდა მოუხერხო. მივედი, ჩავიმუხლე და... მოგეცათ სიკეთე, მე ნერვები დამაწყვიტა ჯერ დაზგამ, მერე კი საამქროს უფროსმა პავლუშამ. ტიპია რა! ჯერ არ შემხვედრია იმისთანა ნერვებაშლილი, ფორიაქა, დაუდგრომელი კაცი; მთელი დღე დაგეშოლ მწვეარივით დარბის, ფუსფუსებს, ამოწმებს დაზგებს, პროდუქციის ხარისხს, აჩხაკუნებს საანგარიშოს, რაღაცას ბუტბუტებს თავისთვის და რაღაცას იწერს უბის წიგნაკში, რომელსაც ყოველ კვირაში იცვლის. დაბალი კაცია პავლუშა, სუსტი, ცარიელი ძვალი და ტყავია. უკვე პენსიაში უნდა იყოს გასული, — ვერაფრით ვერ მოიცილეს თავიდან. მოიკლა ცოცხალი თავი და არ წავიდა ქარხნიდან: თოთხმეტი წლის ვიყავი ამ ქარხანაში რომ დავიწყე მუშაობა და აქვე უნდა დავამთავრო. ისე, მოგეცათ ლხენა, კარგი კაცია, კეთილი, თავისი საქმე იცის. მაგრამ ჩემის აზრით, ერთი ნაკლი აქვს ამ კაცს — ლაპარაკი უყვარს. რომ ჩართავს, დროზე თუ არ უშველე თავს, მტრისას, არ მოგეშვება, სანამ არ დაგაოსებს.

ჰო, ჩავიმუხლე თუ არა დაზგასთან, ჩავიმუხლა მანაც და აღარ მომცილებია მერე, გამიწყალა ტვინი ერთი და იგივე შეკითხვით.

— რავა ფიქრობ მერაბია ბიძია შენე, გამოვა ვითომ რამე?

საღლა მქონდა პასუხის გაცემის თავი, ვმუშაობდი გამწარებული და მუხჯივით ვუქნევდი თავს. კაცი ვერ მიხვდებოდა ეს თავის ქნევა „ჰოს“, ნიშნავდა თუ „არას“. ბოლოს, როგორც იქნა, მოვაბი თავი საქმეს, ერთხელ კიდევ შევამოწმე დაზგა, ჩავრთე და როცა ამუშავდა, ჩავაზილე წიხლი, აწი აღარ გაბედო გაფუჭება მეთქი, გავაფრთხილე. მოვუბრუნდი დაზგასთან დამწუხრებული ჭირისუფალივით მდგარ პავლუშას და ვუთხარი:

— ახლა ქე გავაკეთე აგერ პავლე ბატონო მაგი შენი დაზგა, მარა აწი თუ ისევ გაგიტეხია, ჩემი იმედი ნულარ გექნება, მარტო შენი დაზგებიზა არ მცალია მე.

— მეე მერაბია?—დაირტყა გულზე ხელი, — მე გავტეხო, ბიჭო? რას მუტუნები მაგას? მე რა გამტეხი და გამფუჭებელი მნახე... ისთე ქე ხარ მართალი, მე საამქროს უფროსი კი არა, მხეცების მომთვინიერებელი ვარ, მხეცების... შენ რას კრიჭავ მაგ კბილებს ყველის ვაჭარივით, ბიჭო! —

მიუბრუნდა ამ დაზგაზე მომუშავე ახლგაზრდა ახმახ ბერძენს, რომელიც პავლუმას მონოლოგზე იკრიჭებოდა და ისრესავდა მტაცებელი ფრინველის ნისკარტივით მოკაუჭებულ ცხვირს, — ისე იცინი, დიდი სასახელო საქმე ჩაგედინოს ვითომ. მამაშენიც იტყვის ახლა შვილი მყავსო. მეტი არაა ჩემი მტერი. შენხელა რომ ვიყავი ბიძია მე, სამ დაზგაზე ვმუშაობდი ერთდროულად...

ჩავატე ხელში იმ საცოდავ ბერძენ ბიჭს გამძვინვარებული პავლუმა და გამოვბრუნდი უკან. დავიბანე ხელები და ის იყო ვიფიქრე, ახლა ცოტას დავისვენებ-მეთქი, სარდიონი დამადგა თავზე. მივხვდი რასაც ნიშნავდა მისი გამოჩენა და ტანში დამზრინა.

— რომ დაგინახე მერაბია ბიძია, გელაპარაკები, ამოვისუნთქე, — მითხრა და მკლავში ჩამავლო ხელი.

— ჩემს დანახვამდე თუ არ ამოვისუნთქია, მართლაც ცუდად ყოფილა შენი საქმე. რომ დაგინახე, ვიფიქრე — გაცოფებულ სპილოების ჯოგს გამოქცევია და ეს არის მეთქი.

— ისე გლახათ მაქ საქმე მერაბია, რომ კი ჯობდა სპილოების ჯოგში მოვხვედრილიყავი და ეს ამბავი არ დამმართოდა... რალა ბევრი გავაგრძელო და ცეცხლი მიკიდია, ცეცხლი.

— წყალში ვდგავარ, ცეცხლი მიკიდია, — წავილიდინე, მხარზე ჩამოვადე ხელი და ვკითხე: — არ იტყვი კაცო, რა დაგემართა?

— გავიჭედე ბიჭო, გავიჭედე. გაჭირვებულ კაცს ქვაი აღმართში მოეწიაო. ისეა სტორეთ ჩემი საქმე. აგი მინდოდა ახლა მე ამ გაკეთება დღეში? გეგმაში იმხელა გარღვევა მაქვს, ტანკი გაეტევა, ტანკი... რომ დადგა ის ჩემდაჭირად გაჩენილი ელექტროსარჩილავი აპარატი ოჩან ვირივით ამ დილაზე, ვერაფერი მოუხერხა იმ დამთხვეულმა კარლოიამ...

— წავიდეთ და ვნახოთ რა დაემართა იმ ბეხრეკს, — შევაჩერე მე.

წავედით... წინ სარდიონი მილაყუენებს და აღმართში ამავალ ორთქლმავალივით ახრჩოლებს სიგარეტს, მე უკან მივდევი და ვლიდინებ ჩემთვის... კარგი კაცია სარდიონი, ალალი და გულკეთილი, უსიტყვოდ რომ გაგიგებს და მიგიხვდება, ისეთი. სხვისი ჭირი და ლხინი ახლოს მიაქვს გულთან და ძალიან უყვარს მუშა კაცი... პირადად მე ბევრი კარგი მახსოვს მისგან. მამაჩემის მეგობარი იყო, ახლა უკვე აღარ არის, იშვიათად ხვდებიან ერთმანეთს და ცივად ესალმებიან. როცა მამაჩემის სახლიდან წასვლის ამბავი გაიგო, გადაირია კაცი, შემოიკრა თავში ხელი: ეს რა გაუკეთებია კაცო, ეს რა უქნიაო, დიდხანს ამშვიდებდა დამწუხრებულ დედას: რაც მოხდა, მოხდა ჩემო დაია, წავიდა? მერე რაა? მან იკითხოს თვარა, შენ რა გიჭირს. ღმერთით, მერაბია გაზრდილა უკვე, ახლა იმფერი დროა, კაცი არ მოკვდება შიმშილით. დაამთავრებს საშუალო სკო-

ლას აგერ, წელს, და მერე მე ვიცი და ჩემმა კაცობამო. თქვა და შეასრულა დაპირება კიდევ: ატესტატის აღებაც არ მაცალა, ჩამავლო ხელი და ქარხანაში, თავის საამქროში მიმიყვანა, ორ წელიწადს საბურღავ დაზგასთან ვიდექი, მერე კი ხელი შემიწყო და მექანიკოსთა კურსებზე გამგზავნეს. სამი წელი მექანიკოსად ვიმუშავე. კარგად გავიწაფე ამ საქმეში ხელი და, როცა ქარხნის უფროსი მექანიკოსი სხვა ქარხანაში გადაიყვანეს, მისი რეკომენდაციით, მენდნენ და მთავარ მექანიკოსად დამაყენეს.

შევედით საამქროში.

— ისვენებ? — ვკითხე ანდრეის, ქერა, მალალ ბიჭს, რომელსაც ხელები ჯიბეში ჩაეწყო და ტურისტით დააბოტებდა დაზგებს შორის.

— ვენაცვალე ჩემს აპარატს, — გაიკრიჭა იგი, — არ დამასვენა ბიჭო ამ გაგანია მუშაობის დროს?

— ვიხარია მერე შე ობროდო? — გადაირია სარდიონი, — რა გენაღვლება ბიძია რა, ჩაიწყვე ხელები ჯიბეში და იბორიალე...

— არაფერია! — დავამშვიდე სარდიონი, — მაგის დასვენებას ახლავე მოვუღებ ბოლოს თუ ვყოფილვარ მერაბია.

რიაზანელი ბიჭია ანდრეი, ჩემი საყვარელი პოეტის, ესენინის კუთხიდან. როცა გაიგო რომ ესენინის ლექსები მიყვარდა, როგორც კი მომიხელთებდა და მოიცილიდა, ამოიღებდა ჯიბიდან სათუთად გახვეულ წიგნს, გადაშლიდა და მიკითხავდა და მიკითხავდა...

რა არის მაინც კაცის ბედი. სად არ წაგიყვანს ბედი და გზა. ოთხი წლის წინათ ეწვია იგი ჩვენს ქალაქს. ჩვენთან მოვიდა ქარხანაში. იქ, რიაზანში ცნობილი შემდღუღებელი ყოფილა და ასეთი ოსტატი, რა თქმა უნდა, ხელგაშლით მივიღეთ. პირველად მხოლოდ ერთი სიტყვა იცოდა ქართულად — „გამარჯობა“, ახლა კი ისე ლაპარაკობს ქართულად, რომ რუსი სულ არ გეგონებათ, რა თქმა უნდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქერა თმასა და აპრეხილ ცხვირს. შარშან დაოჯახდა. მექანიკურ საამქროდან ერთ შავტუხა ქართველ გოგოს დაადგა თვალი, გოგოსაც მოეწონა და მეტი რა უნდოდა, დაავლო ხელი და მოიყვანა. ქარხნის კლუბში გადავუხადეთ კომკავშირული ქორწილი. ქარხნის ხელმძღვანელობამ თავი გამოიღო და ოროთახიან ბინაში შეასახლა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი. მახსოვს, ქორწილზე დაიქაღანა ანდრომ: ხუთი ბიჭი, ხუთი ვაჟკაცი უნდა გავზარდო და ხუთივე შემდღუღებელი უნდა გამოვიდესო. ჯერ-ჯერობით დაპირების პირველი ნახევრის ერთი მეხუთედი უკვე განაღდებული აქვს — ბუთხუზა ბიჭი ჰყავს, რომელსაც დედის თვალები და მამის ცხვირი გამოჰყვა... რა არ ხდება ამ ცხოვრებაში: თურმე, ანდრეის მამა და

ჩვენი სარდიონი ერთად იბრძოდნენ ომში. როსტოვიდან რომ დაიწყეს, ბერლინში ჩავიდნენ. ერთხელ თურმე სარდიონს სიკვდილის კლანჭებიდან გამოუტაცნია თავისი რუსი მეგობარი — მძიმედ დაჭრილი, ზურგზე აუკიდია და მთელი ღამე ფეხით გაუვლია ოცდახუთი კილომეტრი. მათი შეხვედრა შემთხვევით მოხდა: ერთხელ ანდრიამ ოჯახიდან გამოგზავნილი სურათი მიიღო და... სარდიონმა იცნო ოცი წლის უნახავი მეგობარი, მერე ისინი ერთმანეთს შეხვდნენ კიდევ. ეს შეხვედრა რკინიგზის სადგურში მოხდა. ღიბხანს კოცნიდნენ ერთმანეთს სარდიონი და ჭალა-რა, ვეება რუსი, იცინოდნენ და მუშტით იწმენდნენ ცრემლებს.

— ჩემი ანდრეი რომ არა ბატკო, ვინ იცის შევხვდებოდით კი ოდესმე? — ეუბნებოდა სარდიონს ანდრეის მამა და მხარზე უტყაპუნებდა უროსავით მძიმე, ვეება მუშტებს თავის ძმაცაცს...

...ჯერ იყო და ჰაერის გადაძვები რეზინის მილები მოვხსენით, მერე სპილენძის მრუდხარა მილები, მერე რადიატორი, კონდენსატორი, მივყევით ნელ-ნელა, მივყევით და არაფერი დაგვიტოვებია დაუშლელი, მოუძრობელი.

— გაკეთების მაგიერ მიშლი ბიჭო? — გადაირია სარდიონი, როცა აპარატიდან ფუტლიარი და რთული, ზერთული და მარტივი მექანიზმის გროვალა დარჩა მხოლოდ.

ნუ გეშინია შენ, ყველაფერი რიგზე იქნება-მეთქი, — დავამშვიდე. კაცმა რომ თქვას, იყო კი ყველაფერი რიგზე? მეტი არაა ჩემი მტერი. დაშლით ქე დავშალე, მაგრამ შემდეგ რა უნდა გამეკეთებინა, უკვე აღარ ვიცოდი. ამ საქმეს ცოტათი დაფიქრება უნდა მეთქი, გამიარა თავში. წამოვსკუპდი არხეინად ზეთით გათითხნილ გრძელ ყუთზე, გადავიდე ფეხი ფეხზე, მოვუკიდე სიგარეტს და ავახრჩოლე.

დამჯდარი რომ დამინახა, ანდრეიმაც, ნამდვილად ასეა საჭიროო, იფიქრა და მომბაძა.

— დასვენების დრო გაქვენ ახლა თქვენ? — შეწუხდა სარდიონი, — ჯერ ააწყვეთ აი დაწყევლილი, ბიძია, და მერე ისვენეთ და ისვენეთ რამდენიც გინდათ.

— დავიღალეთ ჩვენ, — თქვა თავის ფხანით ანდრეიმ, — ამოდენა აპარატის ასე ნაწილ-ნაწილ დაშლა ადვილი გგონია შენ?

— კაი აბა, წაისვენეთ პაწა... რაფერ ფიქრობ მერაბია ბიძია, რაფერაა ვითომ საქმე?

— რაფერაა და მთხლესავით... ეს აპარატი სამუზეუმო ექსპონატია და აქ არ უნდა იდგეს მაგი. რომ ბერავთ და ბერავთ მაგ გეგმებს, ასეთი ტექნიკით შესრულდება გეგმა? რატომ არ დგამენ ახალ დაზგებს?

— სპეციალისტებს ელოდებიან მოსკოვიდან. შენ დადგამ აბა?

— რატომაც არა, ვითომ? ვცდი, დამეხმარებით და დავდგამ.



— თუ დადგამ და კარგს გააკეთებ, მაგი მინდა მე.

გადავაგდე ნაშვი, ავდექი, წამოვაგდე ანდრეი და შევუდექით სკამებს. ეტყობა ფეხზე დგომით დაიღალა ჩვენი სარდიონი, იკადრა, ჩამოქდა ყუთზე, ჯიბიდან გაზეთი ამოიღო, გაშალა და დააცქერდა...

— ამ მამაძალ ამერიკელებს რა უნდებიან იმ ვიეტნამელებთან ვერ გამიგია პირდაპირ, კაცო! — თქვა და გადმოგვხედა.

— რა ვიცი მე, — თქვა ცალყბად ანდრეიმ.

— არაა ახლა პატარა საქმე ომი. არ ჯობია კაცო რაიმე სასარგებლო საქმე გააკეთონ მაგ იმპერიალისტებმა? მაგ ფულით, რასაც იგინი ომში ხარჯავენ, რამდენი ქარხანა, ფაბრიკა, ქალაქი და სოფელი აშენდებოდა.

— მიწერე შენი წინადადება მაგ იმპერიალისტებს და ქე დაგიჯერონ იქნება, — მეცინება მე.

სარდიონი თავს აქნევს და ხელს იქნევს. რა უნდა გელაპარაკოთ უჭკუო ბაღნებსო, გვაგებინებს.

ამას წინათ ვიეტნამისადმი სოლიდარობის მიტინგზე სარდიონი ისეთი მოხსენებით გამოვიდა, რომ ყველას მოგვეწონა და ტაშით დავაჯილდოვეთ.

ჩვენ ვმუშაობთ, სარდიონი კი გაზეთს კითხულობს და დროგამოშვებით ლოზუნგებით გადმოსვრის რალაც შენიშვნებს, წინადადებებს. ვიეტნამიდან შორეულ ჩილეში გადადის, იმ პეონივით უხარია, რომელსაც სახალხო მთავრობამ მიწა და საცხოვრებელი მისცა... ჩვენ ვმუშაობთ, გარეთ კი მზეა, დიდი, ბრიალა მზე და მოწმენდილი ლურჯი, მაღალი ცა. ფანჯარაში იჭყიტება ზენიტზე მდგარი მზე და გულითად ძმაცაცოვით მიკრავს თვალს, მეც ვუპაჭუნებ თვალს და ვუცინი მზეს — ეჭვი, როგორა ხარ მზეო?! — ვეკითხები გუნებაში. თითქოს ესმის ჩემი. იღიმება მზე, რა ენაღვლება, რა აქვს აბა მეტი საქმე? ძალიან მიყვარს მზე და განსაკუთრებით ამომავალი. რაღა მეშველებოდა შენ რომ არ იყო მზეო — მეგობარო, მეოხეც და მოყვასო ჩემო! რატომღაც ბავშვობიდან დამჩემდა ასე: დილით ადრე ვდგები, ვაღებ ფანჯრებს და შევცქერი მზის ამოსვლის გორას. მზე ჩემს ქალაქში ქოჩორა ტყით დაფარული მთის წვერიდან მოდის მუდამ. ამოიწვერება მთის წვერზე დინჯად, ობობას ქსელივით გააბამს სხივებს და გადაანათებს ყოველ კუთხეს, ყოველ კუნჭულს. ვუცქირო ამომავალ მზეს — ეს მთელი ცხოვრებაა ჩემთვის, მთელი მუსიკა, პოეზია. ვისუნთქავ დილის სუფთა, გამჭვირვალე, ოდნავ ტენიან ჰაერს, ვუშვერ მოღელილ მკერდს მზის სხივებს და გარინდებული ვიღიმები ჩემთვის. მინდა ფირალივით დამეცეს, მომესალმოს მისი სხივები, რომ მთელი ჩემი სხეული დაიმუხტოს სითბოთი და სინათლით, რომ მერე, ქარხნისაკენ მიმავალმა ღიმილსა და დილა მშვიდობასთან ერთად დავეურიგო ყოველ მეგობარს. ყოველ ნაცნობს, დიდსა და პატარას.

სამუშაო საათები მიიწურა, გამორთეს დაზგები, დაისვენეს ყურებ-  
მა, ყველანი წავიდ-წამოვიდნენ და დავრჩით სამნი უზარმაზარ საამქრო-  
ში. მერე კი მხოლოდ ორნი შემოვრჩით: დირექტორი თათბირს ატარე-  
ბსო, თქვა სარდიონმა და წავიდა.

ვმუშაობ და რასა და ვის არ ვიხსენებ ხოლმე. ანდრეის აბა როგორ  
გააჩერებ ჩუმად, გაუთავებლად ლაქლაქებს, ახლა მოუნდა რიაზანის გახ-  
სენება და მოენატრა გაფრენილი ბავშვობა.

— ბედი არ გინდა კაცო? — მითხრა მერე, — დღეს გაფუჭდა მა-  
ინცადამაინც ეს ოხერი, ერთხელ წამომცდა ცოლთან — კინოში წავიყ-  
ვან მეთქი და... ზის ალბათ ახლა და მეღის.

მელიმება: მეც ახლა მახსენდება რომ ანდრეის ცოლივით კიდევ გა-  
წბილდა ერთი ვიღაც, ვიღაც კი არადა ჩემთვის ყველაზე სანუკვარი არ-  
სება — სონია. ვინ იცის როგორ მაგინებს ახლა.

— წადი, — მივუბრუნდი ანდრეის, — წადი, ანდრეი.

— სახლში? არა ძმაო, როგორ დაგტოვო და წავიდე? არა, ჩვენ ერ-  
თად წავალთ.

აპარატი ავაწყეთ, ჩავრთეთ და.. არაფერი. ჩამოვჯექი ყუთზე დაღ-  
ლილი და დაბოღმილი, ბოქინტებივით შევეყუყენე გაზინთული ხელის-  
გულები ნიკაპს და გამგმირავი მზერით მივაჩერდი ჩემი სისხლის გამშ-  
რობს. რაც უნდა ნამუსგარეცხილი ყოფილიყო, ასეთი მზერით სირცხვი-  
ლით დაიწვევბოდა, მაგრამ რკინა იყო და რკინას სად გააჩნდა ამისი უნა-  
რი... უკანასკნელი საშუალება ვცადეთ: ვეცით წყლით სავსე ავჯს, ამო-  
ვხაპეთ წყალი, გავწმინდეთ, ისევ ავავსეთ.

— ახლა თუ არ ამუშავდა, დედას გეფიცები, მოვიტან საზეინკლო  
ჩაქუჩს, მივდგები მაგ შენ წყეულ აპარატს ანდრე და სულ დავფშენი, —  
ვუთხარი ანდრეის.

— მასე ეკადრება მაგ გაოხრებულს, — მითხრა მან, — აგერ ვარ  
მეც და ქე წავახმარ ხელს.

ჩავრთეთ — არაფერი, არავითარი ნაპერწკალი, არავითარი რეაქცია.  
დასამტკრევად მაინც ვერ გავიმეტე, გულის მოსაფხანად ერთი ბოღმიან-  
ნად მივაფურთხე და მეტი არაფერი. სწორედ ამ დროს შემთხვევით გა-  
დავხვდე რეზინის მილებს და აღმოვაჩინე ის, რაზედაც მთელი ოთხი სა-  
ათი ვიმტკრიე თავი.

— ევრიკაა! — ვიყვირე მე.

— ცუდად ხარ ძმაო? — მკითხა ჩემს ყვირილზე შემკრთალმა ანდრე-  
იმ, — დაისვენე და ნუ იკლავ თავს, წავალ, მოვიტან უროს და დავფშ-  
ენი ახლა.

— ურო არ არის საჭირო, — ვუთხარი და ერთ-ერთი რეზინის მი-  
ლიდან გაჩხერილი ფოლადის მრგვალი ფირფიტა გამოვაგდე.

ჩავრთე, ამუშავდა. გახარებულმა ანდრეიმ რიაზანული ჩამოუარა და თქვა:

— აი, რა ძნელია ხოლმე ჭეშმარიტების დადგენა, ძმაო!

დაცვივდით დალილები ყუთზე და სწორედ ამ დროს მექანიკური საამქროს გამმართველი რეზო შემოვიდა. ბანცალით მოდიოდა, პირში გრძელტარიანი პაპიროსი გაეჩარა და აბოლებდა. ხელში ბადროს მტყორცნელივით ეჭირა ფოლადის კბილებიანი დისკო. საკმეველივით მომახრჩოლა ბოლი და შემეხვეწა:

— მერაბის ჭირიმე, ერთი ამიხსენი თუ ძმა ხარ, ამ დისკოს რა მოგუხერხო? არ იქნა და არ ჩაჯდა ჭრილში, არადა ჩვენმა საამქროს უფროსმა სისხლი გამიშრო: ხვალ დილით ხალხი დამიცდება, როგორც გინდა ეგ საქმე ამ საღამოს მოათავეო.

— დილით სად იყავი? — ვკითხე დალილმა.

— დილით? დამავგიანდა კაცო, კინაღამ მომკლა პავლუშამ, სულ ზარმაცი და გაოხრებულისერთი მიძახა, მერე მიზეზი რომ ვუთხარი, დაშვიდდა და მომილოცა.

— რა მოგილოცა კაცო, დავგიანება?

— არა, კაცო, ბიჭის შეძენა!

— ეს სხვა საქმეა, — ვთქვი და ყური ავუწვიე ყურებამდე გაღიმებულ მამას. მერე დისკო ჩამოვართვი, კბილანები შევამოწმე, ნახაზი მოვატანინე და ყველაფერი ავუხსენი.

— მაღლობელი ვარო, — თქვა და დაუმატა: — იცი, რაფერ გაუხარდებათ შვილიშვილი ჩემს ბებრებს? გადაირევიან სიხარულით. უკვე ვაფრინე დეპემა სოფელში.

— აბა გაგებული ექნებათ უკვე, — თქვა ანდრეიმ.

— ექნებათ, აბა არა?!

...სოფელი... ბებრები... დედაჩემის დასაფლავებიდან სამი კვირის შემდეგ ჩავედი დედუღეთში. დარდს მოეხარა წელში ბებია და ბაბუა. დედაჩემი მეშვიდე შვილი იყო მათი, ნაბოლარა. ექვსი შვილი რუსეთის ტრამალებში იწვა... პატრონის მომლოდინე ძალივით სულ ჭიშკრისაკენ ჰქონდათ თვალები მარტოობით თავმოზერებულებს. რომ დამინახეს, ცას ეწიენ სიხარულით, მეორეჯერ გამოიტირეს დედაჩემი. კაბის კალთით, ყაბალახის წვერით მოიხოცეს დამქანარ ლოყაზე ჩამოგორებული კურცხალი. შემომიჩინდნენ მერე: მარტოდ ვართ ბიჭო, ჩამოდი ავერ, ჩვენთან, იცხოვრე ჩვენთან, კი უცხოვრია კაცს სოფელში. უარი ვთქვი — არა, არ შემიძლია მეთქი. მაინც აღარ ყოფილა ჩვენი საშველიო — გამოიტირეს თავი და ჩაქინდრეს თავები. სამ დღეს დავრჩი სოფელში და მეოთხე დღეს ბანცალით, დაბიჯებული ჯოხებით მომაცილეს ჭიშკართან... ეს იყო ჩემი უკანასკნელი შეხვედრა მათთან, მერე მე ისინი მხოლოდ მიცვალებულები

ვნახე, — ერთ დღეს, ერთ ლოგინში მშვიდად დახოცილები... მას შემდეგ სამი წელი მიილია აგერ და ახლაც ვერ მიპატიებია მაშინდელი უარი ჩემი სულელი თავისათვის, სხვა თუ არ შემძლო რა, დავპირბოდი მაინც. ბაბუაჩემის ნასახლარზე სხვა ცხოვრობს ახლა. მე თუ არა, სხვა ხომ ცხოვრობს და, რაც მთავარია, ისევ იწვევრება სამხადის სახურავში დაკლანილი კვამლი, ისევ კიაფებს კერაზე ალი, ისევ ყვივის მამალი, ცხვება მჭადი, ილესება ლობიო, ირწვევა აკვანი და ღამის სიმყუდროვეს არღვევს აშვებული ძაღლის ყეფა.

ის-ის იყო რეზო წავიდა და სარდიონი შემოვიდა.

— გადაკარი ბიძია? — შეეკითხა ანდრეი.

— რავა სულ გადაკვრა ახსოვს ამ უღლეურს, — გაიცინა სარდიონმა, — ახლა დამთავრდა კრება კაცო, — მუხლისთავებზე ხელისგულების დაბჯენით ჩამოვდა ყუთზე და იკითხა: — რა ქენი ბიჭო?

ანდრეის თვალი ჩავუკარი და ვუთხარი:

— ეს არ გაკეთდება.

— აუხ! — შემოირტყა ხელი თავში, — მომკალი შენი ხელით და იგია, რა ვქნა ახლა მე?

პასუხად, მიუჯდა ანდრეი აპარატს, ჩართო და შეუდგა დღის სინათლის ფუტლარების შედუღებას.

გადაირია სიხარულით სარდიონი: — აგია არ გაკეთდებაო? აგია შე პლურტო? მომატყუე ხომ? უხ, შე ეშმაკო... აწი მე ვიცი და ჩემმა ბიჭობამ. რა გეგმა დამიმაგრდება აწი მე... ბღღვირს ვადენ, ბღღვირს... იცით, ბიჭებო, რა დავადგინეთ კრებაზე: დირექტორმა სვერდლოვსკის ჩარხსაშენებელი ქარხნის დირექტორის მოწერილობა წავგვიკითხა, გვპირდება ის კაცი — ჩარხებს პირველ რიგში თქვენ გამოგიგზავნითო, ახალი კონსტრუქციისა ყოფილა ი ჩარხები, ჰოდა, დავადგინეთ, ათი ახალგაზრდა მუშა გავგზავნოთ ამ თვის ბოლოს სვერდლოვსკში კვალიფიკაციის ასამაღლებლად... ჰო, შენზეც ვუთხარი დირექტორს, — მომიბრუნდა მე, — მოსკოვიდან რომ ვიბარებთ სპეციალისტებს, იმ დაზგა-დანადგარებს მერაბიაც დაამონტაჟებს მეთქი. შორს დაიჭირა, ვერ შეძლებსო. შევაგულიანე და დავითანხმე. ორშაბათს დაგიბარებს და აბა შენ იცი ბიძია, არ შემარცხვინო, თავი არ მომჭრა იცოდე.

— ნუ გეშინია, — დავამშვიდე მე, — აბა მითხარი ერთი, ოდესმე შემირცხვენინხარ სარდიონ ბიძია?

— არა, შვილო! — მითხრა დაყვავებით.

ვზივართ დაღლილები, მაგრამ კმაყოფილები და ვსაუბრობთ. სარდიონი თავის ფრონტელ მეგობრებს იხსენებს, განსაკუთრებით ჯეხანგირ ქერბაბაევს — მომავალ წელს ჩემს ყარდაშსა და ყონაღს უნდა ვესტუმ-

რო აულშიო. ქერბაბაევი ტაშკენტის ოლქის ერთ-ერთი აულის კოლმეურ-  
ნეობის თავმჯდომარეა: უამრავი ბამბა მოჰყავთ იმ აულში. ქერბაბაევის  
ქალიშვილი ზულფია ჩვენი ქარხნის რძალია. ეს ამბავი პირდაპირ ზღაპა-  
რითაა და რომ არ მოგიყვეთ, არ შემიძლია. გასულ შემოდგომაზე ქე-  
რბაბაევი თავისი ქალიშვილით ესტუმრა სარდიონს. ერთ კვირას დარჩა,  
მერე ქე გაბრუნდა უკან. ზულფია კი დატოვა: ცოტახანს დაისვენებს,  
ზღვაზე იბანავებს. მერე ჩამისვი თვითმფრინავში და უკან გამომიგზავნეო,  
დაუბარა სარდიონს.

ერთ დღეს ზულფია ქარხანაში წამოყვა სარდიონს. ისეთი გოგო  
იყო, თვალები დაუყენა ჩვენს ბიჭებს. მომაჯადოვებელი ღიმილი ჰქონდა  
ზულფიას, კოჭებამდე დაშვებული ნაწნავები, შავი, ყუყუნა თვალები  
და უზბეკურ ბამბასავით თეთრი კბილები. სტუმარს თვალი დაადგა და-  
მამზადებელი საამქროს ცვლის ოსტატმა ჯუმბერმა, და იმდენი მოახე-  
რხა, რომ ერთ კვირაში ქე მოსტაცა შეეტუნა სტუმარი სარდიონს. გა-  
დაირია სარდიონი, ეს როგორ გამიბედესო, მერე დაწყნარდა, ჩავლო  
ყურებში ხელი მომტაცებელსა და მოტაცებულს და მიადგა მმაჩის ბიუ-  
როს. ჯერ ქარხანაში გადაიხადეს ქორწილი, მერე ჩვენთან დაწყებული  
ლხინი შორეულ აულში გააგრძელეს.

— კაცო, შვილი დაგიტოვე და ვერ მოუარე, მოგტაცეს და აგერ  
ქართველი სიძე მომაყენე კარზე, — უთხრა ქერბაბაევმა სარდიონს სად-  
ღეგრძელოში, — ამის გამო გაჯარიმებ და გავალბებ, რომ ორი კვირის გა-  
ნმავლობაში იმ გრძელი და ტკბილი ხილის ნერგი გამომიგზავნო, შარ-  
შანწინ რომ მახვედრე ისეთი, დავრგავ კაცო, იქნება ქე იხაროს.

თურმე სარდიონს ჩურჩხელები გაეგზავნა მისთვის და იმაზე ამბო-  
ბდა. არ შემიძლია მაგიო, გაასავსავა ხელი სიცილისაგან თვალზე ცრემლ-  
მომდგარმა სარდიონმა.

თქვენ სიცილი მაშინ გეკითხათ, როცა უზბეკებმა გაიგეს თუ რო-  
მელი ხე ისხამდა ქართულ ჩურჩხელებს.

ზულფია ახლა ჩვენს ქარხანაში მუშაობს, მაქოსავით მოძრავი, ცო-  
ცხალი გოგოა, მისი სურათი მოწინავეთა დაფაზეა და სურათზეც ისევე  
ლამაზია, როგორც ცხოვრებაში.

სარდიონი საამქროში დარჩა, მე და ანდრეი კი წავედით. ჯიხურთან  
ქარხნის დარაჯმა კარაპეტამ შემაჩერა:

— ხვალ სათევზაოდ წავიდეთ, ცავატანემ?

— ხვალ? დრო თუ დარჩა, აუცილებლად. შენ ბადე გაამზადე და...

— მაგი ჩემზე იყოს ცავატანემ.

ვეება კაცია კარაპეტა, დიდრონი თვალები აქვს და ვეება მუშტები...

ყოფილი მოკრივეა და მასთან შემკამათებელს ერთის მაგიერ ცხრა თვე უნდა ებას. ცხვარივით კაცია, წყნარი, არავის არ აწყენიებს, ყველას „ცავატანემს“ ეუბნება. ქალაქგარეთ ცხოვრობს, პატარა კოხტა სახლი და პატარა საბოსტნე მიწა აქვს. მე ხშირად მიგემნია მისი მოწეული ხილი და ბოსტნეული.

— ჰო, ვილაც გოგომ გიკითხა წელან, — მითხრა მან, — გარეთ გელის ალბათ.

სონია თუ იქნებოდა მეთქი, გავიფიქრე.

ანდრეი იქვე, ქარხნის გვერდით ცხოვრობდა და ჯიხურთან დამემშვიდობა.

— მერაბ! — დამიძახა ვილაცამ, შევჩერდი და მოვიხედე: სონია იყო... სონია!.. როგორ არ სურდა დედას რომ მე სონიასთან გამეველო, რამდენჯერ შევეკამათდით ამაზე, მახსოვს. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ სონია არ იყო ქართველი, თუმცა სულ ჩვენებურად ლაპარაკობდა. მე ისევ სონიასთან დავდივარ, რადგან მხოლოდ ერთი გოგო მიყვარს ამ ქვეყანაზე და იგი სონიაა. იგი შესანიშნავი გოგოა და საერთოდ ადამიანია, ადამიანი!

მივუყვებით ლამპიონებით გაჩახჩახებულ ქუჩას. სონია გაუთავებლად ტიტინებს, იცინის, მიყვება დღევანდელ შთაბეჭდილებებს, მე ყურს ვუგდებ და ჩუმად, წყნარად ვიღიმები, როცა დაღლილი ვარ და ყურს ვუგდებ სონიას ბავშვურ ტიტინს, ეს მთელი ნეტარებაა, ეს მუსიკაა...

— სულ მე უნდა ვილაპარაკო? — ბრაზდება სონია, — რატომ არ იღებ ხმას?

— დავიღალე, — ვეუბნები და სიყვარულით ვუჩიჩავ აბლონდილ შავ თმას, რომელიც ისე ლიცლიცებს ლამპიონების შუქზე, როგორც წყნარი ზღვა ჩამავალი მზის სხივებზე.

— აბა მეც გავჩუმდები, — ამბობს გაბუტული და მერე რამდენიმე მეტრს დაუბრებულეზივით მივედივართ მართლაც.

მხოლოდ რამდენიმე მეტრს... მეტს ვერ ითმენს, არ შეუძლია დუმილი და მოკალი, ისევ განაგრძობს ტიკტიკს. მეცინება.

— გაიცინე ჰო, გაიცინე, — მსაყვედურობს იგი, — ბოროტი ხარ, ჩემი წვალება გიყვარს.

ნაზად, ფრთხილად ვუსვამ თავზე ხელს და ისე ვეფერები, როგორც ბავშვს. იგი მართლაც ბავშვია, ჯერ თვრამეტისაც არ არის, ჩემი დიდი, გულკეთილი, ალაღალი ბავშვი.

ვუახლოვდებით სახლს, სადაც მე... ვცხოვრობ. ვდგავარ და შევცქერი ჩაბნელებულ ფანჯრებს.

— ამოხვალ? — ვეკითხები ყოყმანით.

— უხერხულია! — ამბობს და იჩიჩავს მხრებს.



გვიდებ მკლავში ხელს და ფრთხილად ავდივართ კიბეზე. გულში არავითარი ცუდი და ბოროტი არ მიდევს, მაგრამ მაინც... არ მინდა მეზობლებმა რაიმე ცუდი თქვან ჩემზე, თანაც სონიასა და ჩემი სახელი რამ გაპყო? ვალებ კარს, ვანთებ სინათლეს, სონია ჯერ ჯდება, მერე ისევ დგება და... წესრიგი და სისუფთავე არ გიყვარსო, მთათხავს თავისებურად და გამოცდილი დიასახლისივით იკაპიწებს. ათწუთში წესრიგში მოკყავს ოთახი. უსიტყვოდ ჯდება სკამზე და დაღლილი ღრმად სუნთქავს. ვუახლოვდები და ისევ წმინდად და ნაზად ვეფერები.

— გამშორდი! — არ მიკარებს იდაყვის კვრით, ისევ დგება და მაიძულებს, ტაშტი, წყალი და იატაკის საწმენდი ჩვარი მოვუტანო. უსიტყვოდ ვასრულებ მის ბრძანებას, ვცდილობ მივეხმარო. არ მიკარებს, მაგი არაა კაცის საქმეო.

— არ გინდა? კარგი აბა! — ვამბობ. საფოსტო ყუთიდან გაზეთები ამომაქვს. აბა, წერილიც ყოფილა, ვალიას გამოუგზავნია... ვალია!... როგორც უკვე გითხარით, როცა ქარხანაში მიმიყვანა სარდიონმა, საბურღავ დაზგასთან დამაყენა და ჩემი პირველი მასწავლებელი ვალია იყო. პირველ ხანებში ვერ გავუგეთ ერთმანეთს მასწავლებელმა და მოსწავლემ. ასე მეგონა, იგი გადაჭარბებული სიმკაცრით მეპყრობოდა. მერე დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი. სრულებით არ იყო მკაცრი, სამართლიანი იყო და მომთხოვნი. სწავლება არ ეზარებოდა, ასჯერ, ათასჯერ აგიხსნიდა ერთი და იგივეს. პირველ ხანებში ძალიან მიჭირდა, ერთხელ ვუთხარი კიდევ, აქ მუშაობა არ მინდა მეთქი.

— აბა რას აპირებ? — მკითხა მკაცრად, — უფრო ადვილ საქმეს მოძებნი ხომ? აი, ასეთი ხართ ეს ომისშემდგომი თაობა. მზამხარეული გინდათ. რას ნიშნავს რომ ომი და შიმშილი არ გამოგიცდიათ. ვალიას ორივე გამოეცადა, ომიც, შიმშილიც. ომი რომ დაიწყო, ქმარი ფრონტზე წავიდა, თვითონ კი სამი მცირეწლოვანი ბავშვით, დიდი გაჭირვებით მოეწყო სამხრეთისაკენ მიმავალ ეშელონში. ჩვენს ქალაქში კი მარტო ჩამოვიდა, დარდისაგან გაჭადრაკებული და საცოდავი... სამივე ბავშვი როსტოვის მახლობელ ტრამალებში დაჩხა სამუდამოდ... სულით არ დაეცა ქალი, ქვითკირივით გაუმაგრდა ჭირს, ქარხანაში დაიწყო მუშაობა. მუშაობდა და ელოდა. ბოლოს მაინც გაუმართლა. ერთ დღეს განხარებულნი მოვიდა ქარხანაში, ხელში წერილი ეჭირა, ჩემი ქმარი გამოჩნდაო — მოგვახარა და წაგვიკითხა წერილი. მერე საჩქაროდ შეკრა ბარგი. სადგურზე მე გავაცილე, სანამ მატარებელი გავიდოდა, სულ ტიროდა და ტიროდა. არ მინდა აქაურობის მიტოვებაო, ამბობდა და ჭრელი ცახოცის კილით იწმენდა კურცხალს ეს გულკეთილი უკრაინელი ქალი.

მატარებელი დაიძრა, იგი ფანჯარასთან იდგა და მიქნევდა ხელს...

...გავშალე წერილი და სურათს წავაწყდი. სურათზე ვაღია იღუმე-  
ბოდა, გვერდით მამაკაცი ედგა, სიმპათიური, მალალშუბლიანი, გრუზა-  
თმიანი, ტუჩქელი. მივხვდი — მისი ქმარი იყო.

— მერაბ, ჩემო ბიჭო! — მწერდა ვაღია, — როგორა ხარ? წერი-  
ლის გამოგზავნა შემადგვიანდა, მაგრამ უნდა გამიგო, ამდენი წლის უნა-  
ხავ ქმარს შევხვდი და ხომ იცი... გასულ კვირას ბავშვების საფლავები  
მოვინახულეთ მე და პეტია, ბევრი ვიტირე... ჩემი ქმრის თავგადასავა-  
ლი რომ მოისმინო, მთელი კვირა არ გეყოფა. ზაფხულში ჩამოვალთ  
ორივენი. უნდა ვაგაცნო. ვიცი მოგეწონება ჩემი ქმარი... ძალიან მენა-  
ტრებით ყველანი. მომიკითხე და ჩამიკოცნე ყველა, განსაკუთრებით ჩვე-  
ნი ტკბილი სარდიონი. ჰო, ჩემო ბიჭო, მანდ ჩემი მისამართი წერია და  
აუცილებლად გამომიგზავნე წერილი.

ერთხანს გარინდებული ვატრიალებ ხელში წერილს და ვიღიმები,  
მერე საჩვენებელი თითით ვისრესავ შუბლს და ჩურჩულით, წყნარად  
ვაძობ:

— გამოგიგზავნი და მეტი არა?! აუცილებლად გამოგიგზავნი ვაღია,  
წერილს!

— ვისი წერილია რომ კითხულობ მაქ? — ფიქრიდან გამოვყავარ სო-  
ნიას შეკითხვას. ვაბრუნებ თავს და შევცქერი. ხელში სველი ჩვარი  
უჭირავს და დაჟინებით მიცქერის.

— ვაღიას წერილს... — ვეუბნები მე.

— ვაღია ვინაა? — დაუფარავი ქალური იჭვია ამ კითხვაში.

ვუწვდი წერილს, სველ ხელს იწმენდს და მიწვდის ჩამოსართმევად,  
მერე ისევ უკან მიაქვს ხელი და ამბობს:

— არ შეიძლება სხვისი წერილის წაკითხვა.

— ეს ქალი ჩემი მასწავლებელი იყო ქარხანაში, — ვუხსნი და ვუ-  
ყვები თუ ვინაა ვაღია...

— ჰოო, — ამბობს მშვიდად, — საწყალი ქალი... კარგია მაინც რომ  
ბოლოს გაუმართლა.

— კარგია და მეტი არა? — ვეთანხმები, სათუთად ვკეცავ წერილს.  
იგი კი იჩოქებს და განაგრძობს იატაკის წმენდას.

შემდეგ სახლში ვაცილებ. ახლა იგია დაღლილი და სდუმს. მე ვლა-  
პარაკობ და თან ვთხოვ — ილაპარაკოს. ხათრს არ მიტეხს და ასე საუ-  
ბარ-საუბრით მივადექით მის სახლს.

სადარბაზოსთან ჩერდება, ხმამაღლა იცინის და მეუბნება: — აქ  
საზღვარია, აკრძალული ზონა... მერე ასხენდება რომ ამ სახლთან, როცა  
ბიჭი გახლავს, მართლაც საზღვარია და... არ შეიძლება ხმამაღლა კის-  
კისი. კრთება, დაბნეული აცეცებს თვალებს და იფარებს პირზე პაწაწა  
მუწტს.





— ხვალ საღამოს კინოში წავიდეთ? — მეკითხება წყნარად.

— წავიდეთ, — ვეთანხმები, და ვუხსნი საღ უნდა შემხვდეს.

— კარგი აბა! — მეუბნება, ფეხისწვერზე დგება, შუბლს მიკოცნის და კიბეზე აბზის. ვდგავარ და ყურს ვუგდებ მისი პაწაწა ფეხებით გამოწვეულ ხმაურს. მერე მალლა, მეორე სართულის ერთ-ერთი განათებული ფანჯრის ფარდა იწვევა და ისვეტება შავი, მთრთოლვარე ლანდი. ხელს ვუქნევ ლანდს და ღიღინ-ღიღინით მივემართები შინისაკენ.

ჩემს საღარბაზოსთან ვჩერდები, შევცქერო ვარსკვლავებით მოჭედო ცას და ვაშობ ჩემთვის: — კარგი დარი იქნება ხვალ და მე და შენ სათევზაოდ წავალთ ძია კარაპეტ, ხომ წავალთ „ცეცატანემ“.

ვღვები, ვიცვამ, ვსვამ ჩაის და გავდივარ სახლიდან. ქრის ქარი და წვიმს, წვიმს გაუთავებლად. მოჟამული დღეა. საგაზეთო კიოსკთან ვჩერდები, ვყიდულობ გაზეთს და კითხვა-კითხვით მივუყვები ქუჩას.. გადავადვ სველი გაზეთი და განვაგრძე გზა... ნაღვლიანი დღეა, ცივა და ცახცახებენ ქარდაბერილი ყვითელი, სანახევროდ დამჭკნარი ფოთლები, სანახევროდ გაძარცვულ ხეთა ტოტებზე, წვიმს და ხმაურობს ქარისაგან ატორტმანებული წვიმა.

მოულოდნელად მამა დავინახე. შევკრთი და შევჩერდი. ნელა მოუყვებოდა სუსტი, ნაღვლიანი მამა ნათქემარ, ნაძვის ყავისფერი წიწვითა და დამჭკნარი ფოთლებით მოფენილ ტროტუარს.

დამინახა, შედგა და შეკრთა მამა. მერე უხმოდ გამოემართა ჩემკენ.

უსიტყვოდ, თვალებით მივესალმეთ ერთმანეთს. გავუყვით ქუჩას და დაუბრებულებივით მივიდიოდით კარგახანს... მამა სასოსისეში შემოძღვა... მოვიტანეთ ქაფქაფა ლუდი, ცხელი სოსისეები და მივუჯექით მაგიდას. ლუდი მოსვა მამამ, ცალი თვალთ გამომხედა და მკითხა:

— შენი საქმეები როგორ მიდის?

მხრები ავიჩეჩე და ვთქვი: — ისე რა, ჩვეულებრივად.

შემხედა, სიგარეტს მოუკიდა და ნერვიულად გააბოლა... ეწეოდა, დუმდა და ინტერესით, დაყინებით მიყურებდა. მერე რაღაც მკითხა, ვუპასუხე, ისევ მკითხა, ვუპასუხე. მივეყვით და მივეყვით ასე; იგი მეკითხებოდა, მე ვპასუხობდი. ამდენმა შეკითხვებმა დამალა. შეგბრუნდი, ქუჩას დავაცქერდი. გარეთ ისევ ქროდა ქარი, წვიმდა და ებრძოდნენ ყვითელი, დამჭკნარი ფოთლები შემოდგომის მოშვარიათებული დღის გამძაფრებულ სტიქიონს.

მერე ისევ შემოვბრუნდი და ხელები მაგიდის კიდეზე დავაწყვე. გამხდარ სახეზე ჩამოისვა გამხდარი, ნერვიული ხელი მამამ და ჩემი დის ამბავი იკითხა.

ტოლჩა ავიღე, ლუდი მოვსვი და ვთქვი: — რა ქნას...  
თავი გააქნია, ეეზო, თქვა, ადგა და ჩაის ჭიქით მოიტანა არაყი.

— დალევ შენ? — მკითხა.

— არა! — ვთქვი და რატომღაც შემეცოდა იგი.

ერთხანს ზიზლით დასჩერებოდა არაყს (იგი არასოდეს ყოფილა სასმელის მოყვარული და ახლა მხოლოდ იმიტომ სვამდა, რომ უჭირდა). მერე პირწავარდნილი ლოთივით წამოავლო ხელი ჭიქას, მოიყუდა და მოწყურებულებით, წყალივით გამოსცალა. დადგა ჭიქა, მუშტი მიიფარა პირზე, დააორთქლა მუშტს, შეატანა შეციებული სოსისი და ტუჩების ოღნავი ცმაცუნით დაიწყო: — არ მელაპარაკება უფროსი შვილი. გვერდი ამიარა ამასწინათ. სახლში მივაკითხე, ცხვირწინ მომიკეტა კარი, შვილიშვილები არ მანახა: — დედაჩემი შენ მოინელე და მოკალიო. მე მოკალი? მე? მითხარი ერთი: რა მევინელე მე? ეხ, თქვენ რა იცით ბაღნებმა, რა... — მაგიდაზე მუშტი დაათხლიშა. მთვრალივით შეტორტმანდნენ ლუდის კათხები, ზანტად მოიხედა სქელუა მებუფეტემ და რაღაც ჩაიბურღლუნა.

— დედაშენის სიკვდილი რომ გავიგე, ერთი სიკვდილი მოგკვდი, მაგრამ ვერ მოვედი. როგორც გინდათ ისე გამიგეთ შენ და შენმა დამ... — შეჩერდა, რაღაცაზე ჩაფიქრდა და მოულოდნელად მკითხა: — შენ მარტო ცხოვრობ?

— მარტო!

— ჰოო... გადმოდი ჩვენთან იცხოვრე, რა გაგაძლებინებს მარტო.

— არა, — ვუთხარი მე, — შენთან რა გამაძლებინებს, მამა.

— ვიცი მე, ვიცი... ის ქალი... შენ გძულს იგი... ქე მითხრა, ნუ გეშინია, ამასწინეგზე.

„ის ქალი“ მისი მეორე ცოლი, რომელმაც მამას ოჯახზე ააღებინა ხელი, ჩვენი ქარხნის საქმეთა მმართველია. დასანახავად მეჯავრება ეს მაღალი და ლამაზი, ტანწერწეტა ქალი. როგორც კი მას დავინახავ, ყოველთვის დედა მახსენდება და გულზე საშინელი ბოღმა მაწვება. ის ქალი ალბათ ხვდება ამას და ყოველთვის ცდილობს გვერდი ამიაროს. მან მხოლოდ ერთხელ სცადა დამლაპარაკებოდა. ეს იყო დედის დასაფლავების შემდეგ, როცა დარდისაგან გამოლენჩებული, წვერმოშვებული მივედი ქარხანაში. ეს იყო დილით, სამუშაოს დაწყების წინ, ქარხნის შესასვლელთან. მე არ გავუჩერდი...

— იცი შენ რომ ძმა გყავს? — მითხრა მამამ.

— ძმა?

— კი, ოთხი წლისაა უკვე... არ გინდა ნახო?

ჩავფიქრდი, და როცა მივხვდი, რომ არავითარი სურვილი არ მქონდა მისი ნახვისა, ვუთხარი: — არ მინდა, მამა.

კონველსურმა ტკივილმა დაუღმიჭა სახე: — ვიცი მე, არც ერთს არ გინდობართ, არც ერთს. შენ დაზე უარესი ხარ, შენი ძმა არ გინდა ნახო, ცივი ხარ, მიუკარებელი...

— არ მინდა მამა, — გავიმეორე მე, — მე არაფერი არ მინდა, მამა. ერთხანს ორივენი ვდუმდით, მერე მე დავესვი ერთი კითხვა: — მამა, შენ ბედნიერი ხარ?

შეაკრთო და შეაცბუნა ჩემმა შეკითხვამ იგი, დიდხანს სდუმდა პირმოკუმული და მოღუშული, მერე ნელა გაისვა ხელისგული შუბლზე, სადაც გულივით უცემდა მდინარესავით მოლურჯო ძარღვი და მითხრა ერთ წერტილს თვალმიშტერებულმა:

— არ ვიცი, არაფერი არ ვიცი, ჩემო ბიჭო... — ადგა, არც გამოშვებულობებია, ისე ადგა და წავიდა.

ვიჯექი და გავცქეროდი ქუჩას, რომელზედაც მიდიოდა ჩემი დაღლილი, სუსტი, ნერვიული, უგუნური, მოლაღატე მამა, რომელსაც ძალიან უნდოდა მართალი ყოფილიყო ყველას თვალში, განსაკუთრებით კი საკუთარი სამსჯავროს წინაშე. მაგრამ, ვერ ახერხებდა ამას და ამის გამო იტანჯებოდა, ნელა, წყნარად, იტანჯებოდა.

„მამა, — გავიფიქრე მე, — რატომ შეგაკრთო ჩემმა შეკითხვამ ასე? ისე, კაცმა რომ თქვას, ხარ კი ბედნიერი?.. თუმცა, შენ მართალი თქვი: შენ არ იცი ეს, შენი ბედნიერება ხომ ყოველთვის მოჩვენებითი იყო, მირაჟი და მეტი არაფერი, აფსუს რომ შენ არაფერი, არაფერი არ იცი, მამა!“

წვიმდა და ქროდა ქარი... დავინახე როგორ აიწია საწვიმარი ლაბადის საყელო მამამ, ღრმად ჩამოიფხატა თავზე ქუდი და აუჩქარა ნაბიჯს.

მიდიოდა თავდახრილი და მისჩერებოდა სველ ასფალტს...

როცა ოდნავ გადაიღო წვიმამ, ავდექი. გასასვლელში სქელუა მებუფეტეს ძახილმა შემაჩერა: მამას დანახარჯის გადახდა დაეიწყებოდა.

კინო გვიან დამთავრდა. საინტერესო ფილმი იყო, ქარხნის ცხოვრებაზე. მთელი გზა კინოდან სახლამდე, სონიას ენა არ გაუჩერებია. სულ ფილმის გარშემო მეტიტინებოდა და მეტიტინებოდა. სალაპარაკო ჰქონდა ნაშოვნი და რა შვილი, გააჩუმებდი. სადარბაზო შესასვლელთან გაჩუმდა მხოლოდ.

ხვალ დილით სამსახურში უნდა გავიდე და ადრე უნდა დავწვეო, მითხრა.

ვიცოდი, ხვალ პირველად იწყებდა მუშაობას საკონდიტრო ფაბრი-

კაში. თავივით მუსუსია ტკბილეულისა და სამუშაოც შესაფერისი შეიარჩია.

— წადი ახლა და დაიძინე, — ვუთხარი და ისევ ავუჩეჩე თმა.

წავლო, მითხრა, ისევ შედგა ფეხისწვერებზე, მაკოცა შუბლზე და შეუყვა კიბეს. დავიცადე, სანამ აისვეტებოდა განათებულ ფანჯარასთან შავი, მოძრავი ლანდი. დაუქნიე ხელი და გამოვბრუნდი.

შევადე თუ არა ოთახის კარი, მაშინვე აწკრიალდა ტელეფონი. ჩემი და მირეკავდა. ჩემი და ქალაქის გარეუბანში ცხოვრობს, პორტის გადაღმა. ორი შვილი ჰყავს — ვია და თეა. ქმარი, გუჯა შორეული ნაოსნობის შტურმანია და იშვიათი ხილია ოჯახში. მთელი საოჯახო დავიდარაბა და წვრილმანები ჩემი დის კისერზეა. მარჯვე ქალია ღმერთმანი, ყველაფერს ასწრებს, მუშაობს კიდევ, — აღმზრდელია საბავშვო ბაღში.

გუჯა ჩემი პირდაპირი ძმაცაცია, ოქრო ბიჭია, ყოველთვის მხიარულადაა, ჯერ გაბრაზებული არ მინახავს, სულ იცინის და მხიარულობს, წარმოიდგინეთ მაშინაც კი, როცა ჩემი და ეჩხუბება.

— მთელი საათია ვრეკავ ბიჭო, სად იყავი? — მეკითხება ჩემი და.

— გავიარე ცოტა... სასაფლაოზე წავედი მერე...

— მეც ვიყავი გუშინ... სადილზე რატომ არ მოდი ჩვენთან? ბავშვები გელოდნენ, ძალიან მოიწყინეს რომ არ მოდი.

— რა ვიცი, ვერ მოვიცალე და...

— დიდი ცალები გკიდია ხომ იცი შენ. მინდოდა მოსვლა, სახლს დავალაგებდი, დაგირეცხავდი, მარა რა ვქნა, ჩამომკიდეს ამ ბაღებმა, სახლშიც იმდენი რამეა გასაკეთებელი, რომ... ი შენი სიძე არ იკლავს მაინცა და მაინც ოჯახზე თავს, გემისკენ აქვს სულ თვალი... დამიძვრა შუადღეზე ხელიდან, მალე მოვალო, თქვა და ჯერაც არა ჩანს. მოვიდეს და მერე მე მაცალოს.

— არ დაიკარგება, ნუ გეშინია, — ვამშვიდებ მე, — გაივლის და მოვა.

— კარს არ გავუღებ, კარს, დამაცადოს ერთი...

— მაგი არ ქნა, გაცივდება კაცი გარეთ.

— დაიცავი შენ ხო, დაიცავი... — გასაღები მეზობელს დაუტოვე, ხვალ როგორმე შემოვიბრუნ, გასარეცხებს წამოვიღებ და დაგირეცხავ.

— კარგი, — ვუბნები მე, — ბავშვები დამიკოცნე.

— კი, — მპირდება იგი, — ფანჯარა არ დაგრჩეს ღია და საბანი არ გადაგძვრეს ბიჭო.

— არ გადამძვრება, — ვამშვიდებ და ყურმილს ვდებ.

მივდივარ ფანჯარასთან, იდაყვებით ვეყრდნობი რაფას და გადავცქერი ჩემს ლამაზ ქალაქს, ჩემს გაჩირაღდნებულ, ფუსფუსა ქალაქს, წვიმასაც რომ უყვარს ეგზომ. ახლა მას მშვიდი ძილით სძინავს უკვე. სძინავს ჩემს ქარხანასაც...

— ძილი ნებისა ჩემო ქალაქო, ძილი ნებისა ჩემო მეგობრებო, მეზობლებო, — ვამბობ და ვწვები, ვიხურავ თავზე საბანს და ვცდილობ, მალე დავიძინო. ვიცი, ხვალ მზიანი დარი იქნება...

---



მ ო ტ ა

უკანასკნელად ფორემ იტალიელო  
გლახის მოტას ოჯახში ივანშმა.

მოტა, იქნებ შეგაწუხე,  
ჩემი მოსვლით მოტა,  
ვიცი, ვიცი გული გწყდება,  
პური რომ გაქვს ცოტა,  
ვერც ქათამი დამიკალი,  
ვერც დამიდგი ღვინო,  
მშრალ სუფრაზე, მართლაც კაცმა,  
როგორ მოიღბინოს!

არა, არა, ეგ არა თქვა,  
დაიბრუნე უკან,  
სავსე ბელღებს აიწონის  
შენი ერთი ლუკმა.  
რა სჯობს სიტყვას, დაკოდელ  
სულს

მალამოდ რომ უფენ,  
ეგ მაგიდა მირჩევნია  
მეფის გაშლილ სუფრებს.

მიწა გიყვარს, კაცი გიყვარს,  
შრომა გიყვარს მოტა,  
განჯინაში მაინც პური  
გაქვს ცოტაზე ცოტა,  
მაგრამ მაინც მდიდარი ხარ  
და მშვენებით სრული,  
რადგან მოტა, ჩემო მოტა,  
გაქვს ალალი გული.

იცი რაა, წასვლის წინ რომ  
კართან იტყვი წყრომით:  
„ნეტავ როდის დამთავრდება  
ეს ოხერი ომი!“

იცი რაა, პირჯვრის წერით  
მტერს რომ უთვლი ლახვარს...  
ალბათ ასე იმეორებს  
მამაჩემიც ახლა.

ავტორმა ლექსების მთელი ციკლი მიუძღვნა ჩვენს სახელოვან თანამემამულეს, იტალიელი ხალხის მხარდამხარ მებრძოლ მამაც პარტიზანს ფორე მოსულიშვილს, სიკვდილის შემდეგ იტალიამ ეროვნული გმირის სახელი რომ მიანიჭა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის. ეს ლექსი იმ ციკლიდანაა.

მოტა, შენი გამრჯე ცოლი,  
რომ ალაპყრობს ხელებს,  
გულდაგულ და საკადრისად  
მტერს რომ შეაჩვენებს,  
დედაჩემი მახსენდება,  
საყვარელი დედა,  
აღბათ ახლა ლოგინშია  
და სიზმარში მხედავს.

მივდივარ და ნეტავ ფეხი  
უკან მრჩება რატომ?  
ხელში თოფი მიჭირავს და  
ჩემს თბილ ლოგინს ვნატრობ.  
ღმერთო, ისე ნუ გამწირავ,  
მანამ ცეცხლი მინთე:  
მაგ ალალი ლუკმის მტერი  
არ მივახრჩო ვიდრე.

ო, ამ ომში ჩემი ბედის  
ტოტი თუ არ მოტყდა,  
ყველას ერთად გადაგიხდი.  
კარგო კაცო მოტა.  
მაჩხაანში მოტა შენი  
თუ აღვივსე ხილვით,  
დაგიმტკიცებ, უფრო მეტად  
შემძლებია ლხინი.

ერთს გთხოვ, მოტა, მამისტოლო,  
კარგზე კარგო კაცო,  
როცა ქარმა ჩემი სუნთქვის  
დასასრული გამცნოს,  
შვილთა შვილებს გადაეცი,  
ჩემზე უთხარ მოტა,  
რომ ქართულად მტერს  
ურტყამდა,  
და ქართულად მოკვდა. !



# ირანი — გუგუბათიანი და უგუგუბათო

## ვაეხანი უცხოოგისა

მივეშურებით ისპაჰანის გარეუბან ჰასან-აბადისაკენ, რომელიც ამ ქალაქის ოდესღაც მრავალრიცხოვანი ქართული კოლონიის სამკვიდროს წარმოადგენდა. მაგრამ უცხოობას ნაკლებად შემგუებელ, ნივთიერი არსებობის ღონიერ ფუძეს მოკლებულ ჩვენს თანამემამულეებს ველარ შეუნარჩუნებიათ იგი. მალე მათთვის ეკლესიებიც გაუუქმებიათ და ბუდემოშლილი ქართველობა სომეხი მოძმეების თემს შეკედლებია. სომხური ეკლესიების ეზოებსა და სასაფლაოებზე სამადლოდ დამარხულთ, გაწამებული სულის ტკივილი სამარის ქვის ზედაპირზე დაუტოვებიათ.

უცხოობაში მოხვედრილმა სომხობამ შესძლო ქართველთა ხვედრის აცილება, რაც დიდად განაპირობა ჩვენი ისტორიული ძმების კომერციულმა ნიჭმა და ნივთიერი დასაყრდენის შექმნის უნარმა. „ახალი ჯულფის“ სახელწოდებით ცნობილ ისპაჰანის გარეუბანში დასახლებული სომხობის რიცხვი კი არ დამდნარა, არამედ 50 ათას კაცამდე ასულა. პიეტრო დელა ვალეს ცნობით, ჯულფელი ვაჭრები სპარსეთის შაჰს ისევე ესაჭიროებოდა, როგორც ესპანეთის მეფეს გენუელები. მათ უერთმანეთოდ არსებობა არ შეეძლოთ. სომეხი სოფდაგრები სულ მალე ქცეულან ირანის შაჰის სავაჭრო კონტრაგენტებად და დიპლომატიურ დავალებათა შემსრულებლებად მაშინდელი მსოფლიოს სავაჭრო გილდიის სავალ გზებზე. მათი საარაკო სიმდიდრისა და ყოვლისშემძლეობის შესახებ ლეგენდებს ჰყვებოდნენ. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელი ცნობები აქვთ მოტანილი ისტორიკოსებს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ჰორონი“ № 5.



ვინმე დიდვაჭარ ხოჯა ხაჩიკას შვილები — ხოჯა ნაზარი და ხოჯა საფრაზი ისე გამდიდრებულან, რომ თავიანთ სასახლეში სტუმრად მაქსიმელი აბასსაც კი იწვევდნენ თურმე. ყოველი ასეთი სტუმრობა დამთავრებულა შაჰისა და მისი ამალისათვის ძვირფასი ჯამ-ჭურჭლისა და რამდენიმე ტომარა ოქრო-ვერცხლის დარიგებით.

დიდი სიმდიდრის მეოხებით, სხვათა ინტერესების ნაკლებად შემწყნარებელ შაჰთან სომენი ვაჭრები ხელსაყრელ პოლიტიკურ და ეკონომიურ გარიგებებსაც აღწევდნენ. ყოველწლიური უზვი ფეშქემის ფასად 1617 წელს შაჰ-აბასს სომხეთის კათალიკოსად დაუნიშნავს ამ ვაჭართათვის სასურველი პირი, თან ისპაჰანში, ნახიჭევანში, ხოიში, სალამასტსში, ბარდაში, ლორესა და სხვა ადგილებში მცხოვრები სომხებისათვის დაუვალეზია თავიანთ სულიერ მოძღვრად ეცნოთ იგი. ცხადია, ასეთი ურთიერთობის პირობებში ირანის შაჰები სომხებს არა თუ არ უშლიდნენ ქრისტიანობას, არამედ ხშირად მათს საეკლესიო დღესასწაულებსა და წირვებსაც კი ესწრებოდნენ, როგორც საპატიო სტუმრები.

სომხური გვარეულობის დიდვაჭრების საფრაზიანცის, ელიზარიანცის, შაჰრამანიანცის, ველიზარიანცისა და სხვათა კაპიტალის ნაწილი ხმარდებოდა ქარვასლების, ბაზრების, ხიდების, სასახლეებისა და სხვა სახის ნაგებობათა მშენებლობას, რაც ორივე მხარეს სასარგებლოდ მიაჩნდა. ამ ვაჭართა შთამომავალნი და მემკვიდრენი დღევანდელ ირანშიც სერიოზულ პოლიტიკურ და ეკონომიურ ძალას წარმოადგენენ. ვერ ნახავთ ქალაქს და დასახლებულ პუნქტს, სადაც სომხობა არ ცხოვრობდეს და არ იყოს მათი სკოლა და ეკლესია. მსხვილ ქალაქებში არსებობს მდიდარი სათევტომო კლუბები, საქველმოქმედო საზოგადოებები, ხელმოკლე ან უპატრონოდ დარჩენილთათვის დახმარების გასაწევად. არაფერს ვამბობთ ეკონომიკის და ვაჭრობის მთელ რიგ დარგებზე, რომლებიც მათ მონოპოლიას წარმოადგენს.

ნივთიერ დასაყრდენ გამოცლილი ქართველობა, როგორც ისტორიული ფაქტები მოწმობს, უფრო პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობას მიეტანა, რაც დესპოტური ძალაუფლების პარაზის ხანაში ცეცხლთან თამაშს ჰგავდა და ხშირად სავალალო შედეგებით მთავრდებოდა.

ვინ იცის, რამდენი ქართველის მწარე ფიქრი და განცდა ახსოვს ისპაჰანს, გაცუდებული იმედისა თუ დამცირების რამდენი გულისტკივილი. ლალატსა და კომპრომისზე იძულებით წასვლის რამდენი სირცხვილი. ან რა სულიერი ძალა უნდა გაწვდენოდა სამშობლოდან ათასობით კილომეტრს იქით გადაკარგულ მარტოსულს, უცხო სინამდვილისა და ყოფის დამთრგუნველ ვითარებაში მოხვედრილს!

ისპაჰანი ქართული გონების გამჭირახობას, სილამაზესა და სიმამაცეს, ერთი შეხედვით, პატივსაც არ აკლებდა.

ირანის შაჰებს აქ დედოფლებად ესვათ ქართველი ქალები: შაჰ-აბას დიდს — გიორგი მეათის ასული თინათინი, შაჰ-სეფის — სამცხე-საათაბაგოს მბრძანებლის როსტომის ასული ელენე, შაჰ-აბას მეორეს — ანუკა ბატონიშვილი, რომლის სიკეთე, მემათიანის სიტყვით, „სულ ერანში... განფენილიყო“.

ისპაჰანს დიდხანს მესვეურობდნენ მოურავ-ტარულებად და ყულარ-აღასებად: ალავერდიხან უნდილაძე, ხოსრო-მირზა — როსტომ მეფე, ქაიხოსრო ლევანის ძე მუნხრან-ბატონი, აქ ჰყოფდა უცხო სამართალს ირანის მსაჯულთუხუცესი — ვახტანგ შაჰნავაზის ძე ლევანი.

ისპაჰანის კარიბჭეებში არა ერთხელ შემოსულან ბრძოლის ველიდან გამარჯვებით დაბრუნებული ქართველი ამირსპასალარები: იგივე ალავერდიხანი და გიორგი მეთერთმეტე, როსტომ სააკაძე და დიდი მოურავი გიორგი...

და მერე რა?

ირანის დედოფლებს იმის ძალაც არ შესწევდათ, ღვიძლი მამისა თუ ძმის სიცოცხლე ეხსნათ;

ჟამთა სიავით ირანის ძლიერებისათვის ხმლის მქნეველი ქართველი გმირები მხოლოდ უმადურობასა და ღალატით სიკვდილს იმკიდნენ, მზგავსად გიორგი მეთერთმეტისა. ეს გონებანათელი, დიდ მწიგნობრად დაბადებული კაცი, რომელიც ყანდარის ბეგლარბეგად ყოფნის დროსაც, სამარ კარავში წიგნების საკითხავად იცლიდა, თავის ქართულ ლაშქართან ერთად შეეწირა ავღანთა წინააღმდეგ ბრძოლას.

აქ, ისპაჰანში იტანჯებოდნენ წლების მანძილზე ნახევარმეფეების მდგომარეობაში, ქართლ-კახეთის ნახევრად ქრისტიანი და ნახევრად მუსლიმანი თეიმურაზ პირველი და ვახტანგ შაჰნავაზი, ერეკლე პირველი — ნაზარალიხანი და ვახტანგ მეექვსე.

აქედან წამოვიდნენ საქართველოში ისპაჰანს დაბადებული, სულითა და ხორციტ გაამაჰმადიანებული კონსტანტინე კახთბატონის ძე — მშობელი მამისა და ღვიძლი ძმის მკვლელი, ერეკლე პირველის უღირსი ძენი: დავითი — იმამყულიხანი და კონსტანტინე — მამედყულიხანი.

აქ, ისპაჰანში ყოველთვის მჯდარა რაღაცის მოლოდინში რომელიმე ზვიადი ერისთავი არაგვისხეობისა ან პატივმოყვარე ფეოდალი სამცხე-საათაბაგოსი.

აქ, ისპაჰანში, ჰპოვა აღსასრული მრავალმა ქართველმა — ბუნებრივი სიკვდილით თუ ჯალათის ნაჯახით:

„მამინ მოურავმან უთხრა რჩევით ზურაბს, რომე „მოდი ქართლს ნუ ამოვსწყუეტო, — თორემ სულიც დაგუეკარგვისო და არც ჩუენ დაგვინდობენო; მრავლის ლიქნითა და სიტყვის რჩევითა და მრავლის ცდი-

ლობითა დასთმო ზურაბ ცოლი თვისი და მოურავმან შვილი თვისი პაატა დასთმო“.




რა პარადოქსულადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს, ფაქტია, რომ ქართველთა პოლიტიკური აღზევება განსაკუთრებით ინტენსიური ყოფილა შაჰ-აბას პირველის დროს. ქართველ დიდებულთა ძლიერება და გავლენა უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია უნდილაძეთა საგვარეულოსთან და მის თავკაცთან — ალავერდიხანის სახელით ცნობილ პიროვნებასთან.

ალავერდიხანი იყო სპარსეთში მნიშვნელობით უპირველესი პროვინციის — ფარსის ბეგლარბეგი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი. როგორც ირანის გვარდიის წინამძღოლს, მას ეკისრებოდა ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო სამომარი ოპერაციები. განსაკუთრებით ცნობილია მისი წარმატებები 1605 წლის ომში, როცა ალავერდიხანის 30-ათასიანმა გვარდიამ გამანადგურებელი დამარცხებები აგემა ოსმალებს. კარგად არის ცნობილი მისი სამშენებლო საქმიანობაც. ისპაჰანის ცენტრში, მდინარე ზენდი-რუდზე უკვე სამ საუკუნეზე მეტია მტკიცედ დგას ალავერდიხანის მიერ აგებული 33-არკიანი ხიდი, თითქმის 300 მეტრი სიგრძისა. მის სახელთან დაკავშირებულია კიდევ სხვა მრავალი საერო თუ სასულიერო ნაგებობა.

ალავერდიხანი ფარსის ბეგლარბეგის პოსტზე შეცვალა იმამყულიხანმა. ნიჭიერებისა და გავლენის მხრივ იგი თავის სახელოვან მამას არაფრით ჩამოუვარდებოდა. იმამყულიხანი სხვადასხვა დროს მართავდა ხუზისტანს და ირანის არაბულ პროვინციებს, ბაჰრეინისა და სპარსეთის ყურის სანაპიროებს. სწორედ მას უნდა უმაღლოდეს ირანი სპარსეთის ყურის განთავისუფლებას პორტუგალიელთა ბატონობისაგან. თეიმურაზი თავის პოემაში „ქეთევან დედოფლის წამება“ იმამყულიხანს ქებით იხსენიებს. ალბათ კარგად იცოდა იმ რაინდული თავგამოდების ამბავი, რომელიც ქართველმა ბეგლარბეგმა გამოიჩინა განსაცდელის უამს. „ქართლის ცხოვრების“ სიტყვებით რომ ვთქვათ, იმამყულიხანმა შაჰ-აბასის ელჩს ქეთევანზე მოახსენა, ვითარმედ: „ბერი დედაკაცი არისო და ახლა ეს არ გათათრდებისო და რას აქნევთო ამის გათათრებასო, დაეხსენითო, თქუენთვის სირცხვილი არისო ამისი სიკვდილი“.

უშუალოდ საქართველოს მომიჯნავე განჯის პროვინციის ბეგლარბეგად მჭდარა დაუთხან უნდილაძე. ეს დიდმოხელე, რომელიც შაჰის განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა, კარგად იყენებდა თავისი რეზიდენციის გეოგრაფიულ მდებარეობას და რამდენადაც შეიძლებოდა, ფარულად ხელსაც უწყობდა ქართველებს, კერძოდ გიორგი სააკაძეს. მოგვიანებით, როცა შაჰისაგან შერისხული დაუთხანი თეიმურაზ პირველს მოუვიდა, თან ყაჯართა ტომის 700 ოჯახი გაიყოლია და ივრისპირას დასახლებულთ, ამოსაყლეტად კახელები მიუსია.



ნიშანდობლივია ისიც, რომ უნდილანთ ფეოდალური სახლი ნათესაური ურთიერთობით იყო დაკავშირებული ქართველ მეფე-ფეოდალებთან: თეიმურაზ პირველის და ელენე ცოლად ჰყავდა დაუთხან უნდილაძეს, იმამყულიხანის ერთი ასული — ანდუყათარ ამილახვარს, მეორე კი დაუდბეგ სააკაძეს — ირანის ამირსპასალარისა და თავრიზის ბეგლარ-ბეგის როსტომის ძმას.

უნდილაძეთა გვარის კიდევ მრავალი შვილი სარგებლობდა მთელ ირანში დიდი გავლენით. დაუთხან უნდილაძის დეაწლზე საუბარს ბერი ეგნატაშვილი ასეთი სიტყვებით ამთავრებს:

„და იყვნენ ძმანი და სახლეულნი მისნი მრავალგუარად ნამსახურნი და ცნობილნი შააბაზ ყაენისა მიერ და იყვნენ თანამდგომნი და ერთგულნი ყაენისა. და უყოფდა მრავალსა კეთილსა შააბაზ ყაენი მათ, არამედ კუალად სძლია ჩვეულებამან მიუნდობელობისა მათისამან და სიბოროტისამან, ვითარცა თქმულ არს: „ჩვეულება სჯულსა უმტკიცე არსო“.

ცხადია, ამაგისათვის უმადურობის მოგება მარტო მიუნდობლობისა და სიბოროტის ამბავი როდია. უნდილაძეთა გვარის უჩვეულო აღზევება, ალბათ, ბევრ ქართველს დიდი იმედებით განაწყობდა. მაგრამ ამან საქართველოს და ქართველებს უფრო ზიანი მოუტანა, ვიდრე სარგებლობა, რადგან რეალობის საღ გრძნობას ხშირად ილუზიით ცვლიდა. მართლაც და გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ირანის ძლევამოსილებისა და სიდიადისათვის მებრძოლ შაჰ-აბასს, რომელიც თავის საკუთარ შვილებსაც არ ინდობდა, მრისხანება დაეოკებინა ურჩი და გაუტეხავი საქართველოს მიმართ, ან გული აჩუყებოდა იმის გამო, რომ ბებია შალიკაშვილის ქალი ჰყავდა, თავადაც ქართველთა სიძედ ითვლებოდა, ხოლო რძლად და ირანის დედოფლად ათაბაგის ასული ესვა.

ქართველებთან ასეთ მჭიდრო ნათესაობას ზოგიერთი ისტორიკოსი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რომ შაჰ-აბასის მძვინვარე მტრობას საქართველოსადმი, კერძოდ თეიმურაზისა და ლუარსაბისადმი, რომანტიულ სარჩულსაც კი უძებნის. ამ ვერსიის გამომძახილად უნდა მივიჩნიოთ იოსებ თბილელის სიტყვები: ირანის მპყრობელმა ლუარსაბის თავი „სუფრაზე დაიდვა... მე კი არ მომეც უმჯობესი დაო და თეიმურაზს მიეციო“.

შაჰ-აბასის მიერ იმერეთიდან ლუარსაბის გამოტყუებისა და ვერაგულად ხელში ჩაგდების ამბავს რომ გადმოგვცემს, ბერი ეგნატაშვილი ისტორიკოსისათვის თითქოს წვრილმან მომენტსაც აღნიშნავს. ქართველი ჭაბუკი მეფის აღმზრდელის შადიმან სუფრაჯის წინაშე ამოდენა კაცს ტირილი დაუწყია: „მე მეფეს ლუარსაბს როგორ წავახდენო... და მისცა ფიცი საშინელი და საფიცარი და იტირა ბევრი“.


შაჰ-აბასის მსგავსი პიროვნებებს, ჩანს, არაფრად უღირთ მსგავსი ტრაგიკომედიური ფარსის გათამაშება. განა ასევე არ მოიქცა ევგენი დიდი ქართველი მამულუკის ალი-ბეის უღირსი სიძე — აბუ-ზ-ზაჰაბი, მისი ღალატით ბრძოლაში დამარცხებული და მარჯვენა მოკვეთილი გმირი ბელადის დანახვაზე რომ ატირდა? განა ასეთივე ფარსიველური არ იყო საქციელი ლეგენდარული ხალიფა ალი-ჰაქიმისა, როცა მისი ბრძანებით ცეცხლმოდებული ქალაქის დელეგაციას შეწყალების თხოვნაზე ვაკვირვებით ჰკითხა: „კარგი, მაგრამ ვინ ბრძანა ქალაქის დაწვაო?“

შაჰ-აბასის პოლიტიკური გამოცდილებისა და ნებისყოფის კაცზე, რა თქმა უნდა, გავლენას ვერ მოახდენდა ის ამბავი, რომ ვრცელი და მომწივრებული სახელმწიფოს უმთავრეს პროვინციათა მმართველებად, ისპაჰანისა და სხვა ქალაქების მოურავებად, სახელმძღვანელო ვეზირებად და ამირსპასალარებად ჰყავდა მრავალი გურჯი, რომელთაც, როგორც ამბობენ, განსაკუთრებული კონფიდენციალურობის საჭიროების შემთხვევაში თურმე ქართულადაც ესაუბრებოდა. ამ ხალხის ნიჭი და უნარი ირანსა და მის მბრძანებელს ესაჭიროებოდა გარკვეულ დრომდე და სიტუაციამდე.

ესეც არ იყოს, ისეთ ქვეგამხედვარე, „შურიან და ხვანჯიან“ კაცს, რომელმაც საქვეყნოდ დაიტრახა, რომ ყოველ ქართველს თითო აბაზად გაყიდდა, შეუძლებელია ბოლომდე ჰქონოდა გურჯების ნდობა. მის მსტოვრებს არ გამოეპარებოდათ თუნდაც დაუთხან უნდილაძის საიდუმლო შეხვედრები გიორგი სააკაძესთან მარტყოფის ისტორიული ბრძოლის წინ. ტირანს შეუძლებელია გულში არ ჩაეხვია მისი საქციელი, როცა განჯის ბეგლარბეგის ავადმყოფობის მომიზეზებით არ შეუერთდა ყორჩინა ხანის ლაშქარს; ან შეეძლო მას იმავე იმამყულიხანისათვის ეპატიებინა ესოდენ განდიდება და მრავალი ურჩობა, თუნდაც ქეთევან დედოფლის ხვედრის გადაწყვეტისას?!

ირანის მპყრობელს. ალბათ, არც მისი პაპის — შაჰ-თამაზის სიკვდილის შემდეგ ყაზვინში დატრიალებული ამბების მოგონება აძლევდა მოსვენებას. ამიტომ თადარიგიც დაუჭერია მოახლოებული აღსასრულის წინ. ირანული წყაროების გადმოცემით, ისპაჰანის სასახლის წალკოტში თავის მემკვიდრესა და პირველ ვეზირთან ერთად მოსეირნე შაჰ-აბას ხელი გაუშვერია ერთერთი ხისაკენ და უთქვამს: ეს ხე დაბერებულა, თავისი დრო მოუქამია და უნდა მოიჭრასო. მამის ღირსეულ შვილს შაჰ-სეფის არ გაჭირვებია ამ ნართაულის გაგება, და მით უფრო ბრძენ იმამყულიხანს.

ისევე როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე დიდი სახელმწიფოს ძლიერი მესვეურის ისტორიის არენიდან გასვლის შემდეგ, შაჰ-აბასის სიკვდილს სამეფო კარზე დიდი არეულობა მოჰყოლია. ასეთ ვითარებაში



შაჰ-სეფისათვის ერთგული სამსახური გაუწევია ხოსრო-მირზა-როსტომ მეფეს: „რა შაბაზ მოკულა, მაშინ აირივნენ ყიზილბაშნი და კარის ბეგ-ლარებს სწადოდათ ერანის აშლა, ხოლო ამა ხოსრო ყულარალასმან გაამაგრა კარი და გამოიყვანა შვილი შაბაზისა შა-სეფი და დასუა ყაენად, და მოუდგა თვით და გაუმაგრა კარი“.

და კარგამაგრებულმა არ დააყოვნა მამის ანდერძის აღსრულება. ერთი ხელის მოსმით ამოაუყუჩინა მთელ ირანში ფეხმოდგმული ქართველი დიდუკობა. რისხვა პირველ რიგში უნდილაძეთა მოდგმას დაატყდა თავზე. ირანის სამსახურში თმაგათეთრებულ იმამყულიხანს სიკვდილის წინ იმერთთან განმარტოების უფლება უთხოვია და ვიდრე ლოცვის ექსტაზში შევიდოდა, მისთვის გვერდზე დაუდვიათ ერთერთი შვილის მოჭრილი თავი. ამ დიდი მოღვაწის 52 ვაჟიდან თითქმის ყველა მოაკვდინეს ან დააბრმავეს.


მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. მმართველი კასტა, რა ძლიერიც არ უნდა იყოს იგი, დიდხანს ვერ იბოვინებს და მით უმეტეს ვერ გაიმარჯვებს უცხო ქვეყნის წიაღში, მშობელ ხალხს მომწყდარი, მის მხარდაჭერას მოკლებული. უფრო მოგვიანებით განა იგივე არ განმეორდა ეგვიპტეში, როცა დაუნდობელი სისასტიკით ამოეკლტეს ქართველი მამულუკები?! ისინი ვერ იხსნა სიგიჟემდე მისულმა სიმამაცემაც, როცა მათი აზრით არავაჟაკური იარაღის — ზარბაზნის ჭურვებს თავიანთ ელვარე ხმლებს აგებებდნენ და ამაყად თავაწეულნი ილუპებოდნენ უკანასკნელ ბრძოლაში.

### სულხან-საბას განოცხადება

ნაყში — ჯეხანის ძველი ბაღის ხეივანებში დროს თავისი კვალი დაუტოვებია. ბევრი ხე დაბერებულა და მოწყენილად გამოიყურება. დამშრალა თუ დაუწრეთიათ უზარმაზარი აუზი, რომლის სარკეში, ჩვეულებრივ, სასახლის ოცი სვეტი ორმოცად ილანდება. აქედან სახელწოდებაც „ჩეჰელ-სეთუნი“ — „ორმოცი სვეტი“.

„ჩეჰელ-სეთუნის“ ღია ნაწილის მინის მოზაიკიანი გუმბათი ეყრდნობა თითქმის 15 მეტრი სიმაღლის ოც კედარის სვეტს. მათი ფუძე რუხი ქვისაა და გამოხატავს პირდაღებულ, გაავებულ ლომებს. გუმბათს ქვემოთ შემადლებული ადგილის შუაგულში, ოფიციალური მიღებების დროს, ტახტზე იჯდა ირანის მბრძანებელი, თავისი ვეზირებისა და დიდებულების გარემოცვაში.

ღია დარბაზის კედლებზე დღემდე შემორჩენილა საგრძნობლად დაზიანებული და გახუნებული ფრესკები. საპარაღო და გვერდითი კარები,



რომლებიც სასახლის დახურულ დარბაზსა და სათავსოებში გადის, კეტილი დაგვხვდა. ყარაულმა მათ გაღებაზე უარი გვითხრა, მაგრამ კარების აყურულობა ბევრი რამის ნახვის შესაძლებლობას იძლევა. მთავარი დარბაზის ფრესკები გამოხატავს შაჰის კარის ყოფის მომენტებს, ომისა და ნადირობის ეპიზოდებს.

ჩამოვჯექი სამსაფეხურიანი შემადღებული ადგილის კიდეზე; იქ, სადაც ოდესღაც ხალიჩაზე მუხლმოყრილი შაჰის გადაწყვეტილებას — მოწყალებას თუ რისხვას — ელოდნენ აუდენციაზე მოსულნი.

ჩემი მზერა ებჯინება ძველ ჭიშკარს, გრძელი ხეივნის თავში, და ამ დუმილში თითქოს ჩამესმა ბეკების მჭახე ხმა, და ჭიშკარში გამოჩნდა მაღალი, თეთრწვერა სათნო მოხუცი ბერის უბრალო ტანსაცმელში. მის გვერდით მოაბიჯებს ახალგაზრდა კაცი სამეფო ტანსაცმელში. მათ მოაცილებს ორი ხმალამოწვდილი ყიზილბაში, მზეზე მოელვარე გრძელი შუბების ტყეში, რომლებიც ხეივნის ორივე მხარეს ჩამწკრივებულ ყულარბაშებს უჭირავთ.

სიჩუმეში ისმის მხოლოდ მომავალთა ნაბიჯების ხმა და შადრევნებად ამოსროლილი წყლის ჭავლის შრიალი ლოტოსებით მოფენილი ცისფერა აუზის ზედაპირზე. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და აივლიან ფიანდაზად დაფენილ საფეხურებს, რათა შაჰის ტახტის მახლობლად მოიყარონ მუხლები. მაგრამ ამ საფეხურებზე ფეხის შედგმასაც გულის სიმაგრე ჭირდება, თავშეკავების უნარის გამოჩენა. კიბის მარცხენა მხარეს ამაზრზენი სიზანტით ირწყევა უზარმაზარი სპილოს შავი სხეული, ხოლო მარჯვნივ ბღღვინავს ჯაჭვით დაბმული ფაფარაყრილი ლომი.


შეკრთომა არაფრით გაუმჟღავნებიათ, თუმცა შემადარწუნებელი და შეურაცხმყოფელიც იყო ცხოველური მყრალი ნამუსრევის ხილვა თვალისმომკრელი ბრწყინვალეების ზღურბლზე. მეჩვენება, მოხუცს თითქოს ტუჩებზე დამცინავმა ღიმილმა გადაუარა. იქნებ გაახსენდა ერთი თავისი არაკი. მართლაც რომ შესაძლებელი ყოფილა ადამიანმა სამოთხეზე გავიადებულად ილაპარაკოს.

თუ ეს სამოთხეა!

ორივემ სულ ახლოს, გვერდზე ჩამიარა და მათ უკვე ვხედავ დარჩილთ. მოხუცს გრაგნილი უჭირავს მარჯვენაში.

ტახტის რბილ, ოქრომკედლით მოქარგულ ბალიშებში ნებევრად ჩასვენებული ლამაზი შაჰ-სულთან ჰუსეინი გაფანტული მზერით მისჩერებია ეშიკალბასს. იგი თავის მბრძანებელს რაღაცას ეუბნება გურჯისტანის ტახტის გამოსათხოვად მოსულ უფლისწულსა და მის აღმზრდელზე.

ტახტის ირგვლივ ნახევარწრედ ჩამორიგებულ მდიდრულ ბალიშებზე ფეხმორთხმული ვეზირები და კარისკაცები მედიდური იერით ადევნებენ თვალყურს აუდენციას.



ბოლოს ეთიმოლოგიულად, მთელი ამ ხნის მანძილზე შაჰისაგან მომოსრებით რომ იდგა თავდახრილი, რბილად და უხმაუროდ გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი. მან მოხუცს მოწიწებით ჩამოართვა გრაგნილი და კიდევ უფრო მეტის მოწიწებით გაუწოდა ირანის მპყრობელს. შაჰმა, პატივისცემის დასტურად, გრაგნილს ოდნავ შეახო ხელი.

მე არ ვიცი, რა წერია ამ გრაგნილზე.

არც ის მესმის, რას ეუბნება დიდებული მოხუცი შაჰ-სულთან ჰუსეინს. ვერ გამიბედნია ეტრატის შინაარსი მოვიგონო ამ მოხუცის თანდასწრებით, ქართული სიტყვის მამას სუფლიორივით მივაწოდო სიტყვები ჩემი მწირი ქართულის სალაროდან.

ვერც ის გამიგია, ვინ აკადრა და რატომ ამ ღმერთისტოლა კაცს მთელი ნახევარი მსოფლიოს შემოვლა მუხლისთავებით. ვიცი მხოლოდ ერთი — მამულის ხვედრზე ფიქრი და ზრუნვა არ სტოვებდა არსად და არასდროს. ისიც ვიცი, ერთ მხარეს ამ მოხუცის ცოდნა და სიბრძნე, მეორე მხარეს — მთელი ამ ჭრელი და გაფუყული კამარლიისა.

იგი ამჯერადაც ელჩია და ვალდებულია, ვითარცა ელჩმა, ჯეროვნად მიუზღას ბრწყინვალეობასა და ფუფუნებას, რომელიც აქ დახვდა, მაგრამ რომელიც მოკლებულია ღირსებას; უნდა იგემოს ზრდილობა და თავაზი, რომელშიც გულახდილობის ნატამალიც არ იპოვება.

აი თუნდაც ეს ფათალი-ხანი, უტიფარი ღიმილით რომ უყურებს ყველას და ყველაფერს.

იცის კი ამ უნებისყოფო, ჰარამხანის სიამეებში ყელამდე ჩაძირულმა და გონებადაჩლუნგებულმა შაჰმა, რომ მისი პირველი ვეზირი და მარჯვენა ხელი გაქნილი მექრთამეა, რომ მისთვის არავითარ რაყიმს ფასი არა აქვს, თუ ზედ ოქროთი საფხვე ქისაც არ ჰკიდია?

რჯულის საფარველმა შაჰმა ალბათ არ იცის, რომ ქართველებთან მრავალნაირი კავშირით დამოყვრებულ-დანათესავებულმა ვეზირმა ოქროს გულისათვის უკვე გაყიდა მამაცი გიორგი ხანი, რომლის ქართული ხმალი ავღანელებს შიშის ზარს სცემდა ამდენი წლის მანძილზე; რომ მისი მოცილებით მორღვეულ კედელს უკვე საიერიშოდ მოადგნენ ავღანნი და ბელუჯნი?! ნუთუ არ გესმით როგორ ჭიხვინებენ მათი ბედაურები?!

ბევრი რამ არ იცის შაჰმა. მაგრამ არც შაჰმა, არც მისმა ვეზირებმა, არც ბრძენმა მოხუცმა არ იციან ერთი და უმთავრესი:

დადგება ჟამი, როცა ამ მოხუცის გაზრდილი, ახლა მის გვერდით წყალობის მოლოდინში მუხლმოყრილი ახალგაზრდა კაცის ხელთ იქნება ბედი დაუძღურებულ-დაჩაჩანაკებული ირანისა. ვახტანგს შეეძლება შევლა, მაგრამ არ მიეშველება. და დღეს ოქროს ტახტზე სვებედნიერად გა-



მოჭიმული უკანასკნელი სეფიანი საკუთარი ხელით დაადგამს შაჰ-აბასის ბრწინვალე გვირგვინს ავღან მეომარს მირ-მაჰმუდს. და ვახტანგის ხელგაუნძრევლობა იქნება არა სულმოკლე შურისძიება, არამედ სამაგიეროს მიგება საქართველოს აურაცხელ ჭირთათმენისათვის, მისი საკუთარი ტანჯვისათვის, ამ მოხუცის დამცირებისათვის, რამეთუ აღამიანს არ შვენის მუხლის თავებზე დაცემა...

ნელ-ნელა ვდგები და ირაკლის ვუხმობ.

თითქოს კიდევ ერთხელ ჩამესმა ბეკების ხმა, შეშფოთებული და არეული... ეს ავღანთა ქურანები მოჰქრიან ბრწყინვალე და დაუნდობელი ისპაჰანისაგან!

ბოდიშს ვიხდი დიდი მოხუცის აჩრდილის წინაშე, რომ კიდევ ერთხელ შევაწუხე ასე უნებურად და მუხლმოდრეკა ვაკადრე ორნახევარი საუკუნის შემდეგ.

იყო მაშინ წელი 1712.

დღეს არის 29 აგვისტო, წელი 1970.

დიდი ხანია „ხმალი მტრობისა ქარქაშში დევს“.


## ისპაჰანის შემოღობვა

250 წლის შემდეგ ისპაჰანი კიდევ ერთხელ იქნა აღებული. და იგი აიღო სულ სხვა ლაშქარმა, უხმლოდ.

ისპაჰანს საუკუნეების მანძილზე თავი მოჰქონდა, როგორც ძველი სპარსული სულის ციტადელს, კონსერვატიულობისა და კლერიკალური ფანატიზმის ბუდე. და ეს კერპი ქალაქი დიდხანს ქედს არ იხრიდა, ვიდრე... მეორე მსოფლიო ომისშემდგომ წლებში ირანი დაადგა ინდუსტრიალიზაციის გზას. ამ მიმართულებით დასახული ფართო პროგრამის განხორციელება რეალური გახადა ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციამ და მისგან მიღებული შემოსავლის განუხრელმა ზრდამ. თავისთავად ბევრს ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ კაპიტალისტურ სამყაროში ირანი 1969 წლისათვის უკვე პირველ ადგილზე გავიდა ნავთის ექსპორტის მოცულობით. იგი ირანს ამჟამად აძლევს მილიარდ დოლარზე მეტ წლიურ მოგებას, რაც უცხოეთის კამპანიათა წილის შემცირებისა და სრული აღკვეთის კვალობაზე, უფრო გაიზრდება.

დღის წესრიგში დადგა საკუთარი ნავთობგადასამუშავებელი წარმოების, სატანკერო ფლოტისა და ქიმიური მრეწველობის შექმნა. ამ პროცესში ჩართული აღმოჩნდა პოეზიისა და ვარდების ქალაქი შირაზიც კი.

ირანის ეკონომიკის განვითარებაში აგრეთვე ცოტა წვლილი როდი შეაქვს ბუნებრივ გაზს. გაზის უდიდესი მარაგი საშუალებას იძლევა იგი



ფართოდ მოხმარდეს საკუთრივ ქვეყნის სახალხო მეურნეობას და გარე-  
 თაც იდინოს. საბჭოთა კავშირის დახმარებით აგებული ათას ასი კალო-  
 მეტრი სიგარძის გაზსადენი, 630 მილიონ კუბომეტრ საწვავს ატარებს  
 დღე-ღამეში.


სულ მეტი ყურადღება ექცევა სასარგებლო წიაღისეულის საძიებო  
 სამუშაოებს. ქერმანის მახლობლად უკვე აღმოჩენილია სპილენძის უდი-  
 დესი საბადო, რომლის სამრეწველო დამუშავება 1974 წლიდან უნდა  
 დაიწყოს.

ირანის ხელისუფალთ კარგად ესმით, რომ ქვეყნის გადაყვანა სამრე-  
 წველო განვითარების რელსებზე და სხვა უმნიშვნელოვანესი საზოგადო-  
 ებრივ-ეკონომიური ხასიათის გარდაქმნები შეიძლება განხორციელდეს  
 მშვიდობიანი ცხოვრების პირობებში, დაწინაურებულ მეზობელ ქვეყნე-  
 ბთან ძმური თანამშრომლობით. ასეთი გონივრული პოლიტიკის სიცოც-  
 ღლისუნარიანობის დადასტურებას წარმოადგენს საბჭოთა კავშირისა და  
 ირანის ურთიერთობა.

საბჭოთა კავშირის სამეცნიერო-ტექნიკური ხელშეწყობით, ამ  
 ვრცელ ქვეყანაში აიგო ან იგება 50-ზე მეტი მსხვილი საწარმო. მათ  
 შორის არაქსის ჰიდროკვანძი, რომელიც გააცოცხლებს ნახევარუდაბნო-  
 თა უზარმაზარ სივრცეებს; მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანა არაკში,  
 რომელიც გამოუშვებს ექსკავატორებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს,  
 ვაგონცისტერნებს და სხვა მოწყობილობებს. ამ ქალაქშივე მთავრდება  
 ალიუმინის სადნობი ქარხნის მშენებლობა.

საბჭოთა და ირანელი ხალხების ძმური თანამშრომლობის ყველაზე  
 ღირსშესანიშნავი ძეგლია ისპაჰანის მეტალურგიული ქარხანა. როგორც  
 აქ გვითხრეს, ირანის ხელისუფალთ, ასეთი ქარხნის აგება რომ დააპირეს,  
 მიუმართავთ ამერიკელი და დასავლეთ ევროპელი ექსპერტებისათვის. მა-  
 თი დასკვნა სკეპტიკური ყოფილა — მეტალურგიის შექმნას თქვენში აზ-  
 რი არა აქვს ნედლეულის სიმცირის, კადრების უყოლობისა და გამოც-  
 დილების უქონლობის გამო. ეს სიძნელეები არც საბჭოთა ექსპერტე-  
 ბისათვის ყოფილა დაფარული, მაგრამ მათ აღმოაჩნდათ კეთილმეზობ-  
 ლური დახმარებისათვის მზადყოფნა, 1966 წელს დაიდო ხელშეკრულე-  
 ბა მეტალურგიული გიგანტის დაპროექტება-აშენების თაობაზე, რაც  
 ირანის საზოგადოებრიობამ შეაფასა მობრუნების პუნქტად ქვეყნის ინ-  
 დუსტრიალიზაციის საქმეში.

ამ ქარხნის მეშვეობით ძველი და კონსერვატიული ისპაჰანი ირანის  
 განახლების თავისებური მედროშე და სიმბოლო გახდა. დიახ, მრავალჯე-  
 მბათიან, პატრიარქალური ყაიდის ქალაქში გაჩნდა სრულიად ახალი პრო-  
 ფესიისა და სულიერი წყობის ხალხი. სულ რაღაც 3-4 წლის მანძილზე



ისპაჰანის მოსახლეობა გაიზარდა 200 ათასი კაცით, და მისი საერთო რიცხვი, წინასწარი ვარაუდით, ათი წლის შემდეგ მიაღწევს 1,5 მილიონ კაცს, ხოლო 25 წლის შემდეგ 2,5 მილიონს, ნაცვლად ახლანდელი 600 ათასისა.

ამ ახალი, ინდუსტრიული ლაშქრის წარმომადგენლები არიან ის ჯაბუკები, რომლებიც ელექტრონით გაჩირადლებულ გაზონებში უთევენ ღამეებს წიგნს. იმას, რაც ამ წიგნში წერია, ყურანში ვერ ამოიკითხავ. ეს ჯაბუკები ირანის ხვალისდელი დღის, მისი სოციალური და პოლიტიკური განახლების მაუწყებელნი არიან.

ისპაჰანში მოვიწინააღმდეგეთ სასწავლებელი, რომელიც ამზადებს სპეციალისტებს ირანის მეტალურგიული მრეწველობის პირმშოსათვის. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოყვანილ ჯაბუკთა მასწავლებელ-დამრიგებლები არიან საბჭოთა სპეციალისტები, დაწყებული ყველაზე უხუცესით — სახელმოვეჭილი მაკევეკელი მეტალურგით და დამთავრებული ახალგაზრდა თბილისელი თარჯიმნით ლომარდი ბართაიათი.

აქ გვიამბეს ერთი სამახსოვრო შეხვედრის ამბავი. სასწავლებელს თურმე ესტუმრა ირანელი ინჟინერ-მეტალურგი, რომელსაც თავის დროზე განათლება ევროპაში მიუღია, მაგრამ ისე მოხუცებულა, რომ სპეციალური ცოდნა სამშობლოსათვის ვერ მოუხმარია. მოხუცს გულდასმით დაუთვალა ირანელი სასწავლებელი, დასწრებია პრაქტიკულ გაკვეთილებს და პირადად დარწმუნებულა, თუ რა მონდომებით, მოთმინებითა და პატიოსნად გადასცემდნენ თავიანთ ცოდნას საბჭოთა პედაგოგები ირანელ ახალგაზრდებს. სიხარულით აცრემლებულ მოხუცს ახალგაზრდებისათვის ასე მიუმართავს:

— ეროვნული მეტალურგიის შექმნა ჩვენი „ოქროს ოცნება“ იყო. მეგონა ისე ჩავიდოდი სამარეში, რომ ამ ოცნების ახდომას ვერ მოვესწრებოდი. დღეიდან მეც თქვენი ასაკისა ვხდები. ჩვენი სამშობლო საკუთარ ფეხზე დგება, მისი „ოქროს ოცნება“ ხორცს ისხამს. მოდით, ამისათვის დიდი მადლობა ვუთხრათ საბჭოთა ადამიანებს. მათ დაგვიმტკიცეს, რომ ჩვენი ნამდვილი მეგობრები არიან. ეს მუდამ გახსოვდეთ!

მათ შორის, ვინც ირანელი ხალხის ასეთ გულმხურვალე მადლობას იმსახურებს, არიან ქართველი სპეციალისტებიც. ჩვენ მათ სანახავად მივეშურებით.

მეტალურგიული კომბინატის მშენებარე კორპუსები და ნაგებობები წამომართულა ისპაჰანიდან კარგა მოშორებით, შიშველ-გადატრუსულ ველზე. ყველაფერს სიცხის ბული ასდის, სუნთქვა ჭირს, მაგრამ 30 ათასამდე კაცი მაინც შეუსვენებლად მუშაობს.

მივადექით ადმინისტრაციულ შენობას, რომლის გარშემო სიმწვანეს უკვე ფეხი მოუკიდია. ფოთლებმომყლრალი ნორჩი ხეები იმდენ ჩრდილს

მინც ჰფენენ გახურებულ მიწაზე, რომ წუთით კაცმა სული მისწავს.

ვიკითხეთ გაბრიელ ქართველიშვილი, რომელიც აქ რამდენიმე წელია მუშაობს მშენებლობის მთავარ ექსპერტ-კონსულტანტად.

— ალა ქართველიშვილი?... ოო!

ჩვენს გამოჩენილ ინჟინერს ვისიმე რეკომენდაცია არ ჰქონდა. მაგრამ მის მიმართ პატივისცემის ასე უბრალოდ და წრფელად გამოხატვამ აქ განსაკუთრებით გაგვახარა.


გაბრიელ ქართველიშვილთან საუბარი არ გაგვჭიანურებია, რადგან გავიგეთ რომ რამდენიმე წუთში თათბირი ეწყებოდა. მან ბოდვის მოხდით ჩვენი თავი თანამემამულეებს ჩააბარა და დაგვიბარა — იცოდეთ, ასეთი მოკლე შეხვედრა ანგარიშში ჩასაგდება არ არისო.

სამშენებლო მოედნებზე მეგზურობას გვიწევს პლატონ ჭიჭაბერიძე. ამ უადრესად უბრალო და თავაზიან კაცს შესაშური შრომითი ბიოგრაფია აქვს ჩვენი დროის კაცისა. სიჭაბუკეში უმუშავია ვოლგის პიდროლექტროსადგურის მშენებლობაზე. უბრალოდ სამამულო ომის ფრონტებზე. დემობილიზებულს, მშვიდობიანი შრომა ნიჟინ ტაგილში განუახლებია. ხოლო თბოელექტროსადგურების მშენებლობის სპეციალისტის სახელი რუსთავეში მოუხვეჭია. 1957 წლიდან მოყოლებული, თავის ცოდნასა და გამოცდილებას ჩვენს მეზობელ ქვეყნებს ახმარს: ჯერ ინდოეთში, მეტალურგიული კომბინატის მშენებლობაზე უმუშავია 5 წელი, ახლა კი ირანელ მეგობრებს ეხმარება, როგორც თბოელექტროსადგურის კომპლექსის მშენებლობის მთავარი სპეციალისტ-კონსულტანტი.

თითქმის ასეთივე ბიოგრაფია აქვს საგლინავი საამქროს მშენებლობის მთავარ ინჟინერ-კონსულტანტს იასონ გუმბერიძეს, რომელიც იმხანად უკვე სამშობლოში დაბრუნების თადარიგში იყო.

ქართველ მეტალურგთა ქალაქის აღზრდილები არიან აქ მომუშავე სხვა სპეციალისტებიც: ინჟინერ-მეტალურგი, საავტორო ზედამხედველობის ჯგუფის უფროსი ვაჟა შენგელაია; ავლიმერაციის საამქროს მშენებლობის ინჟინერ-კონსულტანტი თეიმურაზ ფაცურია; ლითონკონსტრუქციების დამონტაჟების სპეციალისტები — უშანგი ბუჩუკური და ტარიელ მანჯგალაძე; კონვექტორის საამქროს მშენებლობის ინჟინერ-კონსულტანტი თეიმურაზ შელგია; თბოელექტროსადგურის დანადგართა მონტაჟის უფროსი ინჟინერი გელა ბაქრაძე და სხვები.

ვრცელ ტერიტორიაზე რამდენჯერმე შევეჩიხეთ ქარხნის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, რომელთაც გაბრიელ ქართველიშვილი და სხვა საბჭოთა სპეციალისტები რაღაცას უხსნიდნენ და უჩვენებდნენ ნახაზების მიხედვით.



კომბინატის ახლოს, ასევე საბჭოთა პროექტით, შენდება მეტალურგთა ქალაქი არიაშახრი 250 ათას მცხოვრებზე, ხოლო უფრო მოშორებით სხვა ქარხნები — ცემენტის, მანქანათმშენებელი, ხელსაწყოთმშენებელი, ქიმიური.

მეტალურგთა დაბის ერთერთ კოტეჯში მოთავსებულია საპროექტო განყოფილება. მისი მთავარი ინჟინერ-კონსულტანტი გივი ვაშაძე გვაცნობს განყოფილების ქართულ შტატს: გულო გოგიჩაიშვილი, გოგი მგელაძე, გივი ტატიშვილი, ალექსანდრე მესხირაძე, გელა ჯაფარიძე.

ოთახებში ყველგან ვატმანის ქალაღდება გაშლილი. ჩვენს ინჟინრებთან და არქიტექტორებთან ერთად ირანელები საბოლოოდ აზუსტებენ განსახორციელებელ პროექტებს. ყველაფრიდან ჩანს, რომ შეწყობილად, სრული ურთიერთგაგებით მუშაობენ. დიდად არ იგრძნობა ჩვენი მთარგმნელის ჯემალ აჯიაშვილის შვებულებაში ყოფნა.

ირანელი კოლეგები განსაკუთრებით ემაღლიერებიან გივისა და გულოს. მათთან მუშაობა ერთი სიამოვნებაა. იშვიათი ადამიანები არიან, ნამდვილი გურჯებიო.


ეს მეგობრული სამუშაო გარემოც ირაკლიმ კინოფირზე აღბეჭდა. ამასობაში მოგვაკითხა გაბრიელ ქართველიშვილის მანქანამ. რამდენიმე წუთის შემდეგ, თეირანიდან ჩამოსული მაღალი თანამდებობის პირების პატივსაცემად გამართულ სადილზე აღმოვჩნდით. გაბრიელმა წარგვადგინა და ჩვენი ჩამოსვლის მიზანიც გააცნო. მრავალი სადღეგრძელო ითქვა. ირანის მეტალურგიული კორპორაციის გენერალური დირექტორის დოქტორ ამირ-ალი შეიბანის წინადადებით ერთხმად შეისვა ირანელი და საბჭოთა ადამიანების მეგობრობის სადღეგრძელო.

ფარსი ირანისათვის იგივეა, რაც ჩვენთვის ქართლი. ხალხის სახელწოდებაც აქედან წარმომდგარა: ფარსი — სპარსი.

### ნაწყითე-რუსთამი — „მკვლართა ქალაქი“

ფარსის გულია პოეზიის მუზით განდიდებული შირაზი — 3 ათასი წლის ისტორიის ქალაქი, ირანის სახელმწიფოებრიობის აკვანი. მას ირგვლივ არტყია ნანგრევები ნაქალაქარი და ნამოსახლარი ადგილებისა, რომლებიც ქვის ენით მოგვითხრობენ აზიის ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოს ისტორიასთან დაკავშირებულ ამბებს.

ერთერთი მათგანია ნაწყითე-რუსთამი — „მკვლართა ქალაქი“, პერსეპოლისიდან 5 კილომეტრზე. აქემენიდებს, ეგვიპტელი ფარაონების მსგავსად, სათანადოდ უზრუნვიათ სამუდამო განსასვენებლის შესარჩევად. ჰოსეინ-კეხის მთის ციცაბო კლდე, თავისი გოროზი შეუუვალობითა



და ტინის ერთიანი მონოლითის ცივი მშენებარებით, თითქოს მარადიუ-  
ლობას შეზრდია. ამ კლდეში, რომლისთვისაც დროყამს ვერაფერი დაუ-  
ღია, დაახლოებით 20 მეტრის სიმაღლეზე, ერთმანეთისაგან რამდენადმე  
დაშორებული აკლდამების სიღრმეში განისვენებენ პირველი აქემენი-  
დები.

ამ აკლდამებიდან უძველესი და ყველაზე შთამბეჭდავია დარიოს.  
პირველისა. ეს ის დარიოსია, რომელმაც კიროსისაგან მიღებული კვერ-  
თხით ქვეყნიერების ოთხივე კიდეზე განფინა ირანის საზღვრები და რო-  
მელიც იწოდებოდა: „ყველა ადამიანის, მზის ამოსვლიდან მის ჩასვლა-  
მდე, მეფედ“.... „დარიოსი, დიდი მეფე, მეფეთ-მეფე, ქვეყანათა მეფე,  
პოსტაპოს — ძე, აქემენიდი“.

ჯვარის ფირმით დამუშავებული კლდის სიბრტყე დაფარულია დარი-  
ოსის სიძლიერის განმდიდებელი რელიეფებით. მისი ჰორიზონტალური  
ნაწილი, სასახლის ფსადლის მსგავსად, წარმოადგენს 4-კოლონიან პორ-  
ტიკს, რომლის შუაში დატანებული ლავგარდინიანი კარი აკლდამის იღუ-  
მალ სიბნელეს აჩენს.

ჯვარის ვერტიკალური ღერძის ზედა ნაწილის ქვემო ნახევარი გამო-  
ხატავს ერთმანეთის თავზე ორმწკრივად განლაგებულ ადამიანებს. სხვა-  
დასხვანაირ ტანსაცმელში გამოწყობილი, მორჩილად ხელებაპყრობილი  
28 მამაკაცის ფიგურა განასახიერებს 28 ქვეყანაზე ხელმწიფებას. წარწე-  
რა ამბობს: „თუ შენ იფიქრებ იმაზე, რამდენად დიდი იყო რიცხვი ქვე-  
ყნებისა; რომლებსაც დარიოსი ფლობდა, და იკითხე ამის შესახებ — შე-  
ხედე იმათ გამოსახულებას, ვინც მიეზიდება ჩემს ტახტს, და შენთვის ნა-  
თელი გახდება ეს“.

ადამიანთა თავებს დაყრდნობილ ტახტზე დგას თავად დარიოსი, სამ-  
სხვერპლოს წინ, რომელზედაც წმიდა ცეცხლი ანთია. სულ ზემოთ:  
მრგვალი დისკო მზისა — ყოველგვარი სინათლისა და ცეცხლის პირველ-  
წყაროსი, და ფრთოსანი აპურამაზდასი — სინათლისა და ყოვლისმომნი-  
ჭებლობის ძველირანული ღვთაებისა. „ეს სამეფო, რომელსაც ვფლობ-  
სკვითიდან, სიგდინის უკან რომაა, კუშამდე, ინდოეთიდან სარდამდე,  
მომცა მე აპურამაზდამ, ღმერთებში უდიდესმა. დაე მფარავდეს აპურა-  
მაზდა მე და ჩემს ოჯახს“.

თვით ღმერთებისათვის შესაშურ კადნიერებაში დარიოსს ტოლს  
არც ქსერქსე უდებს: „თუ ჩვენ დავიპყრობთ ათენელებს და მათ მეზო-  
ბელ ხალხს; რომელსაც ჰელიპსის მიწა უკავია, მაშინ სპარსეთის მიწის  
ფარგლებს ზეცისი ეთერამდე გადავწევთ. მზე მეტად აღარც ერთ მხარეს.

აღარ დამზერს ჩვენს საზღვრებს იქით: მე თქვენთან ერთად მთელ ევროპას და მთელ მიწას შევეერთებ. თუ ჩვენ აქ დასახლებულ ხალხებს დავიპყრობთ, მაშინ, როგორც ამბობენ, მეტი აღარ დარჩება არც ერთი ქალაქი, არც ერთი ხალხი, რომელიც ჩვენთან ბრძოლას გაბედავს. ამრიგად, ჩვენ მონობის უღელს დავადგამთ როგორც ჩვენს წინაშე დამნაშავეთ, ისე უდანაშაულოთაც“.

დაპყრობილ ხალხებს შორის აქემენიდები ქართველებსაც მიითვლიდნენ, თუმცა ჩვენს წინაპრებს მორჩილებით ქედი არ მოუხრიათ. სპარსელები ამჯერად შედარებით მცირედით დაკმაყოფილებულან: 100 მშვენიერი ასულითა და 100 ჭაბუკით, რომლებიც ხუთ წელიწადში ერთხელ კოლხიდიდან ეგზავნებოდათ, და ლაშქრობის ყამს მხედრობის გამოთხოვის უფლებით. საბერძნეთზე ქსერქსეს ლაშქრობის შესახებ დაცულ ცნობაში დამოწმებულია ქართველი ტომების მონაწილეობაც.

ქსერქსეს ლაშქრობები თუ როგორ დამთავრდა, ყველასათვის კარგად არის ცნობილი. და იქნებ თავისი დიდების კრახის ყამს ამ გულზვიადმა აქემენიდმა იწამა კეთილგონიერება ერთი სპარსელის შეგონებისა: „სიღარიბეს დასაბამიდან ჩვეულია ელადა, ხოლო მას მიემატა მხნეობა, რომელიც სიბრძნემ და ძლიერმა კანონებმა შექმნეს. ამ მხნეობის დახმარებით ელადა თავს იცავს სიღარიბისგანაც და დამონებისგანაც“.

მიწაზე კეთილისა და ბოროტის გონივრულად გარიგების ცდაში დაეხეტებოდა სპარსეთის უკიდევანო სივრცეებზე, ლეგენდის მიხედვით, ბრძენი ზარატუსტრა. ამოდ დამშვრალმა და კეთილის შეუსმენლობით დატანჯულმა, იმავე ლეგენდების მიხედვით, აქ, აქემენიდების ნეკროპოლის პირდაპირ დააყუდა თავისი ყავარჯენი. ჰოსეინ-კეხის ციცაბო კლდეებს დღემდე თვალებმოუცილებლად შეჰყურებს ერთი მალალი და პირქუში კოშკი — გადმოცემით, ზარატუსტრას საფლავი.

არავინ იცის როდის მიიძინა და რანაირი ძილით მითიურმა წინასწარმეტყველმა. მაგრამ მისადმი ერთგულების ცეცხლი კერებზე დღემდე უნთიათ ზორიასტრიზმის მიმდევრებს. ისინი აქამდე ელოდებიან თავიანთი წინასწარმეტყველის გამოცხადებას. და როგორც ასეთ დროს ხშირად ხდება ხოლმე, სარბიელზე ჩნდებიან ცრუ წინასწარმეტყველები. ერთმა მათგანმა, ზეკაცობის იდეის მაძიებელმა, ზარატუსტრას ორეულის პირით ადამიანებს გამოუცხადა: „მე გეუბნებით თქვენ: სულმან თქვენმან კვლავაც უნდა ზიდოს ქაოსი, რათა შესძლოთ შუათ მოციმციმე ვარსკვლავი“.

კაცობრიობას ყოველთვის ძვირად უჯდებოდა ქაოსისაკენ მომწოდებელი ხმის აყოლა. საბედნიეროდ, წინასწარმეტყველები, „ზეკაცები“ იბადებიან და ქრებიან, ხალხი კი რჩება.

ამ დიდ სიმართლეს დასტურს აძლევს ჰოსეინ-კეხის კლდეებს შორის დაბუდებული მარადიული მდუმარება. გახსენდება ესქილეს სიტყვები, რომლითაც იწყება მისი „სპარსელები“:

„მთელი მხედრობა სპარსეთისა გაკრეფილია ელადის მხარეს“.  
ძინავთ ზვიად აქემენიდებს მარტოობის კლდის გულში.

(გაგრძელება იქნება)





# აღმსარებელი ჩაუბრუნებელი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

## მთარგმნელობა — ხალხთა მეგობრობის განმავითარების საშუალება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი დიდი ისტორიული მნიშვნელობის მონაპოვარია. იგი პირველ ყოვლისა საბჭოეთში შემავალი ერების მეგობრობის პრაქტიკულად შემოწმებული ფორმაა.

ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში თვალსაჩინო როლს ასრულებს კულტურული ურთიერთობის სხვადასხვა ფორმა და, მათ შორის, მთარგმნელობა. ჩვენი მსჯელობის საგანს სწორედ ეს საკითხი შეადგენს.

მთარგმნელობა მეტად სასარგებლო კულტურული მოღვაწეობაა. „მე რომ მკითხოთ, — წერს თანამედროვე თურქი მწერალი

ჰალდუნ თანერი, — მთარგმნელის ღვაწლი მწერლის ღვაწლის ოდენაა... მთარგმნელი ორი ხალხის შემაერთებელი ხილია“ (იხ. ჰ. თანერი, თორმეტს აკლია ერთი წუთი, 1972 წ. თბ. გვ. 5). თარგმანის ასეთი დიდი მნიშვნელობის გამო ისტორიულად ყველა ქვეყნის გამოჩენილი მოღვაწეები აქცევდნენ მას ყურადღებას. ამას თვალნათლივ მოწმობს ქართული ლიტერატურის ისტორიაც. ძველად, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა წიგნის ბეჭდვის ტექნიკა, განსაკუთრებით დიდი იყო თარგმანის მნიშვნელობა.

თარგმნილი წიგნების ხელნაწერი სახით გავრცელება ერთა ურ-

თიერთ დაკავშირება-დამეგობრების თითქმის ერთადერთი საიმედო კულტურული საშუალება იყო. საკმარისია გავიხსენოთ მთარგმნელობითი რუდუნება ექვთიმე მთაწმინდელის, ეფრემ მცირესა და სხვათა, რომლებმაც თარგმნის საკუთარი თეორიაც კი შეიმუშავეს და ქართული მწერლობა გაამდიდრეს მრავალი ნათარგმნი ძეგლით. ამით ისინი ხელს უწყობდნენ ხალხთა დამეგობრებას.

ამ ჯანსაღ ტრადიციას ნაყოფიერად განაგრძობდნენ მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწეები — მწერლები და პუბლიცისტები, საკმარისია გავიხსენოთ ალ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, გ. ერისთავის, ა. წერეთლის და განსაკუთრებით ი. ჭავჭავაძის დამსახურება, რომელმაც ი. მახაბელთან ერთად ბრწყინვალედ აამეტყველა გენიალური შექსპირის ტრაგედიები ქართულად.

თანამედროვე ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში კვლავ წარმატებით გრძელდება მთარგმნელობითი საქმიანობა. სანიმუშოდ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს დავასახელებთ. დღეისათვის ქართულად თარგმნილია რუსული და მსოფლიო ლიტერატურის დიდაკლასიკოსების პუშკინის, ტოლსტოის, გოგოლის, ტურგენევის, დოსტოევსკის, ნეკრასოვის, ჩეხოვის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, გორკის, მაიაკოვსკის, შოლოხო-

ვის, ჰომეროსის, სოფოკლეს, ესქილეს, სერვანტესის, ბალზაკის, სტენდალის, დიკენსის, მოპსანის, გოეთეს, ჰიუგოს, შილერისა და სხვათა უმთავრესი ნაწარმოებები.

აქვე უნდა დავასახელო ისეთი ორი ძირითადი მთარგმნელობითი ორგანო, როგორცაა „ცისარტყელა“ და „ხომლი“, რომლებიც დიდ კულტურულ საქმეს ანხორციელებენ.

ამჟამად ჩვენ გვსურს უფრო ვრცლად ვილაპარაკოთ აჭარაში მცხოვრები საბჭოთა მწერლების მთარგმნელობითი საქმიანობის შესახებ.

პოეტი ნესტორ მალაზონია თავის სამწერლო მოღვაწეობაში მუდამ ჯეგონად აფასებდა და აფასებს მთარგმნელობას. მას სწამს, რომ თარგმანის საშუალებით მკითხველი ღრმად სწვდება მოძინე ერის სულიერ სიმდიდრეს. ამ იდეით შთაგონებული პოეტი სისტემატურად თარგმნიდა და აქვეყნებდა მოძმე ერთა პოეტების ლექსებს. დღემდე მისი ყურადღების ცენტრში იყო მ. ლერმონტოვის, ტ. შევჩენკოს, ნ. ნეკრასოვის, მ. ისაკოვსკის, ს. მიხალკოვის და სხვა მწერლებას შემოქმედება.

ნ. მალაზონიას თარგმანის თავისებურება მის პოეტურობაში მდგომარეობს. ზოგიერთ მთარგმნელს გადმოაქვს ნაწარმოების მხოლოდ შინაარსი, ხოლო მხატვრული ფორმის ადეკვატურობას ნაკლებ ყურადღებას აქცევს. ნ.

მალაზონია კი ეძებს დამახასიათებელ გამომსახველობით საშუალებებს, არჩევს პოეტურ დეტალებს, რათა უფრო მხატვრული სრულყოფილობით გადმოსცეს დედნის იდეური შინაარსი. ასეთი პოეტური აქტურებით თარგმნის ნ. მალაზონია ტარას შევჩენკოს ანდერძს:

როცა მოკვდე, საყვარელი  
უკრაინის მინდვრად,  
გამითხარეთ მე საფლავი,  
რადგან ვჭკურტდე მინდა  
ყანას, რომ ჩანს უსასრულო,  
ლურჯი დნებრი, ხრამი...  
მსურს მქუხარე დნებრის მესმას  
ჩქრიალი და ჩქამი.

მინდვრად — მინდა, ხრამი —  
ჩქამი ისეთი რითმებია, რომლებიც  
ლექსს მატებენ კეთილხმოვანებას,  
მუსიკალობასა და ესთეტიკურ  
უღერადობას.

მრავალმა ქართველმა მთარგმნელმა  
ნამდვილად პოეტური განცდით  
ამეტყველა კრილოვის იგავ-არაკები.  
მათ შორის ცოტა წვლილი როდი  
მიუძღვის პოეტ ნ. მალაზონიას.  
მისი ლექსების კრებულში  
დამატების სახით შეტანილია  
კრილოვის „მგელი დაკრავის“  
თარგმანიც. ტექსტში ზუსტად  
არის დაცული არაკის შინაარსი,  
მაგრამ გადმოცემულია იგი არა  
პროზაულად, არამედ მაღალ-  
მხატვრული ლექსითი მეტყველებით.  
რად ღირს მარტო ლექსის  
დასასრული. მგელმა შეატყუა,  
რომ ცხვრების ნაცვლად აღმოჩნდა  
ძაღლებით გარემოცული, ამიტომ  
თავი მოიკატუნა, ძაღლებ-


ბის გაბრიყვება მოინდომა და მათ  
უთხრა: აწი თქვენს ფერმას არა  
თუ ხელს ვახლებ, ჩემი მოდგმა  
მას ქომავად დაუდგებაო. ეს ბა-  
ზიერმა გაიგონა და მგელს მიაძახა:

„შენ რუხი ხარ, მე — ჭაღარა  
და ამიტომ აღარ მჯერა მგლების ფიცი,  
კარგად ვიციბო თქვენს ბუნებას,  
კარგად ვიცი,  
მგელი მგლობას ვერ დაიშლის  
თავის დღეში,  
თუ უტყაოდ არ დატოვებ მისი ლეში,  
ძაღლები არ მიუხიე დანავეში.“

აქ ზუსტადაა დაცული დედნის  
შინაარსი და კარგადაც არის გა-  
მოთქმული.

ნამდვილად ქების ღირსია ნესტორ  
მალაზონიას მთარგმნელობითი  
მოღვაწეობა და დარწმუნებული ვართ,  
რომ იგი კვლავ წარმატებით  
განაგრძობს ამ სასარგებლო  
საქმიანობას.

ბათუმში მცხოვრებ ქართველ  
პოეტებს შორის მთარგმნელობით  
საქმიანობაში ყველაზე დიდი  
წვლილი მიუძღვის პოეტ გიორგი  
სალუქვაძეს. იგი მრავალი წელია  
მოღვაწეობს ამ სფეროში, თარგმნის  
როგორც ცალკეულ ლექსებს,  
ისე დიდი მოცულობის ნაწარმოებებსაც—  
პოემებს, დრამებს. კრიტიკოსი  
შოთა ქურიძე თავის ლიტერატურულ -  
კრიტიკულ სტატიაში წერს: „თარგმანი  
გიორგი სალუქვაძისათვის ეგრეთ  
წოდებული „მემოქმედებითი შესვენების“  
პერიოდის ამოსავლები საქმიანობა  
კი არ არის, არამედ



თვით შემოქმედებაა, მისი ლიტერატურული მოღვაწეობის შემადგენელი ორგანული ნაწილია“. ამ სწორ დასკვნას თვალსაჩინოს გახდის გ. სალუქვაძის ნათარგმნი ნაწარმოებების მოკლე ჩამოთვლაც კი.

გ. სალუქვაძემ დიდი ამაგი დასდო სერგეი ესენინის პოეტურ შედეგთა ქართულ ენაზე აქლერების საქმეს. ამის ნათელი დემონსტრაციაა ესენინის პომის „ანა სნეგინას“ თარგმნი. თარგმანი მან პირველად ჟურნალ „მნათობში“ დაბეჭდა, ხოლო შემდეგ სხვა თარგმნილ ნაწარმოებებთან ერთად შეიტანა თავის წიგნში „ლექსები და პოემები“.

მრავალი პოეტის ლექსები თარგმნი გ. სალუქვაძემ ქართულ ენაზე. ეს პოეტებია პუშკინი, ლერმონტოვი, კრილოვი, შჩიპაჩოვი, ევტუშენკო, გამზათოვი და სხვები.

ამასთან დიდია გ. სალუქვაძის დამსახურება ფრანგი კლასიციზტების ისეთი ნაწარმოებების გადმოთარგმნაში, როგორცაა პიერ კორნელის ტრაგედიები „სიდი“ და „ცინა“, ჟან რასინის „ფედრა“ და „დავქარნი“, აგრეთვე კალდერონის „უჩინარი ქალი“. როგორც პრესაში აღინიშნა, ყველა ამ პიესის თარგმანი შესრულებულია მაღალ მხატვრულ დონეზე და ამდიდრებს მკითხველთა ესთეტიკურ სამყაროს.

გ. სალუქვაძე ამჟამადაც წარმა-

ტებით განაგრძობს ამ მეტად სასარგებლო საქმიანობას და ორიგინალური შემოქმედების პარალელურად თარგმანებითაც ხელს უწყობს ერთა დამეგობრებას.

მთარგმნელობაში თვალსაჩინო მიღწევა გააჩნია პოეტ მამია ვარშანიძეს. დიდი ხანია იგი თარგმნის ცნობილი მწერლების ლექსებს. განსაკუთრებით დაინტერესებულია თურქი პოეტების შემოქმედებით. ამ საქმეში მას ძალზე ეხმარება თურქული ენის ცოდნა, არ სჭირდება ე. წ. პწკარედები, პირდაპირ დედნიდან გადმოაქვს, ქართული ენის სპეციფიკის მომარჯვებით გვაცნობს ისეთი ცნობილი თურქი მწერლების ლექსებს, როგორიც არიან ნაზიმ ჰიქმეთი, საბაჰათინ ალი, რიფათ ილგაზი, მელიქ ჯევდეთ ანდაი და სხვები. ამ მიმართულებით მთარგმნელობითი საქმიანობის გაცხოველებას აქტუალური მნიშვნელობა იმიტომაც აქვს, რომ, როგორც ცნობილია, თურქეთი საქართველოს მოსაზღვრე ქვეყანაა, რომლისგანაც ბევრი სიმწარე ახსოვს ქართველ ხალხს; სამას წელიწადს ბატონობდა იგი აჭარაში და ამ ფონზე თურქ ხალხთან დღეს მშვიდობიანი თანაარსებობა და მეგობრობის გაღვივება ერთობ სასარგებლო საქმეა. თურქეთში არიან პროგრესული მწერლები, რომლებიც დაუღალავად მოღვაწეობენ მშვიდობის განმტკიცებისათვის. ამ იდეის დიდი მომდერალი იყო ნაზიმ ჰიქმეთი. მას გან-

საკუთრებით იზიდავდა აჭარა, ქალაქი ბათუმი. იგი წერდა: „ქალაქი ბათუმი, აჭარის რესპუბლიკა, პირველი რევოლუციური ქალაქი, პირველი საბჭოთა რესპუბლიკაა, რომელიც მე ვნახე. პირველი გლეხი და პირველი მუშა აქ გავიცანი, პირველ ბოლშევიკს აქ ჩამოვართვი ხელი, მე პირველად აქ გავიგე, თუ რას ნიშნავს ხალხთა ბრძოლა. მოსკოვში მე ბათუმიდან გავემგზავრე“. ამას ამბობდა ნ. ჰიქმეთი თავისი ნაწარმოებების კრებულის შესავალ წერილში, რომელიც კრებულიც ბათუმში გამოიცა ქართულად 1956 წელს.

ქართულ ენაზე ჰიქმეთის ლექსების თარგმნაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდი დამსახურება მიუძღვის მ. ვარშანიძეს. ამ ლექსების ერთი ნაწილი მან შეიტანა თავის ახალ წიგნში — „თარგმნილი ლექსები“. გარდა ზემოთ დასახელებული მწერლებისა ამ კრებულში შეტანილია აგრეთვე უკრაინელი პოეტების მიკოლა ბაჟანის, ივანე ნეხოდას, აფხაზი პოეტის ბაგრატ შინკუბას და სხვათა ლექსები.

მინდა მოკლედ ვთქვა კრებულში შეტანილი ნ. ჰიქმეთის ქართულად თარგმნილი ლექსების შესახებ. ყველა თარგმნილი ლექსი თემატურად აქტუალურია, ეხება თურქეთის თანამედროვე ცხოვრების მღელვარე საკითხებს. ნ. ჰიქმეთის მებრძოლი სული ჩანს ლექსში „მგზავრული“. რო-

გორც ცნობილია, ნ. ჰიქმეთი მეტწილად თურქეთის ციხეში იყო გამოძევებული. მისმა გამირულმა ქედუხრელობამ აღფრთოვანება გამოიწვია მთელი მსოფლიოს მშრომელთა გულში. ფართოდ გაიშალა მოძრაობა ჰიქმეთის განთავისუფლების მიზნით, რამაც თავისი შედეგი გამოიღო. თვით ჰიქმეთს არასოდეს არ დაუხვეია უკან, მისი გამირული სული და უდრეკი ნებისყოფა ვერ გატეხა მტრის სასტიკმა შემოტევამ. ეს ქედუხრელობა კარგად არის გადმოცემული ჰიქმეთის ლექსში „მგზავრული“.

ვერაფერი ჩვენ ვერ დაგვაუხსნებს,  
ჩვენ ნათელი მომავლისთვის

ვიღწვიოთ...

სალი კლდე ვართ და გული გვაქვს  
წმინდა,

ჩვენ გავივლით მარშით ბნელ და  
გრძელ გზებს.

ნ. ჰიქმეთმა ეს სიტყვა შეასრულა. მსოფლიოს და განსაკუთრებით საბჭოთა ხალხის მხარდაჭერით თავი დააღწია თურქეთის საპყრობილეს და საბჭოთა ქვეყანამ შეიხიზნა. მარად იკავშავებს მისი უტკნობი ლექსები ქართულ ენაზედაც, რაშიაც დიდი წვლილი მიუძღვის პოეტ მამია ვარშანიძეს.

მთარგმნელობით საქმიანობას ეწევა პოეტი ფრიდონ ხალვაში. მართალია, იგი იმდენ ადგილს არ უთმობს თარგმნას, რამდენსაც ზემოთ დასახელებული მწერლები



მი, მაგრამ აშკარად იგრძნობა მისი სიყვარული ამ საქმისადმი. ფრ. ხალვაშის თარგმნილი ლექსები ყურადღებას იპყრობს მხატვრული ჟღერადობით, დედანთან ადეკვატურობით.

1970 წელს გაიმართა ამიერკავკასიის რესპუბლიკების პოეზიის დღეები აზერბაიჯანში. ამ დღისადმი მიძღვნილ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა ფრიდონ ხალვაშის მიერ თარგმნილი ალი-აღა ქურჩაილის ლექსი „ჩვენი ხალხი“.

შენ, მეგობარო, მოგზაურო და  
 უცხოელო...  
 თუ ხალხი შეგხვდა მოღიშარო  
 ტკბილ-მასპინძელი,  
 გული გაგიღო, გაგახარა და გაიხარა,  
 უცებ მოგენდო, შეიყვარე და  
 შეგიყვარა, —  
 იცოდე, კარგო, რომ ეს ხალხი ჩემი  
 ხალხია,  
 შირვანიც გხვდება და მულანიც  
 გხვდება კარლია,  
 პა, ზეურთებს გაშლის მოალერსე  
 არაქსი, მტკვარი,  
 აზერბაიჯანს თუ არ იცნობ, ნახე —  
 ეს არი.

ფრიდონ ხალვაშს ეკუთვნის ნაშრომ ჰიქმეთის ერთერთი ბრწყინვალე პოლიტიკური შინაარსის ლექსის თარგმანი, რომელშიც შთამაგონებლად ჟღერენ შემდეგი მაღალი პოეტური ტაეპები:

მე ვარ პოეტი,  
 პოეზიის მესმის ხელობა,  
 ვერ გამიტაცებს ლაყვარდებზე  
 რითმათა რიგი,  
 ჩემი ყველაზე საყვარელი ლექსის  
 ზომაა

„ანტიდიურინი“.

მუდამ დიდი ინტერესით იტყუება პოეტ შოთა როყვას მიერ თარგმნილი ლექსები, განსაკუთრებით იუმორისტული ხასიათისა, რომლებიც ხალისიან სიცილს იწვევენ.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ლიტერატორ ტიტე ხინთიბიძის თარგმანები. იმედიანად სცადა კალამი პოეტმა რევაზ ართილაყვამაც.

დასასრულ რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვა ერთი იმ მცდარი გაგების შესახებ, რომელიც გვხვდება თარგმანობის თეორიაში. ეს თეორია ამბობს, რომ ნაწარმოების სხვა ენაზე თარგმნის დროს ქრება მისი ნაციონალური, ეროვნული ფორმა და ეს თურმე, იმიტომ ხდება ასე, რომ ენა არის ეროვნების ერთადერთი ნიშანი და ენის გამოცვლა თარგმანის დროს სპობს ნაწარმოების ეროვნულობასო.

აქ რამდენიმე პრინციპული ხასიათის შეცდომასთან გვაქვს საქმე. ჯერ ერთი, ენა არ არის ეროვნულობის ერთადერთი ძირითადი ნიშანი. ენის გარდა ერს სხვა ძირითადი ნიშნებიც ახასიათებს: ტერიტორიის ერთიანობა, ეკონომიური წყობის მთლიანობა, თავისებური ფსიქიური წყობა, კულტურული ერთობა და სხვ.

მართალია, თარგმნის დროს ენა იცვლება, მაგრამ არ ქრება ერის სხვა ძირითადი ნიშნები. გენიალური „ვეფხისტყაოსანი“ მრავ-

ვალ ენაზე არის თარგმნილი, და ამით მას არ დაუკარგავს თავისი ეროვნული ხასიათი. მართალია, ენა ეროვნების ერთერთი ძირითადი ნიშანია, მაგრამ მხოლოდ ენამდე არ დაიყვანება ერის ეროვნულობა. ამის ნათელი მაჩვენებელი ისიცაა, რომ არსებობენ ერები, რომლებიც ერთ ენაზე ლაპარაკობენ (ინგლისი, ამერიკა) მაგრამ ამასთან გააჩნიათ განსხ-

ვავებული ეროვნული კულტურა. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ სხვა ენაზე თარგმნა არ უკარგავს მხატვრულ ლიტერატურას ეროვნულ შინაარსს, პირიქით ხელს უწყობს მის ფართო პოპულარიზაციას. ამიტომ მთარგმნელობითი საქმიანობა ყოველთვის იყო, არის და მუდამ იქნება ხალხთა დამეგობრების უებარი საშუალება.





## მიხეილ მუხომბაძე

# ქობულეთელი მკვლევარი

ქობულეთში ლენინის ქუჩის № 210 სახლს მალე დაამუშვენებს მემორიალური დაფა წარწერით: „1878 წელს ამ სახლში დაიბადა და იზრდებოდა ინჟინერ-კაპიტანი მიხეილ ანდრიას ძე ზედგენიძე. გმირულად დაიღუპა რუსეთ-იაპონიის ომში, პორტარტურის დაცვისას, 1904 წლის 2 დეკემბერს“. ეს იქნება გულწრფელი მადლობის გამოხატულება მამაცი ქართველი ოფიცრისადმი, რომელმაც თავისი ნიჭი, ენერჯია მოახმარა და ბოლოს სიცოცხლეც შესწირა იაპონელ აგრესორთა ხელყოფისაგან რუსეთის საზღვაო ციხე-სიმაგრის პორტარტურის დაცვას.

პორტარტურის დაცვის ისტორია ჯარისკაცის ფარაჯაში გამოწყობილი რუსი ხალხის მასობრივი გმირობის ისტორიაა.

1904 წლის 26 იანვარს, ღამით იაპონიის ფლოტი მუხანათურად თავს დაესხა პორტარტურს და ჩაძირა რამდენიმე სამხედრო ხომალდი. ასე დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომი, რომელიც 19 თვეს გაგრძელდა და რუსეთის დამარცხებით დამთავრდა. 1905 წლის 5 სექტემბერს დაიდო პორტსმუტის ხელშეკრულება. ეს იყო არა რუსი ჯარისკაცის, არამედ ძირმომპალი ცარიზმის დამარცხება.

რუს ჯარისკაცებსა და ოფიცრებთან ერთად რუსეთ-იაპონიის ომში მრავალი ეროვნების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მათ შორის იყო ქართველი ხალხის შვილი მიხეილ ანდრიას ძე ზედგენიძე. მისი სახელი ოქროს ასოებით არის აღბეჭდილი პორტარტურში მეორე ფორტის წინ აღმართულ ძეგლზე, გამოჩენილ



მხედართმთავარ გენერალ-მაიორ რომან ისიდორეს ძე კონდრატენკოს სახელთან ერთად.

მიხეილ ზედგენიძე სახელოვანი საბრძოლო ტრადიციების მქონე ოჯახში დაიბადა. მის წინაპრებს დიდი დამსახურება მიუძღვით ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. მიხეილის წინაპრები ერთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში რუსეთის არმიის ოფიცრები იყვნენ და შეუპოვრად იბრძოდნენ თურქ და ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის დიდი ღვაწლი, რომელიც მიუძღვის მიხეილის მამას, პოდპოლკოვნიკ ანდრია ივანეს ძე ზედგენიძეს. იგი მონაწილეობდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, რომლის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი შედეგი იყო აჭარის განთავისუფლება ოსმალთა ბატონობისაგან.

ღედსამშობლო საქართველოსთან აჭარის შეერთების შემდეგ ანდრია ზედგენიძე ოჯახით ქობულეთში დასახლდა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მის წინსვლა-განვითარებაში. მიხეილის დედა — მაგდალინა ადამის ასული პედაგოგი იყო, ნახევარი საუკუნის განმავლობაში — 1878 წლიდან 1927 წლამდე აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. იბრძოდა იმ მავნე

ზნე-ჩვეულებების წინააღმდეგ, რომლებიც ცეცხლითა და მახვილით დანერგეს თურქმა ასიმილატორებმა აჭარაში.

პეტერბურგის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, 1903 წელს მიხეილ ზედგენიძე გაგზავნეს შორეულ აღმოსავლეთში პორტარტურისა და დალნის სამხედრო სიმაგრეების მშენებლობაზე. 1904 წელს, როცა ომი ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, იქ ჩავიდა სახელგანთქმული რუსი გენერალი რ. ი. კონდრატენკო. მიხეილმა მაშინვე მიიპყრო მისი ყურადღება. ახალჩასული გენერალი სამხედრო ინჟინერი იყო და კარგად ამჩნევდა მიხეილის გამჭრიახობასა და პრაქტიკულ უნარს. ამიტომ მას ყოველთვის პასუხსაგები ობიექტების მშენებლობას ანდობდა და თავის მარჯვენა ხელად თვლიდა.

იყო კიდევ ერთი გარემოება, რომელიც მათ აახლოებდა. გენერალი კონდრატენკო თბილისში დაიბადა და იქვე გაატარა ბავშვობა, ცხოვრობდა კაპგერის (ავღაბარში მდებარეობდა) ქუჩის № 8 სახლში. შესანიშნავად იცოდა ქართული ენა და იგი რუსულთან ერთად მიაჩნდა მშობლიურ ენად.

სახელგანთქმული გმირის ხსოვნის უკვდავსაყოფად თბილისის ქალაქის სათათბირომ საზოგადო-

ებრიობის მხარდაჭერით გადაწყვიტა კონდრატენკოს სახელი მინიჭებინა ქალაქის ერთ-ერთი ქუჩისათვის.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში დაცულია თბილისის ქალაქის სათათბიროს შუამდგომლობა მეფისნაცვალისადმი ქალაქის ერთ-ერთი ქუჩისათვის კონდრატენკოს სახელის მიკუთვნების შესახებ. ეს შუამდგომლობა მოიწონა თბილისის გუბერნატორმა და გაუგზავნა კავკასიის მეფისნაცვალს დასამტკიცებლად. დოკუმენტში აღნიშნულია: „ქალაქის მმართველობამ მიმდინარე წლის (1909 წ. — მ. მ.) 13 აპრილის სხდომაზე დაადგინა აღძრას შუამდგომლობა კუბის ქუჩისათვის (ავლაბარში იყო — მ. მ.) გენერალ კონდრატენკოს სახელის მინიჭების შესახებ“.

კავკასიის მეფისნაცვალმა 1909 წლის 14 აგვისტოს დაამტკიცა ეს შუამდგომლობა და ამის თაობაზე აცნობა თბილისის გუბერნატორს, რათა მას მეფისნაცვალის გადაწყვეტილება შეეტყობინებინა ქალაქის სათათბიროსათვის. დოკუმენტში ნათქვამია: „კავკასიაში მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მეფისნაცვალის მო-


ვალეობის შემსრულებელმა 1897 წლის 26 მაისს სახელმწიფო საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების პარაგრაფ 2-ის საფუძველზე განაცხადა თანხმობა თბილისის ქალაქის სათათბიროს მიერ ამა წლის 13 აპრილს მიღებული გადაწყვეტილების შესასრულებლად ქ. თბილისში კუბის ქუჩისათვის განსვენებული გენერლის რ. ი. კონდრატენკოს სახელის მინიჭების შესახებ“.

ეს მასალები მეტყველებენ იმ დიდ სიმპათიაზე, რასაც თბილისის საზოგადოებრიობა გამოხატავდა თავისი თანამემამულის — პორტარტურის გმირის მიმართ.<sup>1</sup>

ცნობილი საბჭოთა მწერალი ალექსანდრე სტეპანოვი თავის შესანიშნავ ნაწარმოებში „პორტარტური“ მოგვითხრობს იმ დიდ გმირობაზე, რაც რუსმა ჯარისკაცებმა გამოიჩინეს ამ სიმაგრის დაცვის დროს. აქ მკაფიოდაა ასახული ინჟინერ-კაპიტნის მიხეილ ზედგენიძის მამაცობა.

ა. სტეპანოვი გადმოგვცემს კვანტუნის ოლქის მსხვილი სანავსადგურო ქალაქის დაღნის ქალა-

1 გ. შენგელია, ვინ იყო კონდრატენკო? გაზეთი „სოფლის ცხოვრება“, 1964, 7 ივლისი.



ქისტავის, თადარიგის სამხედრო ინჟინრის ვასილ ვასილის ძე სახაროვისა და ჩინელი კომერსანტის ნიკოლოზ ივანეს ძე ტიფონტაის საუბარს პორტარტურის ალყის წინ. ტიფონტაი სთხოვს სახაროვს მიხედოს მის კუთვნილ საწარმო - დაწესებულებებს პორტარტურში და ამისათვის გარკვეულ თანხას პირდება. ამ საუბრის დროს ქალაქისტავის ოთახში მსახურს გენერალ სტესელის დეპეშა შემოაქვს. სტესელი მოითხოვდა, არაუგვიანეს ღამის ორი საათისა დალნიდან არტურში გაეყვანათ რუსეთის ყველა ქვეშევრდომი, ორთქლმავლები დაუყოვნებლივ ნანგალინში გაეგზავნათ, ხალხს კი ქვეითად დაეხია უკან, ამავე დროს მეთექვსმეტე პოლკის უფროს რაზდოლსკისათვის ეცნობებინათ, რომ მას დაუყოვნებლივ მოესპო სანავსადგურო ნაგებობანი, ელექტროსადგური, რკინიგზის სახელოსნოები, სურსათისა და საბრძოლო მასალის მარაგი.

მეთექვსმეტე პოლკი დილის ხუთი საათისათვის სოფელ ტალინგოუსთან უნდა ყოფილიყო. სახაროვი და ტიფონტაი შეთანხმდნენ, შეეყოვნებინათ რაზდოლსკისათვის დეპეშის გადაცემა, რომ მას აფეთქება ვერ მოესწო. მაგრამ რაზდოლსკის შეეძლო გამოეგზავნა 40-50-კაციანი მზვერავი ცხენოსანი რაზმი, და მაშინ

შეთქმულებს ხელი შეეშობოდათ. სახაროვი და ტიფონტაი ასე მსჯელობენ:

— „აუცილებელია, ყოველი ღონისძიებით შევაჩეროთ ისინი. დალნიში არიან მესანგრეები?

— არაუმეტეს ხუთი კაცისა, და მათთან არის ინჟინერ-კაპიტანი ზედგენიძე.

— თვითონ ისინი ბევრს ვერაფერს გააკეთებენ, მზვერავთა დახმარებით კი მოასწრებენ კიდეც ნახევარი დალნის აფეთქებას. ხომ არ შეიძლება, მოვისყიდოთ ზედგენიძე, რაც არ უნდა დაგვიჯდეს ეს?

— ვშიშობ, რომ არა. იგი კონდრატენკოს მოწაფე და მიმდევარია. კონდრატენკომ კი ძალიან კარგად იცის ადამიანების შერჩევა“.

ასეთი საიმედო, თავდადებული და მოუსყიდველი პიროვნება იყო ინჟინერ-კაპიტანი მიხეილ ზედგენიძე, რომელმაც პორტარტურის გმირი დამცველების უსაზღვრო სიყვარული და მტრის სიძულვილი დაიმსახურა.

რომანში ცხოვლად არის ასახული გენერალ კონდრატენკოსა და ინჟინერ-კაპიტან ზედგენიძის ურთიერთობა. გენერალი მოსალოდნელი თავდასხმის წინ ათვალიერებს თავდაცვითი სამუშაოების მიმდინარეობას მეწინავე პოზიციაზე. აქ მას სხვებთან ერთად ხვდება ზედგენიძე. გენერალი კმაყოფილია. მეოთხე დივიზიის



განლაგებაში სანგრები მშვენივრად არის მოწყობილი. აქვს მყარი ბლინდაყები, შეხამებულია ადგილმდებარეობასთან. ეს კი პირველ რიგში ინიჟინერ მიხეილ ზედგენიძის დამსახურებაა.

წიგნში მიხეილ ზედგენიძე წარმოდგენილია როგორც პორტარტურის გამაგრების ენთუზიასტი, იგი აქტიურად მონაწილეობს სახმელეთო ბატარეების განლაგებაშენიღბვაში, ხოლო ომის დაწყების შემდეგ მეწინავე პოზიციებზეა და მთელ ძალას ახმარს ალყაშემორტყმული ნავსადგურის დაცვას.

მძიმე ბრძოლის შემდეგ, შუალამისას, გენერალი კონდრატენკო მეწინავე პოზიციებზე გადის. „აქ, — წერს ა. სტეპანოვი, — ასობით სულგანაბული ადამიანი მთვარის შუქზე სასწრაფოდ აღადგენდა დღისით დანგრეულ ბლინდაყებს, მიწაყრილს, წმენდდა ამოვსებულ გასასვლელებს.

დივიზიის უფროსი რომ შენიშნა, მასთან საჩქაროდ მივიდა სამუშაოთა ხელმძღვანელი კაპიტანი ზედგენიძე და მოახსენა სამუშაოთა მიმდინარეობის თაობაზე.

— ვიმედოვნებ, დილისათვის აღვადგენთ ყველა ჩვენს ძირითად სიმაგრეს. კიდევ კარგი, რომ იაპონელები ხელს არ გვიშლიან.

— სადაური ხალხია?  
— პოლკოვნიკმა სემიონოვმა გამოგვიგზავნა ზურგში მყოფი მუსიკოსები, მეარტელები, პუ-

რისმცხობლები, მეალალები არასამწყობრონი. პოლკი კი დასასვენებლად რეზერვში გადაიყვანა, აქ მხოლოდ მზვერავთა გუშაგები დატოვა. დილით იაპონელების ცხვირწინ აღმოჩნდება აღდგენილი სანგრები და კარგად დასვენებული დამცველები.

კონდრატენკომ დაცვის ხაზზე გაიარა და ყველგან ნახა ინიჟინერების ზედგენიძის, რამევსკისა და სხვების ხელმძღვანელობით დამით გაწეული ინტენსიური მუშაობის იგივე სურათი. გენერალმა გულითადი მადლობა გადაუხადა მათ ინიციატივის გამოჩენისა და ენერგიული მოქმედებისათვის“...

რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებიდან ოთხი თვის შემდეგ, ათ აპრილს ზედგენიძე მშობლებისათვის გაგზავნილ ბარათში წერდა: „გწერთ ძინ-ჯოუს პოზიციებიდან, სადაც მე ამ ერთი კვირის წინათ გადამიყვანეს. იგი არტურიდან 60 და დალნიდან 25 ვერსითაა დაშორებული. ვცხოვრობ ქოხში, მაგრამ მაინც ჯანმრთელად ვარ და ხარით ვმუშაობ. იაპონელები ჯერჯერობით არ გვაწუხებენ, მაგრამ თუ არტურს შეუტევენ ხმელეთიდან, მაშინ უეჭველად შეეცდებიან ამ პოზიციის დაკავებას, რომელსაც ტყუილად როდი ეძახიან არტურის გასაღებს“.<sup>2</sup>

კაპიტანი ზედგენიძე, როგორც

2 აჰარის ასრ სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 488, ფურცელი 5.



ამ წერილიდანაც ირკვევა, სამხედრო სიმაგრეების ასაგებად და დასამკვიდრებლად დანიშნული იყო ყველაზე პასუხსაგებ ობიექტებზე. ეს პოზიცია სტრატეგიული მნიშვნელობით „პორტარტურის გასაღებს“ წარმოადგენდა.

ამავე წერილით მიხეილ ზედგენიძე მშობლებს ატყობინებდა: „შეგიძლიათ მომილოცოთ საბრძოლო ნათლობა. 26 თებერვალს, არტურის დაბობვის დროს, რომელიც სიტყვამ მოიტანა და, ყველაზე სერიოზული იყო, მე არტურში ვიმყოფებოდი და დავინახე მტრის ფლოტი. საკმაოდ შთამბეჭდავი სურათი იყო, წარმოუდგენელი ჭექა-ქუხილი აყრუებდა არემარეს“.

მწვავე ბრძოლის დროს განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მეორე ფორტი, და იქაც ინჟინერ-კაპიტანი ზედგენიძე იმყოფებოდა. მოღალატე გენერლის ა. ფოკის რჩევით კონდრატენკო გაემართა ამ ფორტისაკენ. ფოკის აგენტებმა ეს დაუყოვნებლივ შეატყობინეს იაპონელებს, მტერმა ამ ფორტს მაშინვე დაუშინა მძიმე არტილერიის ცეცხლი. ყუმბარა მოხვდა იმ კაშემატს, სადაც კონდრატენკო, ნაუმენკო, ზედგენიძე, რაშევსკი და კიდევ რამდენიმე ჯარისკაცი იმყოფებოდნენ, და პორტარტურის გმირი დამცველები იმსხვერპლა.

მამაცი ქართველი მეომარი ქობულეთელი ინჟინერ-კაპიტანი მიხეილ ზედგენიძე, რომელმაც პორტარტურის დაცვას შესწირა თავი, სხვა გმირებთან ერთად დაკრძალეს შორეულ აღმოსავლეთში, პორტარტურის კონცხის რუხ კლდეში, საიდანაც უსაზღვრო ოკეანის სივრცე იშლება.

გმირობისა და მამაცობისათვის იგი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა „გიორგის ჯვრით“. „პორტარტურის“ ავტორი სიყვარულით გვინახავს ინჟინერ-კაპიტან მიხეილ ზედგენიძის კოლორიტულ ფიგურას. „იგი კალმით ნახატი გარეგნობისა, — ვკითხულობთ რომანში, — გამოირჩეოდა თავდაჭერილობით ქალებთან ურთიერთობაში, მთელ თავისუფალ დროს ახმარდა მუსიკას, რომელსაც ხუმრობით თავის ერთადერთ სატრფოს ეძახდა“.

მიხეილ ზედგენიძე, თურმე კუბოში იწვა როგორც ცოცხალი, არც ერთი ნაკაწრი, არც ერთი სიღამწვრე არ ჰქონია სახეზე.

აქ, ქობულეთში, დღევანდელი ლენინის ქუჩის № 210 სახლში, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა მიხეილმა, ახლა ცხოვრობს მისი პენსიონერი ძმა გიორგი. იგი ექვსი წლისა იყო, როცა მასზე ოცი წლით უფროსი მიხეილი დაიღუპა.

1954 წლის 5 იანვრამდე, გარდაცვალების დღემდე, ამავე სახელში ცხოვრობდა მიხეილის და მარიამი. იგი მუსიკის მასწავლებელი იყო და თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ახალგაზრდობის მუსიკალურ აღზრდაში.

დიდი სამამულო ომის შემდეგ და-ძმა მარიამ და გიორგი ზედგენიძეები დაუკავშირდნენ რომან „პორტარტურის“ ავტორს ა. სტეპანოვს, რომელიც მარიამს 1940 წლის 13 აპრილს სწერდა: „თქვენი ძმის მიხეილ ანდრიას ძის სახელი ოქროს ასოებითაა ამოკვეთილი არტურის რუხ კლდეზე. როგორც გმირ დამცველთა შორის ყველაზე სახელოვანი ადამიანისა, იგი, რ. ი. კონდრატენკოს ერთგული მოწაფე და მეგობარი, მასთან ერთად დაიდუბა №2 ფორტზე 1904 წლის 15 (2) დეკემბერს. აფეთქებამ მას კეფა დაუჩეჩა, მაგრამ არც ძალიან მაგრადა. როცა იგი კაზემატის ნამუსრევიდან ამოიღეს, გული ისევ უძგერდა და კიდევ ნახევარი საათი იცოცხლა ისე, რომ გონს არ მოსულა. მისი სახე დაზიანებული არ იყო და კუბოში იწვა, როგორც ცოცხალი. ყალმით ნახატ მამაკაცში გარეგნული მომნიბვლევობა არაჩვეულებრივ გულითადობასთან იყო შერწყმული.

იგი ყველას უყვარდა, როგორც შესანიშნავი ამხანაგი, ბრწყინვალე ინჟინერი და მოუსყიდველი, პატიოსანი ადამიანი“.<sup>3</sup>

იმავე 1946 წლის 29 ივნისს ა. სტეპანოვი პორტარტურის გმირის ძმას გიორგი ზედგენიძეს ატყობინებდა: „ახლა მე ვმუშაობ კონდრატენკოს ბიოგრაფიაზე, რომლის უშუალო თანაშემწე და თანამოსაგრე იყო მიხეილ ანდრიას ძე. ამიტომ გულმოდგინედ ვაგროვებ მონაცემებს თქვენს ძმაზეც. მთელი გარემოცვის განმავლობაში იგი იმყოფებოდა ყველაზე საშიშ უბნებზე... უღელტეხილების პოზიციებზე განაგებდა მარჯვენა ფლანგის სიმაგრეებს და აშენებდა მათ უშუალოდ კონდრატენკოს ხელმძღვანელობით. გენერალი მას თავის მარჯვენა ხელად თვლიდა და ყოველთვის ყველაზე სახიფათო დავალებებს აძლევდა. ციხე-სიმაგრის დაცვისას გამოჩენილი გულადობისა და ვაჟაკობისათვის მიხეილ ანდრიას ძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა „გიორგის ჯვრით“. მისი სახელი ოქროს ასოებით არის ჩაწერილი პორტარტურის დაცვის მატრიანეში“.<sup>4</sup>

3 იქვე, ფ. 6.

4 იქვე, ფ. 7.

1950 წლის შემდგომაზე გმირ-ის და-ძმა კრასნოდარში ეწვია მწერალს, რომელმაც მათ ასეთი გულთბილი წარწერით უსახსოვრა თავისი რომანი „პორტარტური“: „მარია ანდრიას ასულ და გიორგი ანდრიას ძე ზედგენიძეებს, მათი ძმის, პორტარტურის დაცვის გმირის მიხეილ ანდრიას ძე ზედგენიძის სახსოვრად, გულწრფელი პატივისცემით უძღვნის ავტორი“.

პორტარტურის ბრძოლების 40 წლის შემდეგ, 1945 წელს საბჭოთა არმიამ გაანადგურა იაპონიის ყველაზე ძლიერი და მრავალრიცხოვანი კვანტუნის არმია — 24 აგვისტოს ჩვენი არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები პარაშუტის დესანტით გადასხდნენ და პორტარტური დაიკავეს. აქ მათ მოწიწებით დახარეს თავი საძმო საფლავეზე, სადაც კაპიტანი ზედგენიძე და პორტარტურის სხვა მამაცი დამცველები განისვენებენ.



## ოპია გეგაძე

### ზ ჯ ი ღ ა ნ      ზ ჯ ა მ დ ე

კინოსადემონსტრაციო დარბაზში სინათლე ქრება და კადრებს ოცდაათიანი წლების ამიერკავკასიაში გადაყვართ. აი მოძმე აზერბაიჯანის მიწა, მცხუნვარე მზით გადამწვარი, გვალვისაგან დახეთქილი ველები... ყვავილებით აფერადებული ალპური საძოვრები... ნელა მიიზღაზნება აქლემების ქარავანი. მშენებლობის ხელმძღვანელები, ტოპოგრაფები ნახაზებს ჩაჰკირკიტებენ, რამდენი ძიება, ბრძოლა მოტოვებულია უკან. დავა ნავთსადენის მშენებლობის დაწყების შესახებ სამ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა.

თუმცა ამ დავას უფრო მეტი ისტორია აქვს. ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის მშენებლობის საკითხი ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს წამოიჭრა. ამაზე ყურადღება გაამახვილა დიდა მეცნიერმა დ. ი. მენდელეევა, მაგრამ რუსი მრეწველები არ მიჰყვნენ მის შეგონებას. მათ გაიყვანეს ბაქო-ბათუმის ნავთსადენი, რომელიც ვარგისი იყო

მხოლოდ მზა პროდუქციის გადასატუმბავად (ეს ნავთსადენი მილების შეცვლის შემდეგ დღესაც მოქმედებს). განაწყენებული დ. ი. მენდელეევი 1904 წელს წერდა: „თუ მე დღეს თავი დავანებე ბაქოს მრეწველობის საკითხებს, ეს უმთავრესად იმიტომ, რომ ჩემი აზრით, ბაქო-ბათუმის ნავთობსადენზე უარის თქმამ ბაქოს მენავთობეთა საქმე წაიყვანა რუსეთის მრეწველობისათვის არასასურველი შედეგებისაკენ... ვიმედოვნებ, ადრე თუ გვიან... ეს გამოსწორდება“.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის მშენებლობის საკითხი ახლებურად დაისვა. 1924 წლის 5 მარტს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე შეიქმნა ნავთობსადენის მშენებლობის კომისია ცნობილი სპეციალისტის ვ. შუხოვის თავმჯდომარეობით. მშენებლობის დასაპროექტებლად ჩამოყალიბდა ბიურო, რომელშიც შევიდნენ „აზნევის“ საუკეთე-





სო ინჟინრები. მათ დასახმარებლად მოსკოვიდან და ლენინგრადიდან მოავლინეს ნავთობის მრეწველობის თვალსაჩინო სპეციალისტები.

1925 წლის 5 ივნისი. შრომისა და თავდაცვის საბჭო, საბჭოთა კავშირის საგეგმო კომიტეტის პრეზიდიუმის წარდგინებით, იღებს დადგენილებას ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის მშენებლობის დაწყების შესახებ. ასეთივე დადგენილება გამოაქვს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს. ამ საკითხის დადებითად გადაჭრამ ფრთები შეასხა აზერბაიჯანელ მენავთობეებს. ისინი — მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები ერთმანეთს ულოცავენ დიდი საქმის დაწყებას. „აზნევის“ ხელმძღვანელობა სასწრაფო დაკვეთებს აძლევს სამამულო სამრეწველო საწარმოებს. საზღვარგარეთ ნავთობსადენის მშენებლობის საქმის შესასწავლად და დაკვეთების გასაფორმებლად მიემგზავრება სპეციალისტთა ჯგუფი.

1925 წლის 12 ივნისს იქმნება ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის სამშენებლო კანტორა ინჟინერ ა. ბულგაკოვის ხელმძღვანელობით.

მშენებლობა დაიწყო, მაგრამ სიხარული ნადრევი გამოდგა; 1925 წლის ივლისში საჭირო სახსრების უქონლობის მოტივით მიმდინარე სამუშაოები შეჩერდა. ამის შემდეგ ბაქო-ბათუმის ნავ-

თობსადენის მშენებლობის თხი მრავალჯერ დაისვა მწიფო ორგანოებში. იგი შეიტანეს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველ ხუთწლიან გეგმაში.

და აი, სამი წლის ბრძოლისა და დავის შემდეგ, 1928 წლის ოც აპრილს ნავთობსადენისათვის ფოთში მოდის გერმანიიდან გამოგზავნილი მიღების პირველი პარტია. კინოეკრანზეა საბჭოთა სავაჭრო ფლოტის თბომავალი „კემენეც-პოდოლსკი“. ნავსადგურში მიღებული მიღები იტვირთება პლატფორმებზე და იგზავნება დანიშნულებისამებრ. ერთმანეთს ცვლიან საქართველოსა და აზერბაიჯანის ბუნების მომხიბვლელი სურათები. მოჩანს თბილისი, მეტეხის ციხე, ქალაქის ქუჩებში მოფუსფუსე ხალხი, ურმები... ნავთობსადენი კვეთს ხეხილის ბაღებსა და ვენახებს, სიმინდის ყანებს. ავერ მოჩუხჩუხე მდინარე ჩხერიმელა, გლეხის კარმიდამო, კოხტა ოდა-სახლი, ეზოში — ნალია, ურემი. თვალწინ იშლება დასავლეთ საქართველოს პეიზაჟები. მამაკაცები ჩაისა და მანდარინის პლანტაციებში გასულან. წყალში ნებივრობენ სიცხისაგან დაოსებული კამეჩები. კეკლუცად მორთულან მთაგორები, ველ-მინდვრები, ბაღები.

ნავთობსადენის მშენებლობას უამრავი ხალხი მოუზიდავს. ნიჩბებითა და ბარებით შეიარაღებული მუშები თხრიან ტრანშეებს. გლეხებს ხარებით მოაქვთ მიწები. დედიშობილა ტიტლიკანა ბავშვები ბორცვზე ასულან და ანცობენ, მოზრდილები დოქებით ანკარა წყაროს წყალს ეზიდებიან.

ძნელ პირობებში მიმდინარეობდა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის მშენებლობა. პირველ უბანზე — ბათუმი-სუფსა — მოუწესრიგებელი იყო შარავნები. მშენებლებს უხდებოდათ დაჭობებულ ადგილების, ლეღების, გუბურებისა და ხეების გადალახვა. ციხისძირის მიდამოებში გაიყვანეს გზები, აგებდნენ ხიდებსა და ჭებირებს. მთელ დასავლეთ საქართველოს ბარში მძვინვარებდა მაღალი ივლისისა და აგვისტოს წვიმებმა კიდევ უფრო გაართულეს მდგომარეობა. ამას ზედ დაერთო სუსხიანი ზამთარი. თითქმის მთელი სამუშაოები სრულდებოდა ხელით და პრიმიტიული იარაღებით. არ იყო კვალიფიციური მუშათა კადრები. არ ყოფნიდათ სპეციალისტები, აღჭურვილობა, ტრანსპორტი. ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლაშისდელის მცხოვრები ბარნაბ წილოსანი

იკონებს: „მე მაშინ 15 წლისა ვიყავი. კარგად მახსოვს, რა ძნელ პირობებში მიმდინარეობდა ნავთობსადენის მშენებლობა, მიღები ფოთიდან სამტრედიოში რკინიგზით გადაჰქონდათ, სამტრედიო-დან ანაწილებდნენ ბათუმისა და ხარაგაულის მიმართულებით, რკინიგზიდან სამშენებლო უბნებამდე ურემებით გადაჰქონდათ. მე პირადად ხარ-კამეჩი მყავდა. მშენებლობას ხშირად ამოწმებდა ა. ბულგაკოვი“.

ბარნაბ წილოსანის მოგონებას აცოცხლებენ კინოკადრები. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ნავთობსადენი კვეთს გადახულ მინდვრებს და ხეობაში მიემართება. მთებში ვერაფერს ხდება ხარ-ურემი, უძლურია აქლემიცა და ცხენიც. მშენებლებს დამხმარედ მოუყვანიათ სახედრები. ისინი ეკრანიდან ისე ამაყად გადმოგვცქერიან, თითქოს მთელი მშენებლობის სიმძიმე მათ კისერზე იყოს. რას იზამთ, მიუვალ მთებში ასეთი სახის ტრანსპორტი დიდ სამსახურს სწევს.

კინოკადრებს თავიდან ბოლომდე გასდევს საბჭოთა კავშირის ხალხების ერთსულოვნება, მეგობრობა და ძმობა.

კინობიეტივშია ერთ-ერთი სოფელი. ნავთობსადენის მშენებელთა დასახმარებლად მოსულა მთელი მოსახლეობა — ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრ-

და, ქართველი, რუსი, აზერბაიჯანელი, სომეხი... მოუყვანიათ ცხენები, ურმები, ეზიდებიან მილებს, თხრიან ტრანშეებს.

ყველა უბანი გამოირჩეოდა მუშათა ინტერნაციონალური შემადგენლობით. 1929 წლის პირველი ნოემბრის მონაცემებით მშენებლობაზე მომუშავე 3.404 კაციდან 1.421 რუსი, 1.126 ქართველი, 211 აზერბაიჯანელი, 450 სომეხი და 196 სხვა ეროვნების წარმომადგენელი იყო.

ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან, ზღვითა და ხმელეთით იგზავნებოდა საჭირო მასალა და მოწყობილობა: ცემენტი — ნოვოროსისკიდან, ხე-ტყე — საქართველოდან, ფურცლოვანი რკინა — სამხრეთ უკრაინიდან...

1928 წლის მარტში მოსკოვის ერთ-ერთ ქარხანას დაუპყვეთეს 30 დიზელ-დანადგარი.

მოსკოვის მანქანათმშენებლობის ტრესტმა აზერბაიჯანისათვის სასწრაფოდ მოამზადა ტუმბოების ნახაზები და გადასცა ქარხანა „ბორესს“.

ვახეთმა „ბაკინსკი რაბოჩიმ“ 1928 წლის 10 აგვისტოს მკითხველებს აუწყა, რომ ლენინგრადის ქარხანა „ნავთობგაზი“ ნავთობსადენის მშენებლებს აწვდის აირგენატორებსა და მილებს, რუსეთის ქარხნები — რკინასა და მავთულს მილების შესადლულებლად, ნოვოროსისკის ქარხნები—

ცემენტს გადასატუმბავი სადაგურების ასაშენებლად.

სომხეთის სახალხო მეურნეობის საბჭომ მშენებლობისათვის გამოყო ხუთი ვაგონი ერევნის კარბიდი.

13 გადასატუმბავი სადაგურიდან ექვსი ააშენა „აზნევეთმშენმა“, დანარჩენი კი მოსკოვის ორგანიზაცია „ტექბეტონმა“.

თბილისის ლითონის ქარხნის მუშებმა დაამზადეს მშენებლობისათვის საჭირო სხვადასხვა მოწყობილობანი. საქართველოს ლითონის ტრესტმა მოამზადა რეზერვუარები და ცალკეულ გადასატუმბავ სადაგურებში თვითონვე დაამონტაჟა.

ურთიერთდახმარების, მეგობრობისა და ძმობის მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

მშენებელთა კოლექტივის ერთ-სულოვნებამ განაპირობა პირველი გამარჯვება. ნავთობსადენის ხაშური-ბათუმის უბანზე დაიწყო ნავთობის გადატუმბვის სასინჯი სამუშაოები. მილების გასასინჯად ხაშურიდან 1929 წლის 3 თებერვალს გაუშვეს წყალი. თებერვლის სუსხიანმა ზამთარმა გამოცდა ორმაგად შრომატევადი გახადა. სადაც ნავთობსადენი მთავორიან ადგილებსა და ხევებში გადიოდა, წყალი გაიყინა. იმ ადგილებში, სადაც მილები მიწის ზევით მიემართებოდა, ცეცხლს



ანთებდნენ, რომ წყალს ედინა.

ბათუმში მოუთმენლად მოელოდნენ წყლის გამოჩენას. ცალკეული უბნებიდან ინფორმაციის მოსვლისთანავე ითვლიდნენ დინების სიჩქარეს, დაობდნენ იმაზე, თუ როდის მოაღწევდა წყლის ნაკადი.

1929 წლის 10 თებერვალს წყალმა ბათუმამდე მოაღწია. „მდინარე სურამულამ მიმართულება იცვალა, მტკვრის ნაცვლად შავ ზღვას ერთვისო“, ხუმრობდნენ მუშები (მიღებში მდინარე სურამულას წყალი მოედინებოდა).

13 თებერვალს ხაშურიდან გამოუშვეს ნავთობის პირველი ნაკადი. ამ დღეს არავის ეძინა. „22 თებერვალს, დილის 8 საათზე წყლის ნაკადმა ფერი იცვალა, 8 საათსა და 30 წუთზე უკვე წამოვიდა პირველი ნავთობი — ნამდვილი ბაქოს ნავთობი, დამახასიათებელი სურნელით, რომელიც სასიამოვნოა ყველა მენავთობისათვის. გადაგვყავს იგი № 12 რეზერვუარში და მთელი გულით ვულოცავთ ერთმანეთს გამარჯვებას“. — ასე აღწერდა ამ სასიხარულო მოვლენას გაზეთში „ბაკინსკი რაბოჩი“ 1929 წლის 6 მარტს ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის მშენებლობის მთავარი ინჟინერი ა. ბულგაკოვი.

1929 წლის 25 თებერვალს

დღის პირველ საათზე, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში შეიკრიბნენ აჭარის პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოების წარმომადგენლები, მუშები და ინჟინრები. საზეიმო ვითარებაში აინთო პირველი ქვების ღუმელი. ბათუმის ნავთობგადასამუშავებელმა ქარხანამ ახალი ნავთობსადენით პირველი ნავთობი მიიღო.

მთელი ამიერკავკასიის მშრომელები ზემოობდნენ ამ გამარჯვებას. ნავთობსადენის ხაშური-ბათუმის უბნის ამუშავებასთან დაკავშირებით მუშებმა აზერბაიჯანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და „აზნევის“ სამმართველოს გაუგზავნეს მოსალოცი დეპეშა. „ნავთი — აჭარის ტანში. სათაგო უბნის მუშები და თანამშრომლები ულოცავენ ბაქოს პროლეტარიატს ბრწყინვალე გამარჯვებას სამეურნეო ფრონტზე“.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ფ. მახარაძემ აზერბაიჯანის ცაკის თავმჯდომარეს გ. მუსაბეკოვს გაუგზავნა მისალოცი დეპეშა: „...საქართველოს მშრომელების სახელით გიგზავნით მხურვალე სალამს საბჭოთა აზერბაიჯანის მუშებსა და გლეხებს. გაუმარჯოს ამიერკავკასიისა და მთელი საბჭოთა მშრომელე-

ბის მჭიდრო და ურღვევ კავ-  
შირს“.

ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის  
პირველი უბნის წარმატებით ამუ-  
შავებამ ფრთები შეასხა მშენებ-  
ლებს. გრძელდებოდა მეორე მო-  
ნაკვეთის მშენებლობა.

ეკრანზე ნაჩვენებია მშენებლო-  
ბის ერთ-ერთი რთული უბანი —  
მიღების ელექტრომედულება. ამ  
ობიექტზე მწვავედ იგრძნობა კვა-  
ლიფიციური კადრების უკმარობა.  
ჯერ კიდევ 1927 წლის 9 ოქტომ-  
ბერს „აზნევის“ უფროსმა მ.  
ბარინოვმა დეპეშა გაუგზავნა გე-  
რმანიაში მყოფ ა. ბულგაკოვს,  
მოლაპარაკებოდა დ. ვოლფს, რო-  
მელიც მიღების დაკვეთას ასრუ-  
ლებდა, დასახმარებლად მიეგლი-  
ნებია 14 ელექტრომემდულებე-  
ლი და ერთი მაღალკვალიფიცი-  
ური ინსტრუქტორი.

უმადლესი ორგანოების გადაწ-  
ყვეტილებით „აზნევოს“ უარი  
ეთქვა უცხოეთიდან ელექტრო-  
მემდულებელთა მოწვევაზე და  
ამ სამუშაოების შესრულება დაე-  
ვალა რუსეთ-ამერიკის სააქციო-  
ნერო საზოგადოება „რაგაზს“. ხარვეზი ნაწილობრივ გამოსწო-  
რდა. აზერბაიჯანში საამისოდ გა-  
იხსნა სხვადასხვა სპეციალობის  
სკოლა და კურსები. ბაქოს ელე-  
ქტრომემდულებელთა სკოლის  
46 კურსდამთავრებულმა თვალ-  
საჩინო წვლილი შეიტანა ნავთობ-  
სადენის მშენებლობაში.

მივყვეთ კინოკადრებს. ველზე

გამოლილია მშენებელთა ბანაკი  
ბრენენტის კარვებზე გამოკვეთი-  
ლია წარწერა „რაგაზი“, აქვეა  
მოძრავი სამხარეულო, სასადი-  
ლო, წყლის კასრები...

დღისით ირგვლივ სიცარიელეა.  
ხალხი არ ჩანს. მზარეულები ვახ-  
შმის სამზადისში არიან. სადამოს-  
სურათი იცვლება, ეკრანზე იკვე-  
თება გარუჯული სახეები, მოდი-  
ან დალილ-დაქანცულნი, ზოგი  
ფეხით, ზოგი მანქანით, ურმით.  
მშენებელთა ბანაკი იღვიძებს.

გამოიღ მაგიდაზეა შავი პური  
და უბრალო შექამანდი.

უჭირთ მშენებლებს, მაგრამ  
მაინც ახდენენ შრომითი გმირო-  
ბის სასწაულებს. ასეა საჭირო.  
სამშობლოს ინტერესები, ხალ-  
ხის ინტერესები ამას მოითხოვს.  
მარტო მათ როდი უჭირთ. ამის  
შესახებ დიქტორი არაფერს ამ-  
ბობს, მაგრამ თითოეული კადრი  
ამას ამჟღავნებს. ფილმი „ზღვი-  
დან ზღვამდე“ ბაქო-ბათუმის ნავ-  
თობსადენის მშენებლობის ისტო-  
რიის გადმოცემით ნათლად აჩვენებს  
იმ დიდ სიძნელეებს, რომე-  
ლსაც ჩვენი ქვეყანა სოციალიზ-  
მის მშენებლობის პირველ წლებ-  
ში განიცდიდა.

ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის  
მშენებლობას ყოველმხრივ დახ-  
მარებას და ხელმძღვანელობას  
უწევდნენ სკკპ(ბ) ამიერკავკასიის  
სამხარეო კომიტეტი, აზერბაი-  
ჯანისა და საქართველოს პარტიუ-  
ლი ორგანიზაციები. 1925 წლის



25 ნოემბერს ბაქოში ჩავიდა მთავრობის კომისია მშენებლობის დასაჩქარებლად.

1929 წლის 20 დეკემბერს ნავთობი ხაშურმა მიიღო. ნავთობსადენი ამუშავდა ასობით კილომეტრზე. მშენებლობის მეორე ეტაპი დამთავრდა. მალე ნავთობსადენს შეუერთდა უკანასკნელი უბანი.

1930 წლის 12 თებერვალს „აზნევეთის“ უფროსმა მ. ბარიჩოვმა უღებზეა ამხანაგებს ი. სტალინს, ს. კიროვს, გ. ორჯონიკიძეს, ვ. კუბიშვეს: „ხვალ, 13 თებერვალს, საღამოს 6 საათზე ბაქო-ბათუმის მთლიან ნავთობსადენზე ვიწყებთ ნავთობის გადატუმბვას. ამიერკავკასიის პროლეტარიატმა მოიპოვა კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება შრომის ფრონტზე“.

ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის მშენებლობა დამთავრდა, ნავთობსადენმა გადაკვეთა უდაბნო, მთები, ხევები, მინდვრები, მდინარეები, ქალაქები, სოფლები, ბალნეონახები, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები და ორ მოძმე რესპუბლიკას — აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე 822 კილომეტრზე მეგობრობის ხილად გაიდა. იგი იყო ამიერკავკასიის მრავალეროვანი მუშების, გლეხების, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, მთელი მშრომელი ხალხის

გმირული შრომის ნაყოფი. „შავი სისხლი, — წერდა ზეთი „ბაკინსკი რაბოჩი“ 1930 წლის 13 თებერვალს, — ცოცხალ ნაკადად იდენს ამიერკავკასიის ერთი კილიდან მეორემდე და თავის გზაზე განამტკიცებს ამიერკავკასიის ფედერაციის ხალხების ინტერნაციონალურ მონოლითურობას“.

ობიექტივშია ბათუმის საზღვაო ნავსადგური. ლუზა ჩაუშვიათ საზღვარგარეთიდან მოსულ გემებს. მათ ანძებზე ფრიალებს ნორვეგიის, საფრანგეთის, ინგლისის, ესპანეთის, იტალიის სახელმწიფო აღმები. მსოფლიოში საუკეთესო ნავთობის პროდუქტებით დატვირთული გემი ტოვებს ნავმისადგომს. ნავსადგურისაკენ კი ახალ-ახალი გემები ისწრაფვიან.

ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის გაყვანას ჰქონდა უაღრესად დიდი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ნავთობსადენის წარმატებით მშენებლობა მრავალეროვან ამიერკავკასიაში ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების ნათელი დადასტურება იყო.

რეჟისორ ი. ჟელიაბუჟსკის დოკუმენტური ფილმი „ზღვიდან ზღვამდე“ დიდი მეცნიერული ღირებულებისაა. მან შემოგვინახა უნიკალური კადრები მრავალეროვანი ამიერკავკასიის რესპუბლიკების შრომითი ბიოგრაფიი-

დან. კერძოდ, იგი ფასდაუდებელია იმისათვის, ვინც დაინტერესებულია საბჭოთა კავშირში ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის განხორციელების საკითხებით.

ეს ფილმი უნიკალურია თუნდაც იმიტომ, რომ ნავთობსადენი „ბაქო-ბათუმი“, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, დღეს არ არსებობს, 1943 წელს სამშობლოსათვის მძიმე დღეებში, სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის დადგენილებით ბაქო-ბათუმის ნავთობსადენი დემონტირებულ იქნა, მოწყობილობა-დანადგარები გადაიტანეს ახალი ნავთობსადენის — ასტრახან-სარატოვის ხაზზე.

ნავთობსადენის კვალიც აღარ

შერჩა ორი მოძმე რესპუბლიკის მრავალტანჯულ, ნაჯაფარ მიწას. უამთა სვლამ წაშალა ხაზი, მხოლოდ ამიერკავკასიის ხალხების მეგობრობას ვერ შეეხო დრო, იგი კიდევ უფრო ცხოველყოფელი გახდა.

ი. ჟელიაბუჟსკის დოკუმენტური კინოფილმი „ზღვიდან — ზღვამდე“, რომელიც ინახება აზერბაიჯანის სსრ კინოფოტოსურათების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, ჩვენი სახელოვანი წინაპრების შრომითი გამირობის მარად უკვდავი ცოცხალი მატიაწეა, წინაპრებისა, რომლებიც ასეთ გრანდიოზულ მშენებლობაში ჭედდნენ სოციალისტური ერების თანამეგობრობასა და ძმობას.



# ზ ე ლ მ ე წ ე ჯ

მეიკაბ ხინიკაძე

საქ. სსრ სახალხო არტიტი

## მემობრობის ტაქარი

საბჭოთა ხალხებს მუდამ მხარში ედ-  
გა ლიტერატურა, ხელოვნება — ახა-  
ლი ცხოვრების მშენებელთა დაახლოე-  
ბის, დამეგობრება-დამობილების, მათი  
გათვითცნობიერების მძლავრი იარაღი.


1934 წლის შემოდგომაზე ეკრანზე  
გამოვიდა ძმების ალექსეევების კინოსუ-  
რათი „ჩაპაევი“. ი. სტალინმა დაურეკა  
მეხლისს, რომელიც მაშინ გაზეთ „პრა-  
ვდის“ პასუხისმგებელ მდივნად მუშაო-  
ბდა, ნახეთ თუ არა კინოსურათი „ჩა-  
პაევი“, რატომ არაფერს სწერთო. მეხ-  
ლისმა უპასუხა, დავწერეთო და „პრა-  
ვდის“ ნომერი დაუსახელა. ათი წუთის  
შემდეგ ი. სტალინმა მეხლისს ტელე-  
ფონითვე უსაყვედურა: „აი ხედავთ, ისე  
ავიწყვიათ, თითქმის ვერ შევნიშნე, ნუ-  
თუ ასე უნდა სწერდეთ „ჩაპაევი“? გე-  
სმით როგორი მნიშვნელობა აქვს „ჩა-  
პაევს“ ახალგაზრდობის აღზრდისათვის?  
ვიჭირობ, ჯერ კიდევ არ გესმით, არ  
გიფიქრიათ, სურათი რამდენჯერმე ვნა-  
ხე... ჭკუის სასწავლებელია, ნაჩვენე-  
ბია როგორ ვიბრძოდით და რით გავი-  
მარჯვეთ, ქვეყანა უძღური, შიშველ-  
ტიტველი იყო, არაფერი გვექონდა და

მაინც გავიმარჯვეთ. სხვათა შორის, ფი-  
ლმი მოგვიწოდებს სიფხიზლისაკენ, რო-  
გორ ფიქრობთ, ხელისუფლების სათა-  
ვეში ჰიტლერის მოსვლასთან დაკავში-  
რებით, ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანია  
თუ არა?“

ეს ფაქტიც ნათელპყოფს ლიტერატუ-  
რისა და ხელოვნების დიდ როლს საბ-  
ჭოთა ხალხის ცხოვრებაში.

1930 წელს მოსკოვში ეროვნული თე-  
ატრების ფესტივალზე რუსთაველის სა-  
ხელობის თბილისის სახელმწიფო თეა-  
ტრმა მოხიბლა მაყურებელი, მათ შო-  
რის უცხოეთის ხელოვნების ოსტატე-  
ბიც. სანდრო ახმეტელის სპექტაკლი  
„ანზორი“ საბჭოთა კავშირის კომუნის-  
ტური პარტიის მე-16 ყრილობის დე-  
ლეგატებმაც ნახეს. როცა „ანზორის“  
მესამე მოქმედება დაიწყო, სერგეი მი-  
რონის ძე კიროვი აღფრთოვანებით წა-  
მოიჭრა ზეზე და თქვა: „იციო, აი ის...  
ეს... ეშმაკმა იცის, პირდაპირ მზად ვარ  
ჩავერიო ბრძოლაში! ვერ ვჭერდები ად-  
გილზე და ეს ყველაფერი როგორ ნაც-  
ნობია ჩემთვის, ახლობელია... თითქოს





საკუთარი ცხოვრებიდან ვკითხულობდუ ფურცელს!“

1919 წელს, სამოქალაქო ომის დროს კოტე მარჯანიშვილი უკრაინის თეატრების კომისრად დაინიშნა. იქ მან დადგა ესპანელი დრამატურგის ლოპე-დე-ვეგას „ცხვრის წყარო“. სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა. წითელი არმიის მებრძოლები მისი ნახვის შემდეგ თეატრიდან „ინტერნაციონალის“ სიმღერით პირდაპირ ფრონტზე მიემუხრებოდნენ.

ასევე განუზომელია კარგი ლიტერატურული ქმნილების გავლენა ახალგაზრდობაზე. ვინ მოსთვლის რამდენი ქალიშვილი და ჰაბუკი დაადგა პაკვა კორჩაგინის გზას. ზოია კოსმოდემიანსკაიას უბის წიგნაკვი ეწერა პაკვა კორჩაგინის სიტყვები: „...სიცოცხლე ადამიანს მხოლოდ ერთხელ ეძლევა და იგი უნდა განვლო ისე, რომ მწვავე ტკივილებად არ დაგრჩეს უაზროდ გატარებული წლები.“ მოსკოვში ნიკოლოზ ოსტროვსკის სახელობის მუზეუმში ინახება „როგორ იწრთობოდა ფოლადის“ ადრინდელი გამოცემის ეგზემპლარი. წიგნი სისხლითაა შეღებილი. იგი სამამულო ომის დროს სასიკვდილოდ დაჭრილ საბჭოთა პატრიოტს ამოუღეს უბიდან.

ქართული თეატრი მუდამ შეუწყლევბელ ყურადღებას უთმობდა მოძვე ხალხების დრამატურგიას. მას არასოდეს უცხოვრია კარჩაეტილად. განსაკუთრებით დიდია ილია ჭავჭავაძის დამსახურება ხალხთა მეგობრობის იდეის ჯეროვნად წარმოსახვაში. ილიამ აკაი წერეთელთან ერთად ამ მხრივ ბევრი რამ გააკეთა.

1913 წელს ქართველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა ლადო მესხიშვილის იუბილე. მასში მონაწილეობდნენ რუსები, თურქები, სომხები, ებრაელები, პოლონელები, უკრაინელები, აგრეთვე სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. ჩვენმა მოღვაწეებმა კარგად იცოდნენ, რაოდენ

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოძვე ხალხთა ლიტერატურისა და დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშების პროპაგანდას ერის სულიერ ცხოვრებაში, რადრმა კვალს ტოვებდა გამოჩენილ მსახიობთა გასტროლები, ხელოვანთა პირადი კონტაქტები. როცა ალექსანდრე ოსტროვსკი თბილისში ჩამოვიდა, მას ვასო აბაშიძემ ასე მიმართა: „ჩვენო ძვირფასო მოძღვარო! თქვენი დიდი სახელი ისევე სასიქადულოა აქ, როგორც რუსეთში, დიდად და დიდად ბედნიერი ვართ, რომ ჩვენ წილად გვხვდა ვიყოთ თქვენი ქმნილებების მეოხებით შუამავალი ზნეობრივი კავშირისა ამ ორ ხალხს შორის, რომელთაც ბევრი აქვთ საერთო მისაღწევი და, რომელთა შორის არსებობს ერთმანეთისადმი სიყვარული“.

ეს სახელოვანი ტრადიცია კიდევ უფრო განავითარა ქართულმა საბჭოთა თეატრმა. ამის საუკეთესო მაგალითია მისი ისტორია. კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი მოძვე ხალხთა ნაწარმოებებისა და ევროპის კლასიკურ ქმნილებათა მგზნებაზე პროპაგანდისტები იყვნენ.

ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის რეპერტუარი ძირითადად ყოველთვის ხალხთა მეგობრობასა და ძმობას ასახავდა. ბათუმის თეატრმა თავისი არსებობა გ. მდივნის „ბრმით“ დიწყო, რომელიც ბაქოს აწალი ნავთობის ჰაბურდილების მრავალეროვან მშენებელთა მონოლითობას წარმოადგენდა. მიქავასა და აბაშიძის პიესა „ცხოვრების ფერადები“ რუსი, ქართველი და აფხაზი ხალხების ურღვევ ძმობას დალადებდა. ს. შანშიაშვილის „არსენაში“ რუსი ჯარისკაცი მიტროხინი უყუყმანოდ დადგა სახალხო გმირის არსენას მხარეზე და იარაღი ცარიზმის წინააღმდეგ მიმართა.

დიდი წარმატებით დადგა თეატრმა ძველი ანტიკური ტრაგედიები „ოიდიპოს მეფე“ და „ანტიგონე“, ასევე ევ-

როპული კლასიკური პიესები „ჰამლეტი“ და „ოტელო“, „ვერგოლია და სიყვარული“, „სასტუმროს დიასახლისი“, „ორი ბატონის მსახური“, „უჩიველ აკოსტა“ და სხვ.

რუსული კლასიკური პიესებიდან დიდი წარმატებით იდგმებოდა „უდანაშაულო დამნაშავენი“, „შემოსავლიანი ადგილი“, „უმზითო“, „ცოცხალი ლეში“, „ეასა ჟელეზნოვა“ და სხვ.

დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში თეატრმა ფართო პლანით აჩვენა საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ. ამ თემაზე ერთ-ერთი პირველი სპექტაკლი იყო ს. კლდიაშვილის „ირმის ხევი“, კ. სიმონოვის „რუსეთის საიუბილეო“ და „მელოდე“, გ. მილინის „პარტიზანები“, ა. სოფრონოვის „მოსკოველი ხასიათი“ და „ერთ ქალაქში“, აგრეთვე ბევრი სხვა პიესა, სადაც ნაჩვენებია იყო სოციალისტური სამშობლოს დამცველთა ნებისყოფა, მათი თავდადება კომუნისტური იდეალებისადმი. ამ სპექტაკლებში ხაზგასმული იყო სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა ძმური ერთგულება და თავდადება.

უკანასკნელ პერიოდში ხალხთა მეგობრობას მიეძღვნა ჩ. აიტმატოვის პიესა „ჩემო, წითელთავსაფრიანო ჩინარო“ და ნ. დუმბაის „ნუ გეშინია დედა“, რომელიც პირველად ბათუმის თეატრმა დადგა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ერთა ურთიერთ პატივისცემის შთაბეჭდილებად ამსახველი ნაწარმოებია. სომხები ვანო და რუბენი, რუსი პეტროვი, უკრაინელები შერბინი, პარხომენკო, ნუგაოვი, ქართველი ავთო ჯაყელი ღვიძლი ძმებით არიან. ისინი სიცოცხლეს არ დაიშურებენ ერთმანეთისათვის.

პეტრო შერბინი, რომელიც ავთო ჯაყელთან ერთად სავალდებულო სამხედრო სამსახურს მესაზღვრეთა ნაწილში გადის, დედას წერს: „ეს საქართველო შესანიშნავი ქვეყანაა. ამ ჩაისა და მანდარინს, ბურს რომ სჭირდება, ათი

იმდენი შრომა უნდა, ღვინოს კიდევ მეტი. ქართველები თბილი ხალხები არიან, ჰკვიანი, ალერსიანი. სიმღერა უყვართ, ქეფიც უყვართ... ამხანაგის გულსათვის სახლს გაყიდოან, ოღონდ სამაგიეროდ სიყვარულს ითხოვდნენ. ეს ჯაყელიც ასეთია. მომკლა, ყოველდღე მზის ამოსვლას და ჩასვლას მაყურებინებს... დედა არ ჰყავს, შენი სურათი ვაჩვენე და ასე მითხრა, სულ დედაჩემს ჰგავსო... ალბათ მართლაც ჰგავხარ. აბა ტყვილს რატომ იტყვის, დედას იფიცებს ხოლმე, როცა დედას იფიცებს მაშინ არ სტყუის. ქართველები თუ დედას იფიცებენ, ხატზე დაფიცებას უდრის, კიდევ მეტს. თავისი ქვეყანა სიგიჟემდე უყვართ, საქართველოს სადღეგრძელოს რომ ამბობენ, ხანდახან ტირიან კიდევაც, სამოთხესავით ქვეყანაა.“

ნ. დუმბაის მეორე პიესაში „მე ვხედავ მზეს“ ნაჩვენებია ზრუნვა ადამიანისადმი. დაჭრილი ჯარისკაცი ანატოლი შემთხვევით მოხვდება ქართულ სოფელში, მას ღვიძლ შვილად იღებენ, საკუთარ ლუქას იკლებენ და მას აძლევენ. ეს სცენები უაღრესად გულწრფელია, გვაღელვებს ცხოვრების მართალი სურათებით, დიდი ადამიანური სიბოთით.

ხალხთა მეგობრობა ასევე შთაბეჭედავდა ნაჩვენები ა. გეჭაძის პიესაში „წმინდანები ჯოჯოხეთში“. ბატალიონის მეთაური კუზნეცოვი მთელი სულითა და გულით მიენდობა ქართველ ჭაბუკებს. მათ გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია.

იშვიათად თუ ჰქონია რომელიმე სპექტაკლს ისეთი დიდი წარმატება, როგორც ვ. დარასელის „კიკვიძეს“.

1942 წლიდან მოყოლებული იგი სცენიდან არ ჩამოდის. მასში მთელი სიმატლითაა გადმოცემული რუსების, უკრაინელების, ქართველებისა და სხვა ხალხთა ბრძოლა თეთრგვარდიელების წინააღმდეგ. მთელი სპექტაკლი მეგო-

ბროზის, მძობისა და სიყვარულის ნამდვილი საგლობელია.

როგორც ცნობილია, დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ აჭარის ასს რესპუბლიკასა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ბლაგოვეგრადის ოლქს. ამ მეგობრობის კიდევ უფრო გაფართოებისა და კულტურული ურთიერთობის გაღრმავების მიზნით ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის მთავარი რეჟისორი გ. ქავთარაძე იყო ბლაგოვეგრადში და ნიკოლა ვაპცაროვის სახელობის დრამატულ თეატრში დაღვა ნ. დუმბაძის პიესა „ნუ გეშინია დედა“. სპექტაკლს მოწონება ხვდა. მის მხატვრულ ღირსებასა და წარმატებებზე დაიწერა ადგილობრივ პრესაში. რაც მთავარია, რეჟისორ გ. ქავთარაძის ვიზიტმა ხელი შეუწყო კონტაქტების გაძლიერებას ორი ქვეყნის თეატრალური ხელოვნების წარმომადგენელთა შორის, საფუძველი ჩაეყარა მათ შემოქმედებითს მეგობრობას.

ახლანან ჩვენს თეატრში მოძმე ბულგარეთის რესპუბლიკიდან საპასუხო ვი-

ზიტით ჩამოვიდა ნიკოლა ვაპცაროვის სახელობის ბლაგოვეგრადის თეატრის რეჟისორი ანდრეი კალოდოვი. იგი ბათუმის თეატრში დგამს რაჩო სტოიანოვის პიესას „ოსტატები“. პიესა ასახავს მე-19 საუკუნის ბულგარეთის ცხოვრებას, როცა იქ პარაზებდნენ თურქი ასიმილატორები, მაგრამ აქა-იქ ბულგარეთის მიწაზე მაინც შემორჩნენ ხალხური ხელოვნების ოსტატები, რომლებიც იღვწოდნენ, ქმნიდნენ ხელოვნების ულამაზეს ნიმუშებს, ჭირ-ვარამს უმსუბუქებდნენ თანამემამულეებს, უღვივებდნენ მომავლის რწმენას, ეროვნულ თვითშეგნებას.

საბჭოთა კავშირის 50 წლისთავის იუბილესათვის მზადების პერიოდში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჩვენი ხალხების ძმობისა და ერთობის იდეები. ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის მთელი კოლექტივი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა კიდევ უფრო დამაჯერებლად გამოხატოს სინამდვილე, რომელმაც ესოდენ დიდი ბედნიერება მოგვიტანა.



## მათი მთავარი თემა — საკართველო

ვ. ი. ლენინმა თავის დროზე კარგად შენიშნა საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხთა ინტერნაციონალური ხასიათი. იგი ამ ვითარებით ძლიერ მოხიბლული იყო. მას ეკუთვნის სიტყვები: მუშათა მოძრაობის ინტერესებსა და ამოცანებს შეეფერება ყველა ეროვნების ის სრული ერთიანობა (ადგილებზე, თავიდან ბოლომდე), რომელიც ასე დიდხანს და ასეთი წარმატებით ხორციელდება კავკასიაში.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდგომდროინდელმა ეპოქამ, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც შეიქმნა „თავისუფალ ერთა მძლე კავშირი, ძმური“, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების განხორციელებით წინანდელი ისტორიისათვის სრულიად უცნობი ხასიათი დაამკვიდრა. დაიწყო სხვადასხვა ეროვნებათა ერთმანეთთან დაკავშირების მეტად რთული პროცესი. ამ პროცესში პირველ პლანზე წამოწეულია ყოველი საბჭოთა ხალხის ეკონომიური და კულტურული აღმავლობა, ეროვნული პრინციპების განვითარება, ფორმით ნაციონალური და შინაარსით ინტერნაციონალური კულტურის აყვავება.

სკკპ 24-ე ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში ნათქვამია, რომ „გასულ წლებში პარტიის ხელმძღვანელობით გადაიდგა ახალი ნაბიჯები ყოველი მოძვე საბჭოთა რესპუბლიკის ყოველმხრივი განვითარების გზაზე, ჩვენ


ქვეყნის ერთა და ეროვნებათა შემდგომი თანდათანობითი დაახლოების გზაზე. ეს დაახლოება მიმდინარეობს ეროვნულ თავისებურებათა გულდაგულ გათვალისწინების, სოციალისტურ ეროვნულ კულტურათა განვითარების პირობებში. როგორც მთელი ჩვენი კავშირის საერთო ინტერესების, ისევე მასში შემავალი თითოეული რესპუბლიკის ინტერესების მუდმივი გათვალისწინება — ასეთია პარტიის პოლიტიკის არსი ამ საკითხში“.

ერთა თანასწორუფლებიანობა და ურთიერთ პატივისცემა, როგორც სოციალისტური სისტემის ნიშანდობლივი თვისება, შესანიშნავად არის აღბეჭდილი საბჭოთა ხელოვნებაში.

საბჭოთა ხელოვნება ზოგადი მკნებაა, რომელიც საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხების ეროვნულ ხელოვნებათა ორგანული ნაერთის გაგებას წარმოადგენს. საბჭოთა ხელოვნება შინაარსით ინტერნაციონალურია, ვითარდება კი ეროვნული ფორმით.

საბჭოთა ხელოვნების თითოეული დარგი მისთვის დამახასიათებელი გამოსახვის საშუალებებით აშუქებს ხალხთა ლენინური მეგობრობის, ურთიერთპატივისცემის, პროლეტარული ახტერნაციონალიზმის იდეებს.

პოეტები და მწერლები საკუთარ ენაზე თარგმნიან საბჭოთა ხალხების ლიტერატურულ ნიმუშებს. მათ შემოქმე-



დებამი ფართო ასახვას პოულობს სხვადასხვა ერის შვილთა ცხოვრება.

პოეზიის მოყვარულნი მიმდინარე წელს მოწმენი იყვნენ არაჩვეულებრივი დღესასწაულისა, რომელიც ცნობილია პოეზიის დღედ, რუსთაველის დღედ. მთელი დეკადის განმავლობაში ჩვენ ვიმშენდით რუსი თუ უკრაინელი, ბელორუსი თუ სომეხი, აზერბაიჯანელი, უზბეკი თუ სხვა ერის შესანიშნავი პოეტების ნაწარმოებებს, მიძღვნილს საქართველოსადმი, ქართველი ხალხისადმი, რომლებშიც უჩვეულო ძალით არის ჩაქსოვილი ხალხთა ძმობის იდეები.

მსგავსი შემოქმედებითი ურთიერთობის მოწმენი ვართ სხვა დარგებშიც, განსაკუთრებით კინოსა და თეატრალურ ხელოვნებაში. საბჭოთა პერიოდში ამ დარგების დამახასიათებელი სპეციფიკური ფორმებით შეიქმნა უამრავი მაღალმხატვრული ნიმუში, რომლებმაც დიდი პოპულარობა დაიმსახურეს.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები თავისებურ გამოვლინებას პოულობს საბჭოთა სახვით ხელოვნებაში. საჭრეთლისა თუ ფუნჯის ოსტატებისაგან სხვა ეროვნების თემებისადმი მიძღვნილი სიუჟეტების შექმნა მითითბოვს, მხატვარი ზანგრძლივად ცხოვრობდეს იქ, ღრმად სწავლობდეს ეროვნულ თავისებურებას, ეუფლებოდეს ნაციონალური ხელოვნების სტილს. ასეთი სურვილებისა და განწყობილებას გარეშე შეუძლებელია მხატვარმა რეალისტური ხელოვნების ნიმუშები შექმნას. მხოლოდ ასეთი შემოქმედებითი ალტყინებით უნდა აისხნას ის გარემოება, რომ საქართველოს მხატვართა მრავალრიცხოვან ოჯახში ცხოვრობენ და იღწვიან სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომელთა შემოქმედებითი პრაქტიკა ქართულ ბუნებაზე დაფუძნებული. მათი ნაწარმოებები ხელს უწყობენ ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების აყვავება-წინსვლას.

ჩვენ ამჟამად საუბარი გვექნება საქართველია, მეტად შეზღუდულ ფორმით, სწორედ იმ მხატვრებზე, რომლებიც წარმომობით არ არიან ქართველები, მაგრამ ცხოვრობენ და მოღვაწეობენ ჩვენს რესპუბლიკაში და თავიანთი შემოქმედებით გარკვეული წვლილი შეაქვთ ქართული სახვითი ხელოვნების აღმავლობაში.

განზრახული მიმოხილვის სფეროში ისეთ ხელოვანთა სახელები გვხვდება, რომლებმისთვისაც საქართველო მეორე სამშობლო არ არის, ისინი აქ დაიბადნენ, აქ გაიზარდნენ და ბავშვობიდანვე ეზიარნენ ქართულ ყოფასა და კულტურას.

ფერმწერელ ალექსანდრე ბაებუქ-მელიქიანს იმ დიდი დამსახურებისათვის, რაც მას მიუძღვის ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის საპატიო წოდება. იგი 1891 წელს დაიბადა საქართველოში, დაამთავრა პეტერბურგის სამხატვრო აკადემია და 1917 წლიდან მოყოლებული სიკვდილამდის თბილისში მოღვაწეობდა. მისმა ფერწერამ განსაკუთრებული ზრდა-განვითარების ნიადაგი საბჭოთა ეპოქაში ჰპოვა. მონაწილე იყო ყველა სამხატვრო გამოფენისა და უამრავი ფერწერული ტილოები აქვს შექმნილი საქართველოს საკომპიურნეო თუ ინდუსტრიულ თემებზე. განსაკუთრებული პატივი ხვდა წილად მის შესანიშნავ ისტორიულ-რევოლუციური ხასიათის კომპოზიციებს. მათ შორის უნდა აღინიშნოს „ი. ბ. სტალინი ქუთაისის ციხეში“, „ა. წულუკიძის დასავლავება“, „სახლი, სადაც ცხოვრობდა ა. წულუკიძე“, აგრეთვე „თბილისი“, „წითელი არმიელი“ და მრავალი სხვა.

ა. ბაებუქ-მელიქიანის რევოლუციამდელი შემოქმედება ძირითადად საყოფაცხოვრებო ჟანრული თემებით იფარგლებოდა, ძლიერ იყო გატაცებული ციხის მოხეტიალე მსახიობთა ხატვით. მის ფერწერას პირველ ხანებში ნაკლები

ექსპრესიულობა და კომპოზიციის აგების გაწონასწორებული პრინციპები ახასიათებდა. საინტერესოა ბაქბეუქ-მელიქიანის ძიება ფერების გამის თვალსაზრისითაც. თუ აღრე იგი მხოლოდ მუქ ფერებს სცემდა პატივს, როდესაც სურათში მკვეთრი განათების არეში მხოლოდ ზოგიერთი საგნები ან ფიგურები იყო მოქცეული, შემდგომში წერის ასეთი მანერა უარყო და ცოცხალი, ღია ფერების ამეტყველების გზას დაადგა. მისი პალიტრა ამიერიდან მდიდარი, მრავალფეროვანი საღებავებით დაიტვირთა.

ა. ბაქბეუქ-მელიქიანის გატაცების საგანს ყოველთვის წარმოადგენდა ქართული ქალის მომხიბვლელობა და სილამაზე, პორტრეტში იგი გარეგნულ მიმზიდველობასთან ერთად არაჩვეულებრივი ფსიქოლოგიური დახასიათების გადმოცემას აღწევდა.

ა. ბაქბეუქ-მელიქიანი ბევრ ქართველ მხატვართან უაღრესად ახლო მეგობრული ურთიერთობით იყო დაკავშირებული. განსაკუთრებით ზაზაგასულია მისი მეგობრობა სასიქადულო ლადო გუდიაშვილთან. ამ ორმა მხატვარმა ახალგაზრდობის წლებში (1918 წ.), თბილისში მოაწყო ერთობლივი სამხატვრო გამოფენა, რომელმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ბაქბეუქ-მელიქიანის დაკავშირებას ქართულ ხელოვნებასთან.

ასევე ყურადღებას იქცევს ფერმწერელი ალბერტ დილბერიანი, რომელიც თბილისში დაიბადა. 1957 წელს მან დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია და აქედან მოყოლებული ყოველთვის მონაწილეობს სამხატვრო გამოფენებში. მისი ფაქიზი გემოვნებით და მდიდარი ფერთა გამით შესრულებული ნაწარმოებები ყოველთვის დიდ მოწონებას იმსახურებენ. ამიტომაც მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის საპატიო წოდება. მისი ნაწარმოებებიდან ჩვენ განსაკუთრებით დაგვაინტერესებს „მერცხლები“, „ზოობარკში“, „ნატურ-მორტი“, „ქალის პორტრეტი“, „სიმღერა

თბილისზე“, „გაზაფხული“, „ნორჩი ტურალისტები“.

სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ 1953 წელს მხატვარმა ქობულეთში ყოფნისას ჩვენი კუთხის თემაზე რამდენიმე ნაწარმოები შექმნა — „პლაჟი“, კიდევ „პლაჟი“, „მზის ჩასვლა ზღვაზე“, „ქობულეთის ეზო“, ბოტანიკური ბაღი“. ეს პატარა ზომის ნაწარმოებები, მართალია, ეტიუდური ხასიათისაა, მაგრამ კარგად გვაგარძნობინებს მხატვრის დიდსიყვარულს მისთვის მანამდე უცნობი თემებისადმი.

მხატვართა წრეში ფართოდ არის ცნობილი ფერმწერელი ვალენტინ შერბილოვი. იგი თბილისში დაიბადა და გაიზარდა. აქვე მიიღო უმაღლესი სამხატვრო განათლება (1938 წ.). გატაცებულია პორტრეტული ხელოვნებით. ძლიერ უყვარს რთული სასურათო ამოცანებით დატვირთული კომპოზიციებიც. აღსანიშნავია მხატვრის ტილოები „ი. ბ. სტალინი რკინიგზელთა მიტინგზე“, „დიუმა საქართველოში“, „თბილისი გამარჯვების დღეს“, „ნესტორ კალანდარიშვილი ლენინთან“, „ქალიშვილის პორტრეტი“, „ქართველი ქალის პორტრეტი“, „მშვიდობისა და მეგობრობისათვის“. მხატვრის შემოქმედებაში ზღვის თემებზე შესრულებული ნაწარმოებებიც გვხვდება. ასეთებია: „მეთევზეთა კაპრონის ბადეები“, „შავი ზღვა“, „ზღვის ეტიუდი“, „აღლევებულ ზღვაში“. ამ მომცრო და საშუალო ზომის ნაწარმოებებში კარგად ვამჩნევთ, რომ მისთვის მარინისტული თემები უცხო არ არის. განსაკუთრებით დიდ მოწონებას იმსახურებს საშუალო ზომის სურათი „აღლევებულ ზღვაში“. ავტორს არა მარტო დიდი მონდომება გამოუჩენია, საკმაოდ დიდი დროც დაუხარჯავს მის შესაქმნელად. იგი შესანიშნავად გრძნობს ზღვის ფერებს, ზღვის ფაქტურას, სხვანაირად შეუძლებელი იყო აბოპოქრეტული ტალღების ასე დამაჯერებლად გადმოცემა. მხატვარი არ კმაყოფილდება ზღვის სტიქიის

ჩვენებით. აქორჩილი ტალღები ათამაშებენ ნავს, რომელშიც ორი ქედუხრეული ადამიანი ზის.

ვ. შერბილოვი საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრისა და მასწავლებლის საპატიო წოდებებს ატარებს.

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ვასილ შუხავეგი თბილისის სამხატვრო აკადემიაში ასწავლის ფერწერას. სტუდენტებისაგან იგი, უწინარეს ყოვლისა, გულმოდგინებას მოითხოვს, ურომლისოდაც არ შეიძლება ფერწერის რთული ხელოვნების ტექნიკის დაუფლება. შემოქმედება, ვ. შუხავეგის გაგებით, ისეთი რთული პროცესია, რომელიც მოითხოვს ხანგრძლივ თავსატეხ სამუშაოთა შესრულებას. გამუდმებული ძიება მაშინ იძლევა სასურველ შედეგებს, როდესაც თანდათანობითი გზით ხდება მარტივიდან რთულ ამოცანებზე გადასვლა. იგი პედაგოგიურ საქმიანობას კარგად ახამებს შემოქმედებით მოღვაწეობასთან. ჩვენ მას ვიცნობთ როგორც ნიჟიერ თეატრალურ მხატვარსა და თავისებური ფერწერის ოსტატს. შესრულებული აქვს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ეთნოგრაფიული კუთხის უამრავი ჩანახატები, ეტიუდები და ფართო პლანის პეიზაჟები. ამ ჟანრის ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია „ნატანები“, „ციხისჯვარი“, „ბორჯომის ხეობა“, „წალღერი“, „აწყურის ციხე“, „გრემი“, „საქართველოს პეიზაჟი“, „სვანეთი“, „პეიზაჟი ღრუბელით“. მხატვარმა თავი გაგაცნო, როგორც კარგმა პორტრეტისტმა. იგი დიდი სიყვარულით ხატავს ქართული ხელოვნების მოღვაწეებს. შემოქმედებითი აღტყინებითაა შესრულებული მწერალ ლ. ქიაჩელის, კომპოზიტორ ა. ბალანჩივაძის, მსახიობების ნ. ვაჩნაძისა და ვ. გოძიაშვილის, მხატვრების მ. თოიძისა და უ. ჯაფარიძის, პოეტების გ. ტაბიძისა და გ. ლეონიძის პორტრეტები.

თავის შემოქმედებაში მხატვარი დიდ

ადგილს უთმობს ფერწერულ კომპოზიციებს. ჩვენ აქ დავასახელებთ რამდენიმეს: „ნატანების ჩაის პლანტაციამი“, „ი. ბ. სტალინი კრწანისში“, „ოჯახი“, „ციხისჯვარი ღრუბლიან დღეს“.

საქართველოში დაიბადა და გაიზარდა ვერა ბელეცკაია. იგი ხელოვნებისადმი სიყვარულმა მიიყვანა სამხატვრო აკადემიაში, რომელიც 1937 წელს დამთავრა, მოღვაწეობის სფეროდ დაზღური გრაფიკა აირჩია. გატაცებულია საქართველოს ეთნოგრაფიული კუთხეების პეიზაჟების ხატვით. ბევრი ნაწარმოები აქვს შექმნილი მთა-თუშეთის, ხევისურეთისა და სვანეთის თვალწარმტაცი ბუნების თემებზე. თავის დროზე დიდი მოწონება დაიმსახურა მისმა ნამუშევრებმა: „ვარძია“, „ქახეთის გზებზე“, „ივლისი მთებში“, „მშობლიურ სოფელში ყოფნისას“, „რუსთაველის პროსპექტი“.

გამოფენებზე ხშირად გვხვდება მისი ფაქიზი გემოვნებით, ხაზების არაჩვეულებრივი სინატიფით შესრულებული გრაფიურები: „ბაკურიანი“, „სალამო“, „თბილისი ზამთარი“, „მწყემსი“, „ცხვრის კრეჟა“.

მისი ხელოვნების აღიარება გახლავთ ის, რომ გრაფიკოს მხატვარს მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის მაღალი წოდება.

რუსი მხატვრებიდან ერთი პირველთაგანი იყო ნიკოლოზ კოჩერგინი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე 1921 წლის თებერვლის დამლევს თბილისს ესტუმრა. მას პოლიტიკური პლაკატის შექმნის დიდი გამოცდილება ჰქონდა. მისი, სამოქალაქო ომის თემებზე საავიტაციო შინაარსის, ლაკონურ ფორმებში დახატული პლაკატის ფურცლები ხალხის მოწონებას იმსახურებდა.

ნ. კოჩერგინმა კარგად გამოიყენა „როსტას სარკმლის“ საქმიანობაში მონაწილეობით მიღებული მდიდარი გა-

მოცილებმა და ჯერ ბაქოში, ხოლო შემდეგ თბილისში ჩამოაყალიბა მსგავსი საავტორიტეტო-სამხატვრო სალონი. აქ იგი დაუკავშირდა ახალგაზრდა ი. თოიძეს, რომელიც ამ სალონში ზოგიერთ სამხატვრო დავალებას ასრულებდა.

გამომსახველობის სიმკვეთრე, მიმზიდველი ფერადოვნება, კომპოზიციის ექსპრესიულობა და ნახატის სიბასრე, რაც პლაკატის აუცილებელ კომპონენტებს შეადგენს, ნ. კოჩერგინის შემოქმედების ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა. მის მიერ თბილისში შექმნილი პლაკატებიდან ყურადღებას იქცევს „I მაისი“ და „ბავშვები კომუნის ყვავილებია“. პირველი პლაკატი განთავისუფლებული თბილისის მშრომელთა პირველ დღესასწაულს მიუძღვნა. მოზემე თბილისის მხატვრულ გაფორმებაში არაჩვეულებრივი სილამაზით კიაფობდა ნ. კოჩერგინის დიდი ზომის გამოსარჩევი მკვეთრ-წითელ ფერებში შესრულებული ეს პლაკატი, რომელსაც ამშვენებდა ქართული წარწერა — „გაუმარჯოს ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს!“ პლაკატის ქვედა ნაწილში გამოსახულ სხვადასხვა ეროვნების მოზემე ადამიანთა ფონზე მკვეთრად გამოირჩევა წითელ-ოხიანი ადამიანი, რომელსაც ცალ ხელში დიდი, აფრიალებული დროშა უჭირავს. დროშის ტართან ახლო ნაქცეში თეთრი ასობით გამოსახულია „I მაისი“, მეორე ხელი გამომწვევად გაწვდილია კაპიტალისტური სამყაროსაკენ და პირისახის გამომეტყველებით ჩანს, რომ იგი წარმოთქვამს საბრძოლო ლოზუნგს.

შეიძლება ითქვას, რომ ნ. კოჩერგინი ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ქართული საბჭოთა პლაკატის ხელოვნების დაფუძნებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო.


ათიანი წლების დასაწყისიდან მოღვაწეობდა ბათუმში მხატვარი დიმიტრი

პახომოვი. პეტროგრადის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ იგი, მანამდე უწინდელ პირობებში უკურნებელმა სენმა — ფილტვების ტუბერკულოზმა შეიპყრო. ავადმყოფობას მისი კოჭლობა და სმენის საგრძნობი დაკარგვაც ართულებდა. ექიმების რჩევით სამხრეთს მოაშურა.

დ. პახომოვი ძლიერ გაიტაცა საქართველოს „სამოთხის მსგავსმა“ (მისი გამოთქმა) ბუნებამ, დანტერესდა ქართველი ხალხის ისტორიის შესწავლით, განსაკუთრებული ყურადღებით გაეცნო აჭარას, მის წარსულს და ყველაფრით ისე მოიხიბლა, რომ მუდმივ საცხოვრებელ ადგილად ბათუმი აირჩია, ახლანდელ ცხაკაიას ქუჩაზე სახლი შეიძინა და ხალისით შეუდგა თავისი შემოქმედებითი გეგმების განხორციელებას; ხარბად დაეწაფა პლენერზე მუშაობას, მთელ დღეებს მარადმწვანე სუბტროპიკული ბუნების წიაღში ალამებდა. აჭარის ბუნების შეცნობა-გააზრებაში მხატვარს დიდი სამსახური გაუწია ბათუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა, ფაქტიურად ამ მუზეუმის შემქმნელმა ნ. გომანმა.

დ. პახომოვის მოღვაწეობის ბათუმის პერიოდში ფრიად ნაყოფიერი გამოდგა. აქ შექმნა მან პეიზაჟების მთელი სერია. ბათუმისა და მისი შემოგარენის თვალწარმტაცი ხედები მხატვრის მოღებრტზე მიმზიდველი ფერებით ამეტყველდნენ. მხედველობის გარეშე არ დარჩენია არც აქაური ხილი, განსაკუთრებით ციტრუსოვანი ნაყოფი, პირველ ხანებში მხატვრის გაცეხებას რომ იწვევდა. ამ თემაზე დაწერა მან ბევრი ნატურმორტი. მისი აჭარის თემებზე შექმნილი 16 ნამუშევარი დაცულია აჭარის მუზეუმში. ორი პატარა ზომის ეტიუდი აკვარელით, ხოლო დანარჩენი ზეთის საღებავებით არის შესრულებული. ეს მომცრო და საშუალო ზომის ტილოები ყურადღებას იქცევს ფერთა გამით, ყველა მათგანი ამჟღავნებს ავტორის დიდ სიყვარულს ნატურისადმი.





დ. პახომოვის მრჩეველი ექიმები მართალი აღმოჩნდნენ. ბათუმის ჰავამ და ცხოვრების პირობებმა მხატვრის ჯანმრთელობა საგრძნობლად გააუმჯობესა. თავისი ფიზიკური ძალის აღდგენაში დაჭერებული დ. პახომოვი ახალ შემოქმედებით სწრაფვას აპყვავ, ბათუმი შემოქმედებითი გაქანების შედარებით შემსღულდველ ადგილად მოეჩვენა და პარიზში გამგზავრება გადაწყვიტა. მაგრამ ოჯახში დატრიალებულმა ტრაგედიამ (უეტკრად გარდაიცვალა მხატვრის მეგობარი, მისი შემოქმედებითი წარმატებების სულისჩამდგმელი — მეუღლე). აზრი შეაცვლევინა. ცოტა ხნის შემდეგ პახომოვმა სამუდამო ბინა მეუღლის გვერდით დაიდო.

მეტად საყურადღებოა ცნობილი საბჭოთა მოქანდაკის სტეფანე ერზიას (ნეფედოვის) მოღვაწეობა ბათუმში. იგი 1922 წელს დროებით ჩამოვიდა, მაგრამ ჩვენი ქალაქის სილამაზით მოხიბლულმა, აქ თითქმის ორ წელიწადს დაჰყო. წარმოშობით მორდველი ახალგაზრდა მოქანდაკის შემოქმედებაში ეს ორი წელი ისეთი ნაყოფიერი გამოდგა, რომ მთელ პერიოდს მოიცავს. აქ შექმნა მან კ. მარქსის, ვ. ი. ლენინის, შ. რუსთაველის, ი. ჭავჭავაძის და სხვათა ბიუსტები. ყველა ეს პორტრეტი მარმარილოშია გადაწყვეტილი.

მხატვრულ ლენინიანაში ერზიას სახელი გამორჩეულად არის დამკვიდრებული და ეს დიდება მას ბათუმში შექმნილმა ვ. ი. ლენინის რამდენიმე ბიუსტმა მოუტანა.

ს. ერზია გაცნო მდიდარი ტრადიციების მქონე ქართულ ლიტერატურას და ძლიერ მოიხიბლა შოთა რუსთაველის გენით. მისი დიდების წინაშე ერთგვა-

რი ვალის მოხდა იყო შოთას პირისახის ჩანახატების შესრულება. ამის შემდეგ არსებული მასალების შესწავლის საფუძველზე, მოქანდაკემ სულდათქმულად მოჰყიდა ხელი უკვდავი შოთას თიხაში გამოძერწვას. შემოქმედებითი დაძაბულობის საკმაოდ დრომ ის ნაყოფი გამოიღო, რომ ერზია ქმნის რუსთაველის ორ ბიუსტს მარმარილოში და ხეში, რომლებიც ერთი შეხედვით ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული ჩანან. როდესაც უცქერით ბიუსტებს, თქვენ კარგად გრძნობთ ავტორის იდეურ-მხატვრულ ჩანაფიქრს. იგი არ მისწრაფვის დეტალურად გადმოგვცეს რუსთაველის ცნობილი პორტრეტის პირი. მისთვის მთავარია პლასტიკური ფორმების მოხდენილი გამოყენებით წარმოვედგინოს ღრმად მოაზროვნე გენოსი მგოსანი. ასეთი მიდგომით არის შესრულებული ი. ჭავჭავაძის პორტრეტიც. თავისებურად მოაზროვნე პიროვნების ნიუანსების აღნიშვნასთან ერთად ავტორი ცდილობს განსაკუთრებით გაუსვას ხაზი ილიას ეროვნულ თვისებებს, რაც კარგად ჩანს პირისახის ცალკეული ნაკვთების, განსაკუთრებით ულვაშების პლასტიკურ სტილიზებაში.

ს. ერზიას ბათუმური პერიოდის ყველა ქმნილებას სათუთად ინახავს აჭარის მუზეუმი.

ოცინი წლების დამდეგს ბათუმში ჩამოდის ცნობილი მხატვარი ილიადარ ზაგოსკინი, რომელიც მხატვართა წრეში მალე იქცა გამორჩეულ პიროვნებად. საქმე ის არის, რომ მაღალ პროფესიულ განათლებასთან ერთად, მას დიდი ორგანიზატორული უნარიც გააჩნდა. მან პირველმა ითავა მხატვრებს ჰქონოდათ მუდმივი თავშეყრის ადგილი. ახლანდელი ორჯონიკიძის ქუჩის დასაწყისში ერთი დიდი დარბაზი გამოიხაზა, სადაც ჩვეულებრივ შეხვედრებთან ერთად, მხატვრები ი. ზაგოსკინის მიერ აღებულ სა-მხატვრო შეკვეთებსაც ასრულებდნენ.

მალე ბათუმის მდარეობის ვიტრინები, ცალკეულ დაწესებულებათა დერეფნები დაამშვენა ამ სახელოსნოში დამზადებულმა ვ. ი. ლენინის ფერწერულმა და გრაფიკულმა პორტრეტებმა.

ი. ზაგოსკინი ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ცხოვრობდა ციხისძირში, მაგრამ ცუდი სატრანსპორტო საშუალებების გამო იძულებული იყო ყველაფერზე უარი ეთქვა და ამ სახელოსნოში, მეტად ცუდ საყოფაცხოვრებო პირობებში დაიდო ბინა.

ი. ზაგოსკინის პოპულარობას მიუთითებს ის ფაქტიც, რომ 1924 წელს მხატვრებმა იგი აირჩიეს „აბრ“-ის ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარედ.

ი. ზაგოსკინი მხატვრებისაგან მოთხოვდა პლენერზე მუშაობას და ისეთი ნაწარმოებების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობდა ახალი, სოციალისტური ყოფის დამკვიდრებას. ამის მაგალითს თვითონ იძლეოდა, მან შექმნა ბევრი ისეთი ტილო, რომელზეც აღბეჭდილია აჭარის სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების შრომა, ჩაისა და ციტრუსების კრეფა, ერთწლიანი კულტურების მოსავლის აღება. არანაკლებ მნიშვნელოვანია მხატვრის დიდი სურვილი აჭარასთან ერთად ფართოდ გაცნობოდა საქართველოს სხვა ეთნოგრაფიულ კუთხეებსაც. მისი ინიციატივა მაშინ ბათუმში მცხოვრებმა სხვა მხატვრებმაც მოიწონეს და 1928 წლის ზაფხულში ქუთაისში გაემგზავრა ხუთი მხატვარი. ზაგოსკინთან ერთად აქ იყვნენ თ. ეგოროვი, ვ. ილუშინი, ა. ქავთარაძე, გ. სეჩენიანი. იმერეთის მეტად თავისებური და კოლორიტული პეიზაჟით მოხიბლული მხატვართა ეს ჯგუფი, ი. ზაგოსკინის წინადადებით, ფეხით მოგზაურობს იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში. მოგზაურობა ერთ თვეს გაგრძელდა. უკანასკნელი განჩერების პუნქტი მამისონის უღელტეხილი იყო. თითქმის ყოველდღე მოგზაური მხატვრების მოღბერტებზე იბადებოდა ციხე-კოშკების,

რიონის ჭალებს, ლამაზი მთის სოფლების ხედები, ახალგაზრდა თუ ხანშიშესულ ადამიანთა პორტრეტები.

ა. ზაგოსკინი სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე იყო, მხედრული მამაცობისათვის ბევრჯერ დააჯილდოვეს. სამხედრო სამსახური მხოლოდ ჯანმრთელობის შერყევის გამო დატოვა. ბათუმის ჰავამ ხელი შეუწყო მის გამოჯანსაღებას. მაგრამ მაშინ უკურნებელმა სენმა ტუბერკულოზმა მაინც უღრთოდ მოუსწრაფა სიცოცხლე ნიჭიერ მხატვარს.

ოციან წლებში ბათუმში მოღვაწეობდა მხატვარი იაკობ სოკოლოვი, მდალი კულტურისა და პროფესიული განათლების მქონე ფერმწერელი. იგი ბათუმში არც ისე ხანგრძლივად ცხოვრობდა, მაგრამ მაინც მოახერხა ჩვენი კუთხის შესწავლა. აჭარის თემებზე შექმნილი ნაწარმოებები, აგრეთვე სხვა სიუჟეტის ფერწერული ტილოები მხატვრის სახელოსნოში იმდენი დაგროვდა, რომ ორ პერსონალურ გამოფენას თავისუფლად ეყო. პირველი გამოფენას ფოსტის შენობაში, ხოლო მეორე მასწავლებელთა სახლის დარბაზში მოეწყო. გადმოგვცემენ, რომ დამოუვლიერებლები დიდი ინტერესით ეცნობოდნენ მომხიბლავი ფერებით შესრულებულ პეიზაჟებს, ჟანრულ სურათებს, პორტრეტებს, ნატურმორტებს. ი. სოკოლოვი იმითაც უნდა დაფასდეს, რომ მან პირველმა მოაწყო ბათუმში სამხატვრო სტუდია და ფართოდ გაუღო კარები ხატვის მოყვარულთ.

სამწუხაროდ, ი. სოკოლოვის მხოლოდ ერთი პატარა ზომის ნატურმორტია დაცული აჭარის მეზეუმში, ხოლო მისი სამხატვრო სტუდიის საქმიანობის შესახებ არსებული ძუნწი მასალები ფრამენტულად გადმოგვცემს ამ ფრიად საინტერესო მხატვრის ბათუმის პერიოდს.

ომამდელი აჭარის მხატვრულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მხატვარი ვალერიან ილუშინი. იგი ბათუმში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1907 წლიდან 1942 წლამდე, თითქმის 35 წელიწადს. მართალია, ვ. ილუშინს არ ჰქონდა უმაღლესი სამხატვრო განათლება, მაგრამ ხანგრძლივი მუყაითი შრომის შედეგად ჩამოყალიბდა დახვეწილი გემოვნების მქონე მაღალ ოსტატად და დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მხატვრის ძირითად საქმიანობას მასწავლებლობა წარმოადგენდა. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ილუშინის მოღვაწეობა პედაგოგიურ სასწავლებელსა და 1936 წელს ბათუმში გახსნილ პირველ სამხატვრო სასწავლებელში.

ორიგინალური მხატვრული ნაწარმოებების შექმნის სურვილმა იგი აჭარის მაღალმთიანი რაიონების ხშირი სტუმარი გახადა. მხატვარი გულმოდგინედ სწავლობდა ჩვენს კუთხეს, მის ხალხს, ზნე-ჩვეულებებს და აკეთებდა ჩანახატებს. ეტიუდების შექმნის პერიოდში დამთავრდა და ვ. ილუშინი ხელს ჰკიდებს ჟანრულ კომპოზიციებს, რომლებშიც აშკარად ჩანს ავტორის არა მარტო მაღალი გემოვნება, რთული ფერწერული ამოცანების თავისუფლად გადაჭრის დიდი უნარიც.

ვ. ილუშინის ფერწერულ ტილოებში ჩვენ ვხედავთ თავისებური, მისეული ხელწერის ოსტატს. იგი ფერების ისეთ კოლორიტს ქმნის, რაც მხოლოდ ჩვენი კუთხისათვისაა დამახასიათებელი.

ვ. ილუშინმა ბათუმში მოღვაწეობის პერიოდში სამასზე მეტი გრაფიკული და ფერწერული ნაწარმოები შექმნა. ბევრი მათგანი საყოფაცხოვრებო-ჟანრული ტიპისაა. მათში კარგადაა გამოცემული ჩვენი კუთხის მკვიდრთა

ხასიათის ცალკეული მხარეები, ნაწილი წმინდა პეიზაჟურია. აქ ჩვენ ვხედავთ აჭარის რელიეფისათვის დამახასიათებელ მხატვრულ ხედებს, მარინისტულ თემებზე შესრულებულ ეტიუდებს. მხატვარი დიდი სიყვარულით გვიხატავს აჭარულ გლეხს, დაზვასთან მდგომ მუშას, მოსწავლე გოგონას თუ ინტელიგენტური შრომის ადამიანებს. იგი თავს ვალდებულად რაცხს პატივი სცეს აჭარის შესანიშნავ რევოლუციურ წარსულს და ამ თემებზე ქმნის დაუვიწყარ ფერწერულ ტილოებს. პოპულარობით სარგებლობს მხატვრის მრავალფეროვანი კომპოზიცია, რომელიც 1902 წელს ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით მოწყობილ ცნობილ პოლიტიკურ დემონსტრაციას ასახავს. აჭარის მუზეუმის ექსპოზიციას დღესაც ამშვენებს სურათები „სიმინდის აღება“, „აწვესი“, „პიონერთა პარკი“, „დაბა ხულო“, „აჭარული ოჯახი“, „წითელი არმიის შემოსვლა ბათუმში“.

ვ. ილუშინი საქმარ დროის მანძილზე აჭარის მხატვართა კავშირს თავმჯდომარეობდა; მათვე იყო ბევრი სამხატვრო გამოფენისა, რომელიც უმთავრესად ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის დარბაზში ეწყობოდა, მისი ხელმძღვანელობით გაიმართა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 და 20 წლისთავისადმი, შ. რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი სამხატვრო გამოფენები.

1935 წელს თბილისში, სახელმწიფო გალერეაში გაიმართა ვ. ილუშინის პერსონალური გამოფენა, რომელმაც მხატვრის სახელი კიდევ უფრო პოპულარული გახადა. მას მინიჭებული აქვს აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურე-

ბული მოღვაწისა და დამსახურებული მასწავლებლის წოდებები.

აქარის ასრ დამსახურებული მხატვარი გრაჩ სეჩენიანი ნახევარ საუკუნეზე მეტია ბათუმში ცხოვრობს და მოღვაწეობს. იგი ცოცხალი მოწმეა ყველა იმ პროცესისა, რასაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა აქარაში სახვითი ხელოვნების დაფუძნება-განვითარების გზაზე.

გ. სეჩენიანი ჩუმი, თავმდაბალი და უაღრესად შრომისმოყვარე ადამიანია, კარგად იცნობს ჩვენს კუთხეს, ფეხით აქვს შემოვლილი მთელი აქარა, და არა შარტო აქარა... მას ამოძრავებდა უბრალო ცნობისმოყვარეობა კი არა, უწინარეს ყოვლისა, თავისი მოღვაწეობის ძირითადი სფერო — პეიზაჟი და პორტრეტული ხელოვნება. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ გ. სეჩენიანის შემოქმედებაში აქარა თავისი რთული და მრავალფეროვანი რელიეფით — მიწოდორ-ველებით, მთა-გორებით, მდინარეებითა და ჩანჩქერებით, ხეობებით, ზღვის სანაპიროებითა და ბოლოს აღპური ზონის საძოვრებით — ყველაზე სრულყოფილად არის ასახული. ჩვენ კიდევ იმით ვიზიბლებით, რომ ნატურის გადმოსაცემად მხატვარი ხმარობს მუდამ ცოცხალ, მჩქეფარე ფერებს, რაც ასე მიმზიდველად შეუძლია გადმოგვეცეს აკვარელსა თუ შერეულ ტექნიკას.

აქარის პეიზაჟის თემებზე მხატვარმა შექმნა სამასამდე მომცრო და საშუალო ზომის ნახელავი, რომელსაც სიამოვნებით ვნახულობდით ბათუმში მოწყობილ ყველა სამხატვრო გამოფენაზე.

მეტად მრავალფეროვანია შემოქმედის მხატვრული მეტყველების ენა. გ. სეჩენიანმა პირველმა დაამკვიდრა აქარაში ესტამპის რთული და მრავალსახოვანი ხელოვნება. მხატვრის მიერ დახატული მოხუცი გლეხის, მოწინავე კო-

ლმეურნის, დაზგის დამკვერელი მუშის, მეზღვაურის, მასწავლებლის, მეცნიერ მუშაკის, მწერლისა თუ მსახიობის ასამდე პორტრეტი შესრულებულია გრავეურის ტექნიკით ხეზე, ლინოლიუმზე ან ლითონზე.

განსაკუთრებით დასაფასებელია გ. სეჩენიანის პედაგოგიური მოღვაწეობა. იგი ბათუმის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ასწავლიდა ხატვას, ხოლო სამხატვრო სასწავლებელში ხატვასთან ერთად კომპოზიციის კურსი მიჰყავდა. ამ სასწავლებელშია აღზრდილი დღეს სახელმოხვეჭილი მოქანდაკე მ. ბოლქვაძე, მხატვრები ნ. იაკოვენკო, ა. ფილიპოვი და მრავალი სხვა. ღვაწლმოსილი მხატვარი დღესაც აქტიურად განაგრძნობს თავის კეთილშობილურ საქმეს.

ბათუმელი მხატვრების რიგებს ამშვენებს ფართო დიაპაზონის ფერმწერელის, აქარის ასრ დამსახურებული მხატვრის ნიკოლოზ იაკოვენკოს სახელი. იგი ერთი წლისა იყო, როდესაც წითელი არმიიდან დემობილიზებულმა მამამ თავისი ოჯახის მუდმივ საცხოვრებლად ბათუმში აირჩია. ეს იყო აქარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეები.

ნიკოლოზი ბავშვობიდანვე ეტანებოდა ხატვას და სიხარულით აღიესო, ბათუმში სამხატვრო სასწავლებლის გახსნის ამბავი რომ გაიგო. მასწავლებლებმა მისი ნიჭი მალე შეამჩნიეს და განსაკუთრებული ყურადღებაც გამოიჩინეს. სასწავლებელში სწავლის დროს ნ. იაკოვენკომ რამდენიმე დამოუკიდებელი ფერწერული ნაწარმოები შექმნა, რომელმაც მას საკმაოდ ჩამოყალიბებული მხატვრის სახელი მოუხვეჭა. სასწავლებლის დამთავრებამდე იგი ლენინგრადში გაემგზავრა და სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახდა. შემდეგ მოსკოვში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, მაგრამ იმ კუთხის სიყვარულმა, სადაც ბავშვობა და ყრმობა გაატარა, სადაც როგორც მხატვარმა პირველად აიღვა

ფეხი, თავისი გაიტანა და მხატვარი სამუდამოდ ბათუმში დასახლდა.

დაკვირვებული თვალი ადვილად გამოარჩევს იაკოვენკოს ფერწერას. მხატვარს აქვს დამოუკიდებელი ხელწერა, კოლორიტის თავისებური გაგება, კომპოზიციის ისეთი ექსპრესიულობით გაგების უნარი, რომ თქვენ მისი ნაწარმოებებით მოხიბლული რჩებით.

მრავალფეროვანია მხატვრის თემატიკა, მას ერთნაირად იზიდავს ისტორიულ-რევოლუციური, ომის, საკოლმეურნეო თუ ინდუსტრიული, აჭარის მომხიბლავი ბუნების თემები. თავის დროზე საქმაო მოწონება ხვდა მის ფერწერულ ტილოებს: „1920 წელს აჭარის პროფკავშირული მოღვაწეების დაპატიმრება“, „ნასაკირალის ბრძოლები“, „გაფიცვა მანთაშევის ქარხანაში“, „რევოლუციის დღეებში“, ომის თემებზე შესრულებული „დები“, „შვილის ამხანაგი“, „თანამემამულე აგიტატორი“.

ნ. იაკოვენკოს შემოქმედებაში მკაფიოდ არის წარმოდგენილი მეთევზეთა ცხოვრება. განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა მხატვრის მიერ ბოლო წლებში შექმნილმა „ახალგაზრდა მშენებელმა“ და „სოფლის მშენებელმა“.

ნ. იაკოვენკო ხშირად მონაწილეობს რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებში. ზოგიერთი მისი ნაწარმოები საზღვარგარეთ გავიდა, როგორც საბ-

ჭოთა კავშირის მხატვართა ნამუშევრების მოძრავე გამოფენის ექსპონატი.

საქართველოში მოღვაწე სხვა ეროვნების მხატვართა სია ამით როდი ამოიწურება. საკმარისია ითქვას, რომ ამჟამად ქართველ მხატვართა რიგებშია ოცდაათი ისეთი შემოქმედი, რომელთაც მინიჭებული აქვთ რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა თუ დამსახურებული მხატვრის საპატიო წოდება.

ამ ბოლო დროს ბათუმელები და ჩვენი ქალაქის სტუმრები შეუხედელები ინტერესით ათვალიერებდნენ ბათუმის საგამოფენო დარბაზში მოწყობილ რეტროსპექტულ გამოფენას. მონაწილეთა შორის ქართველებს გარდა სხვა ეროვნების მხატვრებიც იყვნენ.

ზოგი მხატვარი დღეს ცოცხალი არ არის, მაგრამ ჩვენი ხალხი დიდი პატივისცემით ინახავს მათ სახელებს. აბა როგორ შეიძლება ე. ლანსერესა და ი. შარლემანის დავიწყება! თბილისის სამხატვრო აკადემიაში მათ მიერ აღზრდილია სახელოვან ქართველ მხატვართა არა ერთი თაობა, ფასდაუდებელია მათი წვლილი ახალი საბჭოთა მხატვრობის დაფუძნება-განვითარებაში.

ჩვენს მიერ აღნიშნულ და კიდევ სხვა მხატვართა საქართველოში მოღვაწეობის პერიოდი ცალკე განხილვისა და შესწავლის ღირსია.



აღიქსანდრე გომიონიძე

## საყურადღებო გამოკვლევა ქართული პედაგოგიური უჩროვნების ისტორიიდან

ჩვენი ცხოვრების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის მეცნიერული საფუძვლების კვლევას, მოწინავე გამოცდილების ყოველმხრივ შესწავლა-განზოგადებას. წარსული გამოცდილების შესწავლის გარეშე შეუძლებელია შეიქმნას აღზრდის სრულყოფილი მეცნიერული სისტემა. მართალია, პედაგოგიკის ისტორია ანალიზს უკეთებს წარსულს, მაგრამ მისი დასკვნები მიმართულია აწმყოსა და მომავლისაკენ. ამიტომ თითოეულ ახალ ნაბიჯს

წარსულის პედაგოგიური მემკვიდრეობის კვლევის საქმეში ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს. მისასაღებელია, რომ ამ მხრივ ნაყოფიერ მუშაობას ეწევა დოცენტი გრიგოლ ბაბილოძე. ამაზე მეტყველებს მისი ახალი წიგნიც „აჭარის სახალხო განათლებისა და საზოგადო მოღვაწეთა პედაგოგიური შეხედულებანი“, რომელიც პროფ. ტ. სარიშვილის რედაქტორობით გამოსცა. ამასწინათ გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“.

ამ საყურადღებო გამოკვლევაში ავტორი მიმოიხილავს აჭარაში მომუშავე საზოგადო მოღვაწეთა და პედაგოგების შეხედულებებს აღზრდის საკითხებზე და

გ. ბაბილოძე, აჭარის სახალხო განათლებისა და საზოგადო მოღვაწეთა პედაგოგიური შეხედულებანი. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ქ. ბათუმი, 1972.

მათ ზრუნვას სახალხო განათლებისათვის მთელი ერთი საუკუნის, მე-19 საუკუნის 70-იანი — მე-20 საუკუნის 70-იანი წლების მანძილზე. სარეცენზიო წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველში განხილულია რევოლუციამდელი, ხოლო მეორეში რევოლუციის შემდგომდროინდელი სახალხო განათლებისა და საზოგადო მოღვაწეთა პედაგოგიური შეხედულებანი.

ახსიათებს რა რევოლუციამდელი აჭარის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებას, წიგნის ავტორი აღნიშნავს, რომ აჭარაში იყვნენ მგზნებარე პატრიოტული გრძნობით აღსავსე შვილები, რომელთაც შემუშავებული ჰქონდათ პროგრესული შეხედულებანი და წრფელი აზრები აღზრდისა და სწავლა-განათლების შესახებ, ეს კი პედაგოგიური იდეების ერთგვარი ჩანასახი იყო.

სარეცენზიო ნაშრომში პირველად განხილულია გულო კაიკაციშვილის საზოგადო მოღვაწეობა და პედაგოგიური შეხედულებანი. იგი თავგამოდებით იბრძოდა აჭარაში სწავლა-განათლების გავრცელებისათვის, დიდ ყურადღებას უთმობდა ახალგაზ-

რდობის პატრიოტულ აღზრდას გაბედულად აყენებდა ქალთა განათლების საკითხს. ასეთივე პატრიოტი იყო მემედ აბაშიძე. იგი დღენიდაც იბრძოდა საქართველოს მთლიანობისა და ეროვნული კულტურის აღორძინებისათვის, სათავეში ედგა საქველმოქმედო საზოგადოებას. ავტორი მკაფიოდ წარმოაჩენს ამ პიროვნების ცხოვრებისა და შეხედულებების საინტერესო მხარეებს.

„დიდი ბედნიერებაა, — წერდა მემედ აბაშიძე, — როცა აღამიანი სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევარ მოძმეებს ერთი გრძნობითა და ერთი აზრით გამსჭვალულებს დაინახავსო“ (გვ. 31).

მ. აბაშიძე შეუხელებლად ზრუნავდა თანამოძმეებში ქართული ენის სიყვარულის გავლენებისათვის, სწავლა-განათლების ქართულ ენაზე მოწყობისათვის. „სიტყვა ქართული წარმტაცია, საამურია, შინაარსიანი და სურათოვანიაო“ (გვ. 39), წერდა მ. აბაშიძე.

განსახილველ წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მეტად პოპულარული პიროვნების — პაიდარ აბაშიძის მოღვაწეობას და პედაგოგიურ შეხედულებებს.

3. აბაშიძე უშიშრად ებრძოდა პანთურქულსა და პანისლამისტურ ელემენტებს, რომლებიც უტიფრად მოითხოვდნენ ოსმალური სკოლების გახსნას აჭარაში და ამ ენის მასწავლებლების მოწვევას სხვა ქვეყნიებიდან.


როგორც ავტორი გადმოგვცემს, ქალაქ გორში შემდგარა თურქული ენის მასწავლებელთა ყრილობა, რომელზეც კავკასიელ ზოგებს მოუთხოვიათ ყურანის სწავლების გაუმჯობესება. ამ ყრილობაზე დამსწრე 3. აბაშიძეს მტკიცე პროტესტი განუცხადებია: „ეს ყრილობა ჩვენ არ გვეხება, — უთქვამს მას, — ჩვენ აჭარლები ქართველები ვართ და თუ მაინცდამაინც გინდათ ყურანის სწავლება, შეიძლება ის გადაითარგმნოს ქართულად და ვასწავლოთ ქართულ ენაზეო“ (გვ. 49). ამ გაბედული გამოსვლისათვის 3. აბაშიძეს მასწავლებლობა აუკრძალეს, მაგრამ იგი არ შედრკა და აცხადებდა — „ჩვენ ქართველი მაჰმადიანები არავის მივცემთ ნებას, რომ ჩვენს საყვარელ დედა-ენაზე იერიში მოიტანოსო“ (გვ. 50).

3. აბაშიძეს, სავსებით სწორად, ხალხში განათლების გავრცელებ-

ბის მთავარ გზად მიაჩნდა სკოლა და იბრძოდა სასკოლო ქსელის გავრცელებისათვის აჭარაში, ამასთან დაეძებდა სწავლის მსურველ ღარიბ აჭარელ ბავშვებს და აწყობდა საქართველოს სხვადასხვა მასწავლებლებში საქველმოქმედო საზოგადოების ხარჯზე. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდობაში ზნეობრივი აღზრდის საკითხებს და მაღალ ზნეობაში პირველ რიგში პატრიოტიზმს გულისხმობდა. მრავლისმთქმელია მისი სიტყვები: „თუმცა ამ ძილში განვლო სამასმაწეღმა, მაგრამ არ იქნა და ვერ ამოგლიჯეს გულიდან ეს გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა, როგორც ამას მოელოდა ოსმალეთი“ (გვ. 52). ღრმა პატრიოტიზმითა და დიდი სითბოთია აღსავსე 3. აბაშიძის წერილი „აჭარის მთებში“, რომლის ვრცელი ამონაწერი მოტანილია გასსახილველ წიგნში.

დოც. გრ. ბაბილოძე ხაზგასმით აღნიშნავს 3. აბაშიძის კიდევ ერთ დამსახურებას. იგი დაბეჭდვით მოითხოვდა საერო, ურელიგიო განათლებას, რელიგიური ფანატიზმისაგან თავისუფალ სწავლასა და აღზრდას. შემდეგ წიგნში განხილულია რეკებ ნიჟარაძის პედაგოგიური შეხედულებები.





რეჯებ ნიჟარაძე, სარეცენზიო წიგნის ავტორის მტკიცებით, პიოველი უმადლეს განათლებული კაცი იყო აჭარაში, სპეციალობით იურისტი. იგი მონაწილეობდა 1916 წელს თბილისში ბათუმის ოლქიდან ჩასულ ოცი კაცისაგან შემდგარ დეპუტაციაში. 200-კაციან დარბაზობაზე მას წარმოუთქვამს მგზნებარე სიტყვა, რაც ასე დაუბოლავებია: „მოგვეცით სწავლა-განათლება და 20-30 წლის შემდეგ ჩვენც დაგეწევით, არაფერში არ ჩამოვგრჩებითო“ (გვ. 58). მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა ყოველთვის იყო დაინტერესებული აჭარაში სწავლა-განათლებით, მაგრამ ის, რა დანხმარებაც მოითხოვა რეჯებ ნიჟარაძემ, შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ და, მართლაც, აჭარა საქართველოს ყველა კუთხეს დაეწია სწავლა-განათლების მწრევ, არაფერში არ ჩამორჩება.

წიგნში შემდეგ გაშუქებულია იუსუფ კაიკაციშვილის, აბდულ მიქელაძის, შერიფ ხიმშიაშვილის და სულეიმან დიასამიძის მოღვაწეობა და შეხედულებები სწავლა-აღზრდის შესახებ. ამით მთა-

ვრდება წიგნის პირველი ნაწილი.

გრ. ბაბილოძის წიგნის მეორე ნაწილი იწყება ხასან კომახიძის მოღვაწეობისა და მისი მხატვრული ნაწარმოებების ანალიზით. როგორც ცნობილია, იგი იყო ჟურნალ „პონტოსის“ დამაარსებელი და საკუთარი სახსრებით ინახავდა მას; აქვეყნებდა მასში ლექსებს, მოთხრობებს და კორესპონდენციებს, რომელთაც დიდაქტიკურ - აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა. წიგნში პედაგოგიურ ასპექტში განხილულია ხ. კომახიძის ლექსები „ბეჯითი მოწაფე“, „ახალი აჭარის-ტანი“, „ზარმაცი მოწაფე“ და სხვა. მართალია ეს ლექსები მხატვრული თვალსაზრისით სუსტია, მაგრამ დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათისაა და უნდა ვიფიქროთ, თავის დროზე ეფექტურ გავლენას ახდენდა ახალგაზრდობაზე. ამ ლექსების ავტორი ილაშქრებდა რელიგიური ცრურწმენების, ძველი მავნე ადათწესებისა და გადმონაშთების წინააღმდეგ, მოითხოვდა ახალგაზრდობაში მეცნიერული ცოდნის გავრცელებას, მათ ათეისტურ აღზრდას.

დოც. გრ. ბაბილოძე თავის შრომაში ვრცლად განიხილავს

აჭარის სახალხო განათლების და-  
მსახურებელი მუშაკის გრიგოლ  
გორგაძის პედაგოგიურ მოღვაწე-  
ობას და შეხედულებებს. მათ  
შორის უპირველესად ჩვენს ყუ-  
რადლებას იპყრობს ცხოვრებას-  
თან სკოლის კავშირის იდეა და  
პრაქტიკული ბრძოლა მისი გან-  
ხორციელებისათვის.

გ. გორგაძეს ცხოვრებასთან  
სკოლის კავშირის ერთ-ერთ მთა-  
ვარ გზად და საშუალებად მიაჩნ-  
და შრომითი აღზრდის და პოლი-  
ტექნიკური განათლების გონივ-  
რულად დაყენება სკოლაში. სა-  
გულისხმოა აგრეთვე, რომ გ. გო-  
რგაძე თავის თეორიულ და პრაქ-  
ტიკულ საქმიანობაში განსაკუთ-  
რებულ ყურადღებას ამახვილებ-  
და მოსწავლეთა მატერიალისტუ-  
რი მსოფლმხედველობის ფორმი-  
რებასა და ათეისტურ აღზრდაზე,  
ამ საქმეში გადამწყვეტ როლს  
ანიჭებდა სწავლების პროცესს,  
გაკვეთილს. იგი მოითხოვდა, რომ  
„გადაგვეშალა ბავშვების წინაშე  
რელიგიის კლასობრივი ბუნება,  
ჩაგვეწერგა სათანადო გრძნობა ამ  
უდიდესი სოციალური ბოროტე-  
ბისადმი“ (გვ. 103). გ. გორგაძე  
თავის პედაგოგიურ შეხედულებ-

ბეებში დიდ ადგილს უთმობს მოს-  
წავლეებში კოლექტივიზმის, მა-  
ღალი ზნეობის, პატრიოტულ-ინ-  
ტერნაციონალური სულისკვე-  
თებით მათი აღზრდის საკითხებს.  
განსაკუთრებით აღსანიშნავია მი-  
სი მოთხოვნები სამხედრო-პატ-  
რიოტული აღზრდის შესახებ.  
ასევე წიგნში დახასიათებულია  
გ. გორგაძის ნაყოფიერი საქმიან-  
ობა სასწავლო სახელმძღვანე-  
ლოების შექმნაში. როგორც ცნო-  
ბილია, დაწყებითი კლასებისათ-  
ვის მან შეადგინა ქართული ენის  
სახელმძღვანელოები „ცოდნის  
წყარო“ და „ახალი წყარო“. გ.  
გორგაძე ეწეოდა საბავშვო მწერ-  
ლობასაც. დიდი პოპულარობით  
სარგებლობდა მისი წიგნები  
„ნორჩ აჭარლებს“, „კალია“,  
„ზღაპრები“, რომლებიც შედგე-  
ნილი იყო ადგილობრივი პირო-  
ბების, აჭარელ ბავშვთა ყოფისა  
და ინტერესების სრული შესაბა-  
მისობით.

აჭარის სახალხო განათლების  
ისტორიაში დიდია განათლების  
სახალხო კომისიის ილიას ქათა-  
მაძის დამსახურება, ამიტომ ავ-  
ტორი ვრცლად ეხება ამ ამავდა-  
რი პიროვნების მოღვაწეობას და  
პედაგოგიურ შეხედულებებს.  
ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო ი. ქა-

თამაძე, როცა მან საკუთარი წიგნების ნაწილი საჩუქრად გადასცა სოფელ ხუცუბნის ქოხ-სამკითხველოს და საოლქო პრესის საშუალებით შევიბრებაში გამოიწვია ქალაქ ბათუმის მოსწავლეები, ამას მოჰყვა გამოხმაურება და მხარდაჭერა, რაც მეტად სასარგებლო აღმოჩნდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალური პედაგოგიური განათლების მიღების შემდეგ ი. ქათამაძე ინიშნება ბათუმის განათლების განყოფილების გამგედ და პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მასწავლებლად ლენინის სახელობის პედაგოგიურ ტექნიკუმში. შემდეგ მას აწინაურებენ აჭარის სახალხო განათლების კომისრად. დიდ ორგანიზატორულ მოღვაწეობასთან ერთად იგი ეწევა ნაყოფიერ თეორიულ მუშაობას, აქვეყნებს წერილებს, სტატიებს, კორესპონდენციებს, რომლებშიც მოცემულია საყურადღებო პედაგოგიური შეხედულებები. იგი თვლიდა, რომ სკოლამ უნდა აღზარდოს ბავშვი — თავაზიანი, ზრდილი, უფროსების შოყვარული და მათი პატივისმცემელი, ბეჯითი, ჭკვიანი და მეცადინე (გვ. 117). ი. ქათამაძე დიდ ყურადღებას უთმობდა პოლიტექნიკური განათლების საკითხებს. სწავლა და შრომა მჭიდროდ უნდა იყოს შერწყმული

და ხელს უწყობდეს ერთმანეთს (გვ. 119), — წერდა იგი. ამიტომ მოითხოვდა კარგად დაეყენებინათ მუშაობა ლითონზე, ხეზე, ელექტრომონტაჟზე. ი. ქათამაძე თანმიმდევრულად იბრძოდა სკოლის მთავარი ამოცანის — მოსწავლეთა მიერ მტკიცე მეცნიერული ცოდნის შეთვისებისათვის. ამ საქმეში კი გადამწყვეტ როლს აკუთვნებდა მასწავლებლებს და დიდ მოთხოვნებსაც უყენებდა მათ. ერთ-ერთ სტატიაში, რომელსაც საგნის ღრმა ცოდნისა და დაკვირვების კვალი ამჩნევია, აღნიშნავდა: „ავიღოთ ჯგუფის თითოეული გაკვეთილი და ვნახოთ რამდენი დრო იხარჯება ბავშვის აკადემიურ მუშაობაზე? — გრძელი სიით ჟურნალის ამოკითხვა, რომელსაც უნდა არანაკლები ათი წუთისა, ბავშვთა დათვალიერება, მორიგეების დანიშვნა, დაგვიანებით მოსულ მოსწავლეზე პასუხის გაცემა, ზოგჯერ საუზმის ფულის შეგროვება. ამას მივუმატოთ კიდევ ხანგამოშვებით მასწავლებლის დაგვიანება, — რალა დრო რჩებათ მასწავლებლებს გაკვეთილის შინაარსის გადაცემისათვის და მისი ნაყოფიერებისათვის 45 წუთის განმავლობაში!

ზარი ირეკება და სუსს... ძახი-  
ლით დაღლილი მასწავლებელი  
მოსწავლეებთან ერთად გარეთ  
გამოდის“ (გვ. 120).

ვკითხულობთ ამ სტრიქონებს  
და არ შეიძლება არ ვალიაოთ,  
რომ ეს მანკიერი მოვლენები ზო-  
გიერთ სკოლაში დღემდე გრძელ-  
დება, ჯერ კიდევ ყველა მასწავ-  
ლებელი როდი იბრძვის გაკვე-  
თილის ეფექტურობის ამადლები-  
სათვის, 45 წუთის მაქსიმალური  
გამოყენებისათვის. აი, რამდენად  
დროული და აუცილებელია ზემ-  
დგომი ორგანოების გადაწყვეტი-  
ლება მასწავლებელთა ატესტა-  
ციის ჩატარების შესახებ. ასე  
რომ, ი. ქათამაძის შეხედულე-  
ბები კარგად ეხმიანება ჩვენს  
დღევანდლობას.

წიგნში განხილულია ჩვენი თა-  
ნამედროვის, ხიხაძირის საშუა-  
ლო სკოლის დირექტორის დიმი-  
ტრი ხოზრევანიძის მოღვაწეობა,  
მისი მოსაზრებანი სწავლა-აღზრ-  
დის საკითხებზე. იგი უდროოდ  
წავიდა ჩვენგან, მაგრამ სანამ ეწ-  
ეოდა მუშაობას, ნიჭიერად წარ-  
მართავდა სკოლას და ბევრი საი-  
ნტერესო სტატია და წიგნიც გა-  
მოაქვეყნა სახალხო განათლების  
საკითხებზე, რასაც სათანადოდ  
ანალიზებს ავტორი.

სარეცენზიო ნაშრომში განხი-  
ლულია აჭარის მწერლების  
პ. ლორიას, ნ. მალაზონიას, მ. ვა-  
რშანიძის, ნ. გვარიშვილის, ფრ.  
ხალვაშის ლიტერატურული ნაწა-  
რმოებები. ეს ქმნილებანი მთლი-  
ანად არ გამხდარან ისტორიის  
კუთვნილება, ჯერ კიდევ არ შეშ-  
რობია ზოგ მათგანს სტამბის სა-  
ღებავი, მაგრამ ავტორის სასახე-  
ლოდ უნდა ითქვას, იგი პედაგო-  
გიურ ასპექტში ანალიზებს პრო-  
ზაიკოსებისა და პოეტების ნაწა-  
რმოებებს დღევანდელი ამოცა-  
ნების პოზიციებიდან. შეიძლება  
ითქვას, დასახელებული მწერ-  
ლებისა და პოეტებისათვის ეს  
ერთგვარი რეცენზიაა პედაგოგი-  
ურ პლანში, რომელიც მათ გარ-  
კვეულ სტიმულს მისცემს შემდ-  
გომი გამოცემების დროს, ასევე  
ახლის შექმნის პროცესში მეტი  
ადგილი დაუთმონ აღზრდის სა-  
კითხებს, უფრო კვალიფიციურად  
ჩაწვდნენ პედაგოგიურ პრობლე-  
მებს. სამალავი არაა, რომ ჯერ  
კიდევ ჩვენი მწერლები ვალში  
არიან სკოლისა და პედაგოგიკის  
წინაშე. ასეთია წიგნის ზოგადი  
მიმოხილვა.

დავძენთ იმას რომ წიგნს მეტ  
ეფექტს მატებს და ცხოველმყო-  
ფელობას აძლევს ის გარემოება,  
რომ განხილული 17 მოღვაწიდან  
ბევრი ავტორის თანამედროვეა,  
ზოგიერთ მათგანთან უმუშავია  
კიდევ. პედაგოგიური მოვლენე-  
ბის მნიშვნელოვანი ნაწილი,

რომელზეც ამ წიგნშია ლაპარაკი, ავტორის თვალწინ მიმდინარეობდა, ასე რომ იგი ერთგვარი ცოცხალი მატრიანეც არის.

გვაქვს ზოგიერთი შენიშვნაც.

1. 29-ე გვერდზე ავტორი აღნიშნავს, რომ „სწავლა-განათლების გავრცელების მთავარ საშუალებად მ. აბაშიძე თვლიდა ჟურნალ-გაზეთებს, ლექციებს, სახალხო კითხვას“. როგორც ცნობილია, სახალხო განათლების მთავარ საშუალებად ყველა ეპოქის მოწინავე მოაზროვნე აღიარებდა სკოლას. ეს ჭეშმარიტი აზრია, რომელზეც შესანიშნავად იცის ავტორმა, მაგრამ რატომღაც მ. აბაშიძის არასწორ შეხედულებას უშენიშვნოდ ტოვებს.

2. იმავე 29-ე გვერდზე აზრის ლოგიკური თანმიმდევრობა დარღვეულია (შესაძლებელია რედაქციის მიზეზით). ავტორი წერს: „თქმულიდან ნათლად ჩანს, რომ მ. აბაშიძის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში ფართო ადგილი ეთმობა ზნეობრივი აღზრდის იდეას“. სამწუხაროდ, „თქმულიდან“ ეს არ ჩანს. ულოგიკოაა, ჩვენი აზრით, 34-ე გვერდზეც. აქ ლაპარაკია იმაზე თუ მ. აბაშიძე როგორ იბრძოდა ქართული ენის უცხოური სიტყვებით დანაგვიანების წინააღმდეგ. ამას მოსდევს ასეთი განზოგადება: „თუ მემედ აბაშიძის ზემოთ აღნიშნულ პედაგოგიურ შეხედულებას სათანადო ანალიზს გავუკეთებთ, ნათელი გახდება, რომ იგი აღზრდას

საფუძვლად უდებს ხალხთა პრინციპს“. ცნებები არეულია.

3. და ბოლოს, არ შეიძლება ავტორს დავეთანხმოთ „განმანათლებლის“ ტიტულის უხვად ხმარებაში. განა ყველას, ვინც სწავლა-განათლებისათვის იბრძოდა, შეიძლება ვუწოდოთ განმანათლებელი? დოც. გრ. ბაბილოძე განმანათლებელს უწოდებს გ. კაიკაციშვილს (გვ. 14), მ. აბაშიძეს (გვ. 40), ჰ. აბაშიძეს (გვ. 57) და ს. დიასამიძესაც (გვ. 71). ჩვენ ვფიქრობთ, „განმანათლებლობა“ უფრო ფართო ცნებაა. ვ. ი. ლენინი განმანათლებელს ახასიათებდა სამი არსებითი ნიშნით: „მხურვალე მტრობით ბატონყმობისადმი და ყველა მისი გამოვლინებისადმი ეკონომიურ, სოციალურ და იურიდიულ დარგში... მეორე — ეს არის მხურვალე დაცვა განათლებისა, თვითმმართველობისა, თავისუფლებისა, ცხოვრების ევროპული ფორმებისა... ბოლოს „განმანათლებლის“ მესამე დამახასიათებელი თვისებაა ხალხთა, მასების, უმთავრესად გლეხობის ინტერესების დაცვა“ (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 2, გვ. 626-627). აი, ვის ეწოდება „განმანათლებელი“.

პედაგოგიკის ისტორია მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ორი ნაწილისაგან შედგება — აღზრდისა და სკოლის ისტორია და პედაგოგიური აზროვნების ისტორია. როცა ვლაპარაკობთ პედაგოგიური აზროვნების, შეხედულების განვითარებაზე, ძირი-

თადად ვგულისხმობთ ორ რამეს: ჯერ ერთი, თუ რა შექმნა ამა თუ იმ პირმა ახალი და ორიგინალური, რით გაამდიდრა პედაგოგიური მეცნიერება; მეორე — როგორ აითვისა ამა თუ იმ მოღვაწემ კლასიკური პედაგოგიური მემკვიდრეობა და გარდატეხა ის თავისი ქვეყნისა და დროის პრიზმაში. როგორც ვთქვით, ეს ორი რამ ძირითადია. არის მესამეც — როცა ესა თუ ის პიროვნება პედაგოგიკის მეცნიერებაში სუსტად ან სულ არ ერკვევა, მაგრამ ცხოვრებაზე საღი დაკვირვების, საკუთარი გამოცდილებისა და ალღოს შედეგად ანვითარებს შეხედულებებს (შეიძლება არაორიგინალურს, მაგრამ მისეულს, სა-

კუთარს), აღზრდაზე, სკოლაზე, იბრძვის სკოლისა და განათლების გავრცელებისათვის მასებში. სწორედ ასეთ ადამიანებს მიეკუთვნებიან უმეტესად ის მოღვაწეები, რომლებზედაც ლაპარაკია სარეცენზიო წიგნში. მართალია, მათი მოსაზრებები ხშირად გამოთქმულია პრიმიტიულად, ზოგჯერ გულუბრყვილოდაც, მაგრამ თავის დროზე მას პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ იმსახურებს ის ღირსეულ ყურადღებას. აი ამ პოზიციიდან დოც. გრ. ბაბილოძის წიგნი ახალი და პირველი ნაბიჯია აჭარაში პედაგოგიური აზროვნების განვითარების კვლევის გზებზე და ამიტომ შემოგამოთქმული მცირე შენიშვნები მას ჩრდილს ვერ მიაყენებს.

## ქურონალ „ჭოროხის“ 1972 წლის ნომრების შ ი ნ ბ ა რ ს ი

### ლექსი, პოეზია

- ანთაძე ცისანა — ლექსები, № 1.  
ანანიძე ლევან — სამშო სიმღერა (ლექ-  
სი), № 3.  
გვარიშვილი ნანა — ლექსები, № 3.  
გორგილაძე ზურაბ — ლექსები, № 5  
გორგანელი ვახტანგ — მოტა (ლექსი),  
№ 6.  
გიგინეიშვილი დავარ — ლექსები, № 3.  
დავითაძე ემენ — ლექსები, № 3, ძმო-  
ბის სადღეგრძელო (ლექსი), № 6.  
ჯარშანიძე მამია — ლექსები, № 2, ლე-  
ქსები, № 5, ძმობა, ერთობა და სიყ-  
ვარული (ლექსი), № 6.  
ზოიძე შოთა — ლექსები, № 1, ლექსე-  
ბი, № 4.  
თედორაძე დავით — რწმენა (ლექსი),  
№ 5.  
შუავია ქსენია — ლექსები, № 2.  
შელია იაკობ — ლექსები, № 2.  
მალაზონია ნესტორ — პეპლები (ლექ-  
სი), № 3.  
წყუტუბიძე ლილი — ფიქრები დავით  
აღმაშენებლის საფლავთან (ლექსი),  
№ 1.

- რომანაძე ზერა — ლექსები, № 5.  
როყვა შოთა — ვაღიდებ საბჭოთა კავ-  
შირს (ლექსი), № 6.  
სალუქვაძე გიორგი — ლექსები, № 2,  
ლექსები № 4.  
სეიდოშვილი ლადო — ლექსები, № 4.  
ქათამაძე ჭემალ — ლექსები, № 2.  
ჩიქვილაძე ქსენია — ლექსები, № 3.

### მოთხრობა, პიესა, ნოველა, მინიატურა, ნარკვევი

- ასანიშვილი შოთა — შიში (მოთხრობა),  
№ 3.  
ბაჭელიძე ვლადიმერ — შენი წილი ცა  
(ნარკვევი), № 1.  
დავითაძე ანზორ — ნომარი (ნარკვე-  
ვი), № 2.  
ლორია პარმენ — მესაიდუმლე (მოთხ-  
რობა), № 2.  
როყვა შოთა — მეურმე ბიჭი (მოთხ-  
რობა), № 2.  
რომანაძე შაქრო — ამ ქვეყნის კაცი  
(მოთხრობა), № 3.  
რურუა ილია — ირანი — გუმბათიანი  
და უგუმბათო (ნარკვევი), № 5, № 6.



**სამსონია ალექსანდრე** — შაბათი, კვირა, ორშაბათი და სამშაბათი (მოთხრობა), № 3, № 4, № 5.

**ქუთათელაძე გენრიეტა** — შენ ჭადრაკს თამაშობ (მინიატურა), № 5.

**შერვაშიძე ამირან** — მძინარე თემიდა (პიესა), № 1.

**ჭანტურია ვოლტერ** — ვეშაპთა ქორწილი (ნოველა), № 3.

**ხალვაში ფრიდონ** — დღე გეგელიძემ ბიდან სიგლიგეთამდე (მოთხრობა), № 1. სიყვარული (მოთხრობა), № 4.

**ხოფერია ჭემალ** — მისხალი სესხი (მოთხრობა), № 2, წვიმიანი დღის ქრონიკა (მოთხრობა), № 6.

**ხუროძე დავით** — გაყიდული ჰანგები (მოთხრობა), № 4.

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

**სკკ ცენტრალურ კომიტეტში** — ლიტერატურულ - მხატვრული კრიტიკის შესახებ, № 1.

**ქურიძე შოთა** — კავკასიის ხალხთა მეგობრობისათვის, № 4.

**შონია აკაკი** — მთრთოლვარე სიმი, № 2, პოეტური სტარტი, № 5.

**ჩავლეიშვილი ალექსანდრე** — პოეზიის იდეური სიწმინდისათვის, № 1, მთარგმნელობა — ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საშუალება, № 6.

### წერილები

**ბეკირიშვილი იოსებ** — ანრი ბარბიუსი — საბჭოთა კავშირის დიდი მეგობარი, № 5.

**დავითაძე ემენ** — გაზეთ „ფუხარას“ წინამორბედნი და აჭარის საბჭოური ხელოვნება, № 5.

**თანდილა ვა ზურაბ** — ლაზური საისტორიო ლექსები, № 1.

**ფავაძე მაცვალა** — ბათუმის პროფესიული კავშირების ისტორიიდან, № 4.

**თოდაძე შოთა** — შრომითი რეზერვების ერთიანი სახელმწიფო სისტემის შექმნის ისტორიიდან, № 3.

**თავართქილაძე ამირან** — ვაჭრობა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდა აჭარაში, № 3.

**მეგრელიძე იოსებ** — აბუსერიძე ენამოსწრებულობა, № 4.

**მეგრელიშვილი ომარ** — ზღვიდან ზღვამდე, № 6.

**მშვიდლობაძე მიხეილ** — ქობულეთელი ვაჟკაცი, № 6.

**მეფისაშვილი გივი** — გალაქტიონის პირველი წიგნი, № 5.

**ნოღაიდელი ნანული** — ბებრეუთი, № 2.

**ნაცვლიშვილი პავლე** — ლირიკული ლექსის შესახებ, № 2.

**სურმანიძე რამაზ** — ახალი ცნობები გრიგოლ ვოლსკის ბიოგრაფიიდან, № 4.

**სურგულაძე აბელი** — უკრაინელი კახაეები გონიის ციხეში, № 4.

**შამელაშვილი რაფიელ** — ქართული გვარების ისტორიის საკითხისათვის, № 3.

**ჩავლეიშვილი ალექსანდრე** — გამზრდელ-გაზრდილის ურთიერთობის საკითხისათვის აკაკი წერეთლის „გამზრდელში“, № 3.

**ცქიტიშვილი ნელი** — აჭარული დიალექტის სამეურნეო ლექსიკიდან, № 3.

**ჯაფარიძე შოთა** — ილია ჭავჭავაძე და სუბტროპიკული მეურნეობის განვითარების საკითხები, № 2.



## ხელოვნება

შარაშიძე ლადო — მათი მთავარი თე-  
მა — საქართველო, № 6.

ხინიკაძე მერაბ — მეგობრობის ტაძა-  
რი, № 6.

## წიგნების მიმოხილვა

კეჭელაძე ილია — მეჩაიეთა შრომის  
ფსიქოლოგიის საკითხები, № 3.

სურგულაძე აბელ — საყურადღებო  
ნაშრომი, № 3.

შამელაშვილი რაფიელ — ქართული  
ენის აქარული დიალექტის ლექსიკა,  
№ 1. ფრიდონ ხალვაშის პოეზია, № 5.

გობრონიძე ალექსანდრე — საყურად-  
ღებო გამოკვლევა ქართული პედა-  
გოგიური აზროვნების ისტორიი-  
დან, № 6.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივნის — 33-72.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.12.1972, წ., საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბახი-  
შეკვეთის № 5347, ემ 01629, ქალაქის ზომა 60×90, ტირაჟი 2.040.

\* \* \*

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო  
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9  
(ლუქსემბურგის, 22).

აჭარის უურნალ-გაზეთების გამომცემლობა



6 37/21

ფასი 40 კპ.

**ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

**„ЧОРОХИ“**

**ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ  
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ**

**ИНДЕКС 76118**